ქართული მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 მაისი **ოთხშაბათი** 2014

**№091 (14 312)** ფასი 80 თეთრი

# მამუკა გორგოძე მსოფლიოს ნაკრებში



13

# იბერიული დერბი ტურინში

## დასრულდება თუ არა ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ცნობილი წყევლა?




## სკანდალის კვალდაკვალ ნიკა კვეკვესკირი: ვიკითხე, რატომ მათამაშებთ–მეთქი...



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ნიკა კვეკვესკირი

3

# გაიცხრილა...




დიდიე დეშამისა და სამირ ნასრის გზები გაიყარა

4-5

# ფინალში

## დინამო მეტოქეს ელის



12

# ოცი წელი ჩელსიში!



ლონდონის „ჩელსი" დროს არ კარგავს - **დიეგო კოშტას** დაბევების შემდეგ, **ჟოზე მოურინიომ** კიდევ ერთი წლით დატოვა თავისთან **ჯონ ტერი**. 33 წლის მცველს კონტრაქტი „ჩელსისთან" დღე-დღეზე ეწურებოდა, მაგრამ მას ახალი, 1-წლიანი ხელშეკრულება შესთავაზეს. *„მოხარული ვარ, რომ ჩემს მეოცე სეზონსაც „ჩელსიში" გავატარებ",* - განაცხადა დღის გმირმა, რომელიც 1995 წელს „ვესტ ჰემიდან" გადავიდა „ლურჯების" შემადგენლობაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● U19



ნაკრების ბოლო ღია ვარჯიში

## ვასილ მაისურაძე
# მიმაჩნია, რომ ეს შემადგენლობა ოპტიმალურია

**დღეს, გამთენიისას, საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ელიტრაუნდისწინა შეკრებაზე გერმანიაში გაემგზავრა. მანამდე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ღია ვარჯიში გამართა და მედიასაც შეხვდა. ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა სია ასეთია:**

მეკარეები - **ოთარ გოშაძე, ბექა ქურდაძე** (ორივე - საბურთალო);

მცველები - **ნიკა ჭანტურია, გიორგი გაბაძე** (ორივე - ლოკომოტივი თბილისი), **ალექსანდრე გურეშიძე, ოთარ კაკაბაძე** (ორივე - დინამო თბილისი), **გიორგი თევზაძე, ჯემალ ტაბიძე** (ორივე - საბურთალო), **გიორგი გაფრინდაშვილი** (დილა);

ნახევარმცველები - **ლევან შენგელია, გიორგი ბერიძე** (ორივე - დილა 2), **გიორგი გოროზია, გიორგი აბურჯანია, ლუკა კიკაბიძე** (ყველა - ლოკომოტივი), **მათე ცინცაძე, გიორგი პაპუნაშვილი, არჩილ მესხი** (ყველა - დინამო თბილისი);

თავდამსხმელები - **ლუკა ზარანდია** (ლოკომოტივი თბილისი), **ალექსანდრე შერაზადაშვილი** (ალკორკონი, ესპანეთი), **დათო დარციმელია** (სევასტოპოლი, უკრაინა).

ელიტრაუნდში ვერ ითამაშებს რამდენიმე ის ფეხბურთელი, რომლებიც შესარჩევ ციკლში გამოდიოდნენ და გუნდს აპრილში, პორტუგალიურ ტურნირზეც ახლდნენ - „ლოკომოტივის" მცველი **ლუკა კიკაბიძე** და თავდამსხმელი **დავით ჯიქია**, „საბურთალოს" ნახევარმცველი **გიორგი ხარაიშვილი**, რიგის „სკონტოს" მცველი **ლაშა დვალი**, გორის „დილა 2"-ის მცველი **ცოტნე ქებურია**, თბილისის „დინამოს" მცველი **გიგა სამხარაძე**.

ახალწვეულები გორის „დილადან" არიან - ფლანგის მცველი **გიორგი გაფრინდაშვილი** და თავდამსხმელი **გიორგი ბერიძე**. პირველმა ბოლო დროს „დილაში" ადგილი დაიმკვიდრა, მეორე კი შეცვლებზე თამაშობს. ასევე ახალწვეულია ესპანეთში მყოფი **ალექსანდრე შერაზადაშვილი**, რომელიც გუნდს გერმანიაში შეუერთდება, ისევე, როგორც **ილია კერძევაძე**.

ნაკრებს დაუბრუნდა უკრაინული პრემიერლიგის კლუბ „სევასტოპოლის" თავდამსხმელი **დავით დარციმელია**. 22 მაისს, პირდაპირ შვეიცარიაში ჩავლენ ნაკრების ლიდერები - **მათე ცინცაძე** და **გიორგი პაპუნაშვილი**, რადგან მათ 21 მაისს, „დინამოს" შემადგენლობაში საქართველოს თასის ფინალი უნდა ითამაშონ.

ჩვენი დელეგაცია გერმანიის საკურორტო ქალაქ გარმიშპატერკირხენში დაბინავდება, იქვე მოემზადება და ელიტრაუნდამდე მხოლოდ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს - 18 მაისს პატარა „ჯვაროსნები" „ბაიერნის" 19-წლამდელთა გუნდს შეხვდებიან და შვეიცარიაში 22 მაისს გაემგზავრებიან.

გუშინ გუნდთან ერთად არ უვარჯიშია ელიტრაუნდში გასამგზავრებელ ოთხ მოთამაშეს. დინამოელების - ცინცაძისა და პაპუნაშვილის ამბავი უკვე გითხარით. მცირე ტრავმა ჰქონდა მეკარე **ოთარ გოშაძეს**, **ლუკა ზარანდია** კი მოიწამლა, მაგრამ სერიოზული არაფერია.

გერმანიაში გამგზავრებამდე „ლელო" ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ვასილ მაისურაძეს** ესაუბრა:

- სულ 20 მოთამაშე მიგვყავს, განაცხადში კი 18 მოხვდება. გაუთვალისწინებელი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, გუნდთან ერთად, დამატებით, 2 მოთამაშეც იქნება. დინამოელებს 21 მაისს თასის ფინალი აქვთ სათამაშო, მათი გვესმის და პაპუნაშვილი და ცინცაძე ამიტომაც არ გამოუშვეს. მთავარია, არ დაშავდნენ და ელიტრაუნდში გამოგვადგნენ. ისინი 22 მაისს შემოგვიერთდებიან. აკლიმატიზაცია ცოტა კი დაუგვიანდებათ, რადგან 25 მაისს უკვე თამაში გვაქვს, მაგრამ არა უშავს.

**- ადრე გამოძახებული მოთამაშეებიდან რამდენიმე ახლა სიაში ვერ მოხვდა...**

- მიმაჩნია, რომ სადღეისოდ ოპტიმალური შემადგენლობა გამოვიძახეთ.

**- სიაში უცნობი თავდამსხმელიცაა - ალექსანდრე შერაზადაშვილი...**

- ის 1996 წელს არის დაბადებული და მიმაჩნია, რომ საინტერესო მოთამაშეა. ესპანეთში, „ალკორკორნის" 19-წლამდელებში თამაშობს. ამ პოზიციაზე გაძლიერება გვინდოდა და მისი გამოძახება ამიტომაც ჩავთვალე საჭიროდ. სხვათა შორის, შერაზადაშვილს გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრებში ბელარუსის ტურნირზეც უთამაშია.

**- მოთამაშეთა მდგომარეობით კმაყოფილი ხართ?**

- კმაყოფილი ვერ ვიქნები, რადგან სეზონის ბოლოს გადაღლა ყველას ეტყობა, ტონუსი თითქმის ყველას დაცემული აქვს, მაგრამ შეკრებას ასეთ დროს იმიტომაც ვიწყებთ, რომ ეს პრობლემები მოვაგვაროთ.

**- მეტოქეებზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

- გვაქვს ყველას მეტოქის თამაშის ჩანაწერები. შვეიცარიას უძლიერესი გუნდი ჰყავს, დაბალანსებული... მიმაჩნია, რომ საკმაოდ საინტერესო თამაში გველის. არანაკლებ მძიმე მატჩებს ველით კვიპროსთან და ისრაელთან.

**- თქვენს გუნდს ახლა საქართველო დიდი იმედით უყურებს. არადა, შვეიცარიაში ფავორიტის სტატუსით ჩასვლა ძალიან ძნელი იქნება...**

- როგორ უნდა ჩავიდეთ ფავორიტად, როცა შვეიცარია განვითარებული საფეხბურთო ქვეყანაა? მე კი მჯერა ჩვენი ფეხბურთელების, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ვეცდებით „პირველ ნომრად" ვითამაშოთ, ყველა თამაში მოვიგოთ და კარგი ფეხბურთიც ვაჩვენოთ. მაგრამ, ისევე როგორც ადრე, პროგნოზებს ახლაც მოვერიდები.

**მერაბ მამულაშვილი**

● პეტიცია

# ღირსეულად გავაცილოთ კობიაშვილი!

**ლევან კობიაშვილმა** ბერლინის „ჰერტაში" გამოსამშვიდობებელი შეხვედრა ჩაატარა და საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ვეტერანმა მოთამაშემ „ფეისბუქის" საკუთარი გვერდის საშუალებით ფანებს მადლობა გადაუხადა.

*„დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ სიყვარულისა და გულშემატკივრობისათვის. მთელი კარიერის განმავლობაში ვგრძნობდი თქვენს თანადგომას, რაც ჩემთვის დიდ სტიმულს წარმოადგენდა და სირთულეების დაძლევაში მეხმარებოდა"*, - წერს კობიაშვილი.

ამ დროს კი, „ლელოს" აცნობეს, რომ 10 მაისს ქართველმა გულშემატკივრებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება, რომლის მიზანიც კობიაშვილის გაცილების მატჩის ორგანიზებაა.

*„საქართველოს ეროვნული ნაკრების, რუსთავის „გორდას", თბილისის „დინამოს", „ფრაიბურგის", „შალკესა" და „ჰერტას" ყოფილი ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი ქართველმა გულშემატკივარმა სათანადოდ უნდა დააფასოს და გააცილოს. მან დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა: ჩემპიონთა ლიგაზე ჰოლანდიურ პსვ-სთან შესრულებული ჰეთთრიკი, უდიდესი სიხარულის მომტანი გოლი ხორვატიის ნაკრების კარში, მიუნხენის „ბაიერნთან" ოლივერ კანის დამწუხრება და კიდევ მრავალი. კობიაშვილი გერმანიაში დააფასეს და ფეხბურთიდან სათანადოდ გააცილეს. მიგვაჩნია, რომ იგი ქართველი ხალხისგანაც სათანადო გულთბილ და ემოციურ გაცილებას იმსახურებს. გავუზიაროთ თითოეულ ჩვენს მეგობარსა და ნაცნობს აღნიშნული პეტიცია".*

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან კობიაშვილი საქართველომაც უნდა დააფასოს

● სავარაუდო ტრანსფერი

# სად გადავა ქვილითაია?



გიორგი ქვილითაია

სეზონი დასასრულს უახლოვდება და მალე სატრანსფერო რია-რიაც დაიწყება, რაც გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ მომენტისთვის, რამდენიმე საინტერესო წინადადება აქვს **გიორგი ქვილითაიას**. თუმცა მცირე ხნის წინ გორის „დილასა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის თავდამსხმელი გვარიანად შეფიქრიანებული იყო:

*„ტრავმის გამო, ორი თვე დასვენება მომიხდა და, როგორც იქნა, მოვირჩინე. 2 მაისს, „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩი რომ მთავრდებოდა, ისეთი მომარტყეს, ფეხი ძალიან ამტკივდა. საბედნიეროდ, საშიში არაფერი ყოფილა და ჩვეულებრივად ვვარჯიშობ"*, - უთხრა ქვილითაიამ „ლელოს".

გიორგი მოედანს ორთვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ტურებში ურიგოდ არ უთამაშია, ამბობს, რომ ჯერ საუკეთესო ფორმა ვერ აღიდგინა:

*„არასტაბილურად რომ ვთამაშობ, ეს არც მიკვირს. ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი და საგაზაფხულო ეტაპის საწყისი თამაშები გამიცდა და ბუნებრივია, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამას დაემატა გორის „დილაში" არსებული მდგომარეობა, ზედა ექვსეულში ვერ მოვხვდით და ამის გამო, გუნდი დიდი ხანი არეული იყო. ამიტომაც ვერ ვიტყვი, რომ ახლა საუკეთესო ფორმაში ვარ. მაგრამ მეორე წრის ბოლო ოთხ ტურში 3 გოლი გავიტანე, რაც ფსიქოლოგიურად ძალიან დამეხმარა. ტრავმის შემდეგ ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო"*.

ზამთარში ქვილითაია შვეიცარიულ „გრასჰოპერსში" ვარჯიშობდა, თითქოს კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ტრავმამ ტრანსფერი ჩაუშალა: *„გამორიცხული არ არის, რომ ზაფხულში ისევ წავიდე. თუმცა გარკვეული ჯერ არაფერია"*.

ქვილითაიას კომენტარი „ლელოს" მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზეც ვკითხეთ, რომლის მიხედვითაც, ზაფხულში ის ან „ჩიხურაში" ან თბილისის „დინამოში" გადავა:

*„ინტერესები სხვა გუნდებიდანაც არის. გორის „დილასთან" კონტრაქტი მაისის ბოლოს მიმთავრდება და თავისუფალი აგენტი გავხდები. მაგრამ ჯერ თავადაც არ ვიცი, სად ვითამაშებ. სხვათა შორის, ზამთარში მიწვევა „ზესტაფონიდანაც" მქონდა, ბოლნისის „სიონი" და თბილისის „დინამოც" იყვნენ დაინტერესებული. „დინამოში" გადასვლის დიდი სურვილი მეც მქონდა, მაგრამ იყო ტექნიკური პრობლემები, რომელიც სასწრაფოდ ვერ მოგვარდებოდა. მაგრამ ვნახოთ... მას შემდეგ ნახევარი წელი გავიდა, გუნდში ბევრი რამ შეიცვალა და არ ვიცი, ახლა რა იქნება. ზამთარში მაინც „დილაში" დავბრუნდი, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა ტრავმის დროს გვერდში დამიდგა და გორელების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული გამიჩნდა. თუმცა წარმოდგენა არ მაქვს, ზაფხულში რა იქნება"*.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ნავალოვსკის სერიოზული შეთავაზება აქვს

ხაბაროვსკის „სკა-ენერგიას" გენერალურმა დირექტორმა **სერგეი ფელდმანმა** განაცხადა, რომ ქართველი მცველი **გიორგი ნავალოვსკი** კლუბში აღარ დარჩება.

*„გიორგი ნავალოვსკიმ სერიოზული წინადადება მიიღო პრემიერლიგის ერთ-ერთი კლუბისგან"*, - განაცხადა ფელდმანმა. ასე რომ, რუსულ ელიტაში კიდევ ერთი ლეგიონერი გვეყოლება.

შეგახსენებთ, რომ „სკა-ენერგიაში" ასევე თამაშობენ **გოგიტა გოგუა** და **კახა ალადაშვილი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გიორგი ნავალოვსკი

პოსტფაქტუმ

## ნიკა კვეკვესკირი

# ვიცოდი, რომ ორი ყვითელი მქონდა და ვიკითხე კიდეც, რატომ მათამაშებთ-მეთქი?

**საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ლუქსემბურგთან შესარჩევ მატჩში ტექნიკური ნაგება (0:3) რომ ჩაეთვალა, ეს ამბავი გუშინდელ „ლელოში“ გამცნეთ. იქვე ვთქვით, რომ სამშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პრესკონფერენციას მოიწვევს და უფრო მეტს სწორედ იქიდან გავიგებთ-თქო, მაგრამ... აღმოჩნდა, რომ ორშაბათს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენმდივანი რევაზ არველაძე სამუშაო ვიზიტით უეფაში გაემგზავრნენ...**

**მოკლედ, პრესკონფერენცია არ შედგა, სამაგიეროდ, ველაპარაკეთ თავად ფეხბურთელს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტან ნიკა კვეკვესკირს, რომლის დისკვალიფიკაციის გამოც ფეხბურთის ფედერაცია შარში გაეხვია. კვეკვესკირის ნათქვამი ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასია...**

- ლუქსემბურგთან მატჩის შემდეგ ნაკრების უფროსობასთან არანაირი შეხვედრა არ მქონია. ცხადია, სამწუხაროა, რომ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩემი ყვითელი ბარათების გამო ლუქსემბურგთან ნაგება ჩაეთვალა. საერთოდ, ჩემი დისკვალიფიკაციის ამბავს კლუბში თამაშის დროსაც მოვიკითხავ ხოლმე და ამას, მით უმეტეს, ნაკრებში ყოფნისასაც გავაკეთებდი, მაგრამ...

**- რა, მაგრამ...**

- „მაგრამ“ ის, რომ ჩემი გაფრთხილებების შესახებ ვიცოდი და ეს საგანგებოდაც ვიკითხე სლოვაკეთთან გორში თამაშის შემდეგ. კარგად მახსოვდა, რომ შესარჩევი ციკლის დასაწყისში, სლოვაკეთთან საგარეო მატჩის დროს, ყვითელი ბარათი მივიღე.

**- საგანგებოდ რა იკითხეთ?**

- ვიკითხე, მქონდა თუ არა ლუქსემბურგთან თამაშის უფლება. სლოვაკეთთან პირველი ყვითელი ბარათის შემდეგ, ჰოლანდიასთან გამაძევეს და ამის გამო, შოტლანდიასთან თამაში უნდა გამომეტოვებინა. გამოვტოვე კიდეც ის თამაში, მაგრამ სლოვაკეთთან კიდევ ერთი ყვითელი მივიღე და სწორედ იმ თამაშის შემდეგ ვიკითხე, შემეძლო თუ არა, ლუქსემბურგთან თამაში.

**- და რა გიპასუხეს?**

- უეფაში ყველაფერი გადავამოწმეთ და თამაშის უფლება გაქვსო, ასე მითხრეს. რაიმე აკრძალვა რომ ყოფილიყო,


ნიკა კვეკვესკირი (№2)

უეფა ამას გვაცნობებდაო, მიპასუხეს. ისიც მითხრეს, რომ რაკი ჰოლანდიასთან მიღებული წითელი ბარათის გამო ერთი მატჩი უკვე გამოტოვე, ეს სასჯელი სლოვაკეთთან პირველ თამაშში მიღებულ ყვითელსაც ითვალისწინებსო. მეც ასე ჩავთვალე, რომ სლოვაკეთთან ადრე მიღებული ყვითელი ბარათი ჰოლანდიასთან მიღებულ წითელთან ერთად მოქმედებდა, მაგრამ...

**- ახალგაზრდული ნაკრების მენეჯერთან ამ საკითხზე არ გისაუბრია?**

- ლევან რამიშვილი წესიერი ადამიანია, კარგად იცის უეფას რეგულაციების შესახებ და არც იმის შეხსენება სჭირდება, როდის ვინ არის დისკვალიფიცირებული. უბრალოდ, ლევანს ეს ამბავი მექანიკურად გამორჩა, თორემ გაფრთხილებისა და წითლებისთვის აქამდეც ყოფილა, რომ ფეხბურთელს კონკრეტულ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ლევან რამიშვილმა უეფას გადაწყვეტილებისთანავე დამირეკა, შეწუხებული იყო, რომ ასეთი ამბავი მოხდა, მაგრამ... რა ვუყოთ, შეცდომა ყველას მოსდის ცხოვრებაში...

**კობა ინასარიძე**

ლეგიონი


ჯანო ანანიძე

# სპარტაკში დაბრუნების დროა

## ანანიძემ რუსეთი დაიპყრო

**ჯანო ანანიძე** კიდევ ერთხელ მოექცა რუსული მედიის ყურადღების ცენტრში. ქართველმა ნახევარმცველმა იმდენად კარგად ითამაშა მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მატჩში (2:0), ის თითქმის ყველა გამოცემამ შეიყვანა სიმბოლურ ნაკრებში, მათ შორის, რუსული პრესის ფლაგმანმა „სპორტ-ექსპრესმაც“.

*„21 წლის სპარტაკელმა, რომელიც „როსტოვში“ იჯარით თამაშობს, „ლოკომოტივთან“ სენსაციურ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა აქტიური თამაშით მარცხენა ფლანგზე, ცენტრში შეწევებით და მეორე გოლში მონაწილეობით“,* - წერს „სპორტ-ექსპრესი“.

გამოცემა ყოფილი სპარტაკელის, რუსეთის ნაკრების ყოფილი წევრის, **ვალერი კეჩინოვის** აზრით დაინტერესდა:

*„ძალიან ახლოს ვიცნობ ჯანოს. დუბლებში მაშინ გამოჩნდა, როცა მე „სპარტაკში“ ვმუშაობდი. ტექნიკური, ნამდვილი სპარტაკული ფეხბურთის მიმდევარი. მაგრამ მაშინ ის ფიზიკურად სუსტი იყო, კუნთები აკლდა. ვფიქრობ, „როსტოვში“ სწორედ ეს მოხდა - ის ფიზიკურად მომძლავრდა და იმედია, „სპარტაკში“ კიდევ უფრო მოუმატებს“.*

კეჩინოვის აზრით, ანანიძის კოზირები მოედნის ხედვა, დრიბლინგი, პასი, დარტყმა და „სტანდარტულებია“.

*„როსტოვში“ ჯანო დაკაცდა, ის უკვე თავდაჯერებული თამაშობს. მისი სჯერა მწვრთნელს, ლიდერი ხდება... აი, ასეთი ჯანო სჭირდება „სპარტაკს“! ფსიქოლოგიურადაც, ის აღმავლობას განიცდის, გუნდთან ერთად თასი მოიგო, ახლა კი მან და მისმა თანაგუნდელებმა ოქროს მედლისთვის მებრძოლ გუნდს მოუგეს. ასეთი გამოცდილება შეუფასებელია“,* - აცხადებს კეჩინოვი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინფრასტრუქტურა

# ახალი ბაზა ბათუმის დინამოსთვის

## აჭარაში ბრაზილიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ელიან

**უკვე 35 წელია, რაც საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და პოპულარული კლუბი ბათუმის „დინამო“ საკუთარი საწვრთნელი ბაზის გარეშეა, ბოლო 8 წელი კი სტადიონის აშენებას ელის. იმედია, გუნდს საშველი ნაწილობრივ მაინც დაადგება. ამის საფუძველს ანგისას სტადიონის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობის პრეზენტაცია იძლევა. როგორც თქვეს, მშენებლობა მალე დაიწყება და წლის ბოლოს დასრულდება. ამისთვის, ბათუმის მერიის ბიუჯეტიდან 2,5 მილიონი დაიხარჯება, ტენდერის გამოცხადებას მუნიციპალიტეტი უახლოეს დღეებში გეგმავს, პროექტის პირველი ეტაპის დასრულება კი ოქტომბრის ბოლოსთვისაა გათვალისწინებული...**


ბათუმის დინამოს ბაზის პროექტი

პროექტით ასევე გათვალისწინებულია საწვრთნელი ბაზის მოწყობა, სადაც იქნება 3 სტანდარტული მოედანი, 4 ათას მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა, სტანდარტული გასახდელები, საშხაპეები და ასე შემდეგ. მოეწყობა განათების, ვენტილაციის, კონდიცირებისა და გათბობის სისტემები. აშენდება 50 ადამიანზე გათვლილი სასტუმროც, საკუთარი კვების ბლოკით, გუნდის შეკრება და სტუმართა გუნდების მიღება რომ იყოს შესაძლებელი. 3 მოედნიდან ერთი იქნება ბუნებრივსაფრიანი და ტრიბუნა სწორედ მის მიჯნაზე აშენდება. დანარჩენი ორი მოედანი ხელოვნურსაფრიანი იქნება და ერთზე ბავშვები ივარჯიშებენ, რადგან ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის გახსნაც იგეგმება.

*„ჩვენი მომავლისთვის ეს აუცილებელი პროექტია. დარწმუნებული ვარ, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ბათუმის „დინამოს“ ძველ პოზიციებზე დააბრუნებს. სასტუმრო კი იმისთვის არის აუცილებელი, რომ შეკრებები მოვაწყოთ და აჭარაში მოსამზადებელ ეტაპზე სტუმრები მივიღოთ. ეს ეკონომიკურადაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება“,* - ამბობს ბათუმის „დინამოს“ სპორტული დირექტორი **მალხაზ მახარაძე.**


პროექტის პრეზენტაცია

*„ჩვენი ბაზა ამიერკავკასიაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება, სადაც საფეხბურთო სკოლაც იმუშავებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პირობებით დასავლეთ საქართველოდან ნიჭიერი ბავშვების მოზიდვას შევძლებთ და ბათუმის „დინამოს“ ძლიერ თაობებს გავუზრდით. მიხარია, რომ აჭარის მთავრობა ფეხბურთით ასე არის დაინტერესებული“,* - დარწმუნებულია კლუბის დირექტორი **ოთარ ფედიჩკინი.**

ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლის, **გია ერმაკოვის** თქმით, სხვა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაც იგეგმება: *„ეს არის ბაზა და არა სტადიონი. ბაზის მშენებლობის პარალელურად, მუშაობა ცენტრალური სტადიონის პროექტზეც გაგრძელდება. ბათუმში კი ახალი სტადიონი სხვა ტერიტორიაზე აუცილებლად აშენდება“.*

„დინამოს“ ბაზის პროექტის პრეზენტაციას ბრანდერბურგი-საქართველოს საზოგადოების ხელმძღვანელი **პავლე შპეტიშვილიც** ესწრებოდა. მისი თქმით, აგვისტოში ბათუმის „დინამოს“ აკადემიის გუნდი გერმანიაში გაემგზავრება.

დაბოლოს - „ლელოს“ ინფორმაციით, არსებობს წინასწარი მოლაპარაკება, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემთხვევაში, ბათუმის „დინამო“ რამდენიმე ლეგიონერს დაიმატებს, ძირითადად - ბრაზილიელებს. მართალია, გუნდს ჯერ ეროვნული ლიცენზიაც არ მიუღია, მაგრამ არსებული პრობლემების მოგვარების იმედიც არსებობს.

*„ლიცენზიის საკითხს უპრობლემოდ მოვაგვარებთ, რადგან თითქმის ყველაფერი გარკვეულია, მხოლოდ მცირე დეტალებია გამოსასწორებელი. რაც შეეხება ბრაზილიელ ახალწვეულებს, 26 მაისს „კურიტიბას“ ვიცე-პრეზიდენტი და მენეჯერი გვესტუმრებიან, შეგვხვდებიან ჩვენ, აჭარისა და ბათუმის ხელმძღვანელებს. ცხადია, მოთამაშეების დამატებაზეც დავილაპარაკებთ და ზოგადად თანამშრომლობაზეც“,* - გვითხრა მალხაზ მახარაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

## I ლიგა. ბოლო ტური

### A ზონა

**შუქურა-ადელი 1:4**

12.05. ქობულეთი. ჩელე არენა

0:1 ა. ვარშანიძე (4), 1:1 ა. გიორგაძე (18), 1:2 ნ. წულუკიძე (27), 1:3 ლ. კარაკულიანი (46), 1:4 გ. ქოქოლაძე (50)

შუქურა: დ. დავითაძე, დ. ცეცხლაძე, ა. შავიშვილი, გ. ვერულიძე (76. ვ. დადიანი), ა. გიორგაძე (58. რ. კვესიეშვილი), ა. ჩხაიძე, ა. გორგილაძე (68. ა. ტოტოღაშვილი), ბ. ხინიკაძე, გ. ხვედელიძე (72. ჯ. გოგიტიძე), ბ. ხურციძე, ს. დოლაბერიძე.

სათადარიგოები: ა. დევაძე, ბ. ბერიძე, დ. ტაბიძე

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ადელი: გ. შერვაშიძე, ნ. წულუკიძე, ზ. მჟავანაძე (46. თ. მჟავანაძე), ი. ფუტკარაძე, ვ. ივანიაძე, გ. ცაბუტაშვილი (61. ი. ღოლობერიძე), გ. ჟორდანია, ე. ბერიძე, გ. ქოქოლაძე (78. დ. რუხაია), ლ. კარაკულიანი (72. ლ. მიქაძე), ა. ვარშანიძე (46. თ. გიორგაძე).

სათადარიგოები: გ. თურმანიძე, ფ. მოროტიე

მწვრთნელები: სოსო ნასყაშვილი, ომარ ნაგერვაძე

გაფრთხილება: ვ. დადიანი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**კოლხეთი (ფ)-კახეთი 4:1**

12.05. ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი

1:0 ო. გოგონაია (25-პენ), 1:1 გ. ტყეშელაშვილი (50), 2:1 შ. კვანტალიანი (61), 3:1 ლ. გულუა (65), 4:1 ვ. ნემსაძე (86)

კოლხეთი: ლ. ძაგანია, გ. კილასონია, პ. ცხვიტარია, თ. ფარულავა, დ. ხოჭოლავა, მ. ლორია (73. ა. სარსანია), ო. გოგონაია (67. ვ. ნემსაძე), ლ. ყიფიანი (58. ა. ნაბრია), დ. სიჭინავა (73. ა. ქორჩილავა), თ. შარაშენიძე, შ. კვანტალიანი (63. ლ. გულუა).

სათადარიგოები: რ. ხვიჩია, კ. ბარამიძე

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

კახეთი: დ. დარისპანაშვილი, გ. აბურჯანია, ზ. ვარდუაშვილი, გ. მურველაშვილი, თ. ვარდუაშვილი, გ. ჩიტალაძე, გ. კვირკველია (70. გ. ლომიძე), ა. ბერიძე, გ. ტყეშელაშვილი, გ. ჯინიკაშვილი, გ. ფხაკაძე.

მწვრთნელი: როსტომ თორლაშვილი

გაფრთხილება: ო. გოგონაია, პ. ცხვიტარია; გ. აბურჯანია, გ. მურველაშვილი, ზ. დარისპანაშვილი, ზ. ვარდუაშვილი

არბიტრი: თ. ხუჭუა

**გაგრა-მეშახტე 1:1**

12.05. თბილისი. მერანი

0:1 ბ. შარვაძე (78), 1:1 ზ. ღირდალაძე (85)

გაგრა: ჯ. რეჭია, ც. ხარაბაძე, გ. სიჭინავა, გ. ჯგერენაია, გ. გადრანი, ნ. ნოზაძე, ვ. ჭაბუკიანი, რ. ცაცქრიალაშვილი, მ. რამიშვილი (41. ზ. ღირდალაძე), ზ. ქარდავა (71. გ. მაისურაძე), გ. გოგატიშვილი.

სათადარიგოები: ა. მუსელიანი, გ. დანელიანი, გ. დობორჯგინიძე, ი. გაბესკირია, თ. მოსიაშვილი

მწვრთნელი: თენგიზ სიჭინავა

მეშახტე: ლ. გორდეზიანი, გ. გვენეტაძე, მ, ჩხარტიშვილი, ო. ჩაფიძე, ა. გოდუაძე, დ. ქასრაშვილი, ბ. ჩხეტიანი, იაგო დეისაძე, გ. ჩუბინიძე (49. ბ. ჯიშიაშვილი), იაკობ დეისაძე (88. დ. სოფრომაძე), ბ. შარვაძე.

სათადარიგოები: გ. გოდერიძე, მ. ქვილითაია

მწვრთნელი: დავით რუხაძე

გაფრთხილება: ვ. ჭაბუკიანი - გ. გვენეტაძე, მ. ჩხარტიშვილი

არბიტრი: გ. ავაზაშვილი

**ალგეთი-მერცხალი 4:2**

12.05. თბილისი. ტორპედო-ავაზა

1:0 მ. კობერიძე (15), 1:1 ნ. ხინთიბიძე (17), 2:1 მ. პატარქალიშვილ (24), 2:2 ს. გ. ჩიგოგიძე (42), 3:2 გ. ყურულაშვილი (67), 4:2 გ. ყურულაშვილი (87)

ალგეთი: მ. ძიძიგური, რ. კიკალიშვილი, ი. ალასანია (87. ე. ანიგბო), გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, მ. კობერიძე (83. ბ. ლაბუჩიძე), ი. ჯოჯიშვილი, ზ. ტიელიძე, გ. ჩიქოვანი (75. ბ. ფოჩხუა), ი. სვანიძე (89. ჯ. სულაქველიძე), ა. ონუაკლისი (46. გ. ყურულაშვილი).

სათადარიგოები: ლ. ეზიეშვილი, თ. ბახტურიძე

მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი

მერცხალი: ი. მურუსიძე, გ. ხამაშურიძე, ს. გ. ჩიგოგიძე (49. შ. გუჯაბიძე), ზ. ხურციძე, ს. ვ. ჩიგოგიძე, გ. ვაშაკიძე, გ. მალაზონია, ლ. კოტრიკაძე (46. ე. ჩხაიძე), გ. ქარჩილაძე, ი. ღლონტი, ნ. ხინთიბიძე.

სათადარიგოები: ლ. ათუაშვილი, ლ. კალაჯიშვილი

მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: მ. კობერიძე, გ. ჭოველიძე - ნ. ხინთიბიძე

არბიტრი: გ. ვარდიძე

**საპოვნელა-სქური 0:0**

12.05. თერჯოლა. 300 მაყურებელი

საპოვნელა: ა. გიორგაძე, დ. ჩხიკვაძე, ზ. ენდელაძე, კ. ხუჯაძე, დ. არეშიძე (46. თ. დარსაველიძე), ს. შულაძე, ლ. ცხადაძე, ვ. მურადაშვილი, ვ. ჭრელაშვილი, ნ. სირაძე, ლ. გაბრიჭიძე (71. ზ. აბულაძე).

სათადარიგოები: ა. ლილუაშვილი, ბ. ბარბაქაძე, ვ. კახათელიძე, ვ. ცხადაძე, ზ. მიხეილიძე

მწვრთნელი: მირიან გეწაძე

სქური: ტ. ხარჩილავა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, გ. შელია, ლ. მორგოშია, გ. სალია, თ. ფურთუხია, ლ. გაბუნია, ბ. სვანიძე, ზ. ქვარცხავა, ი. კუტალია (65. გ. კვირკვია).

სათადარიგოები: დ. კეკელიძე, დ. შონია, ი. ქარდავა, კ. სოსელია

მწვრთნელი: გიორგი ციკოლია

გაფრთხილება: ვ. მურადაშვილი - ა. მიქენაია, ლ. გაბუნია

გაძევება: დ. კეკელიძე

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**ჩხერიმელა-იმერეთი**

*შეწყდა ძლიერი წვიმის გამო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შუქურა | 24 | 18 | 3 | 3 | 72-23 | 57 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 24 | 17 | 4 | 3 | 51-13 | 55 |
| 3. დინამო 2 (თბ) | 24 | 15 | 4 | 5 | 76-27 | 49 |
| 4. გაგრა | 24 | 11 | 9 | 4 | 44-25 | 42 |
| 5. საპოვნელა | 24 | 12 | 5 | 7 | 40-25 | 41 |
| 6. ალგეთი | 24 | 10 | 4 | 10 | 38-37 | 34 |
| 7. მეშახტე | 24 | 8 | 8 | 8 | 37-38 | 32 |
| 8. მერცხალი | 24 | 7 | 2 | 15 | 29-54 | 23 |
| 9. ჩხერიმელა | 23 | 6 | 5 | 12 | 28-50 | 23 |
| 10. სქური | 24 | 6 | 4 | 14 | 24-52 | 22 |
| 11. ადელი | 24 | 6 | 4 | 14 | 28-60 | 22 |
| 12. კახეთი | 24 | 5 | 3 | 16 | 27-57 | 18 |
| 13. იმერეთი | 23 | 5 | 3 | 15 | 22-55 | 18 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბუდუ ზივზივაძე (დინამო 2 თბ) | 23 |
| გიორგი ჩელებაძე (შუქურა) | 22 |

## სავარაუდო ტრანსფერი

# შტურმში ქართველი ისინჯება


ილია კერძევაძე

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები დღეს, გამთენიისას გერმანიაში გაემგზავრა. გორის „დილა 2“-ის თავდამსხმელი **ილია კერძევაძე** განაცხადში კი არის, მაგრამ გუშინ, ღია ვარჯიშზე, გუნდთან ერთად არ ყოფილა.

შევიტყვეთ, რომ ფეხბურთელი ამჟამად ავსტრიაშია და გრაცის „შტურმში“ ისინჯება, ნაკრებს კი გერმანიაში შეუერთდება. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია. დარჩება თუ არა ავსტრიულ კლუბში, მოგვიანებით გაირკვევა.

სხვათა შორის, ილია კერძევაძის მამა, **დავით კერძევაძე,** თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი იყო. თავად ილია საქართველოს 16, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების წევრი გახლდათ, ითამაშა თბილისში გამართულ 19-წლამდელთა შესარჩევ ციკლში. გორელთა 18 წლის მოთამაშე ამპლუით თავდამსხმელია.

ავსტრიის ჩემპიონატი 12 მაისს დასრულდა. „შტურმმა“ 10-გუნდიან ჩემპიონატში მე-5 ადგილი დაიკავა.

**მერაბ მამულაშვილი**

## მუნდიალი 2014

# ნასრი, ისკო, ტონი: მათ მუნდიალზე ვერ ვიხილავთ

### 32 ნაკრების მწვრთნელებმა 30-კაციანი შემადგენლობები წარადგინეს

**ფიფას წესების მიხედვით, 13 მაისს მუნდიალის მონაწილე ყველა ნაკრების თავკაცმა ჩააბარა 30-კაციანი განაცხადი, რომელთაგანაც მწვრთნელები 7-7 ფეხბურთელს გამოხშირავენ და 2 ივნისს, დანომრილ 23-კაციან შემადგენლობებს ჩააბარებენ ფიფაში. მსოფლიო ფეხბურთის ორგანიზაცია ამ სიებს ოფიციალურად 5 ივნისს გაასაჯაროებს და „ლელოც“ მათ აუცილებლად წარმოგიდგენთ. მანამდე კი ფავორიტ გუნდთა არჩევანზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას...**

**დიდიე დეშამის** გუნდში თვალში გვხვდება **სამირ ნასრის** არყოფნა, არ არის აგრეთვე ავადმყოფობის გმირულად დამმარცხებელი **ერიკ აბიდალი.** ისინი რეზერვშიც კი არ ირიცხებიან. არადა, ნასრის ანგარიშზე 41 მატჩია ეროვნულ ნაკრებში, ხოლო აბიდალმა 67-ჯერ მოირგო სამფეროვანთა მაისური. დეშამმა საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი შეარჩია - 23 კაცში 8 ფეხბურთელი ჯერ არ არის 25 წლის მათ შორის არის „რეალ სოსიედადის“ ლიდერი **ანტუან გრიზმანი,** რომელსაც ნაკრებში დებიუტი ახლახან, მარტში ჰქონდა.


ერიკ აბიდალი და სამირ ნასრი მაყურებლის როლით უნდა დაკმაყოფილდნენ

ბელგიის ნაკრების თავკაცმა **მარკ ვილმოტსმა რაჯა ნაინგოლანი** სავარაუდოდ, ტურნირს მიღმა დატოვა - ის მხოლოდ სარეზერვო სიაშია. ვილმოტსმა განაცხადა, რომ 30-დან 25-მდე უკვე გაცხრილა გუნდი და ახლა მხოლოდ ორის გამოკლება მართებს.

**პაულო ბენტუს** სიაში დიდი სიურპრიზები არ არის, გუნდში პორტუგალიის ჩემპიონატიდან 11 კაცია, 7 ფეხბურთელი ლა ლიგაში თამაშობს, მათ შორის, ნაკრების ლიდერი **კრიშტიანო რონალდო.**

30-კაციანი სია ერთ-ერთმა ბოლომ „სკუადრა აძურას“ თავკაცმა **ჩეზარე პრანდელიმ** დაასახელა. ვისაც კიდევ ჰქონდა იმედი, რომ **ფრანჩესკო ტოტის** მუნდიალზე იხილავდა, ამ იმედს გავუცრუებთ. სამაგიეროდ, სიაშია **ანტონიო კასანო.** ბრაზილიაში ვერც ვეტერან **ლუკა ტონის** ვიხილავთ და ვერც **ალბერტო ჯილარდინოს.**

მსოფლიოს ჩემპიონ „ფურია როხას' სიაში ჯერჯერობით **დავიდ ვილიაცაა** და **ფერნანდო ტორესიც,** მაგრამ წაიყვანს თუ არა მათ **ვისენტე დელ ბოსკე** ბრაზილიაში, ძალიან რთული კითხვაა... თვალთ გვაკლია **ისკო,** „რეალის“ ნახევარმცველი გაფართოებულ სიაშიც ვერ მოხვდა.

#### იტალია

**მეკარეები:** **ჯანლუიჯი ბუფონი** („იუვენტუსი“), **მატია პერინი** („ჯენოა“), **სალვატორე სირიგუ** (პსჟ, საფრანგეთი)

**მცველები:** **იგნაციო აბატე** („მილანი“), **ანდრეა ბარცალი** („იუვენტუსი“), **ლეონარდო ბონუჩი** („იუვენტუსი“), **ჯორჯო კიელინი** („იუვენტუსი“), **მატეო დარმიანი** („ტორინო“), **მატია დე შილიო** („მილანი“), **კრისტიან მაჯო** („ნაპოლი“), **გაბრიელ პალეტა** („პარმა“), **მანუელ პასკუალი** („ფიორენტინა“), **ანდრეა რანოკია** („ინტერი“)

**ნახევარმცველები:** **ალბერტო აკვილანი** („ფიორენტინა“), **ანტონიო კანდრევა** („ლაციო“), **დანიელე დე როსი** („რომა“), **კლაუდიო მარკიზიო** („იუვენტუსი“), **რიკარდო მონტოლივო** („მილანი“), **ტიაგო მოტა** (პსჟ, საფრანგეთი), **მარკო პაროლო** („პარმა“), **ანდრეა პირლო** („იუვენტუსი“), **რომულო სოუზა** („ვერონა“), **მარკო ვერატი** (პსჟ, საფრანგეთი)

**თავდამსხმელები:** **მარიო ბალოტელი** („მილანი“), **ალესიო ჩერჩი** („ტორინო“), **მატია დესტრო** („რომა“), **ჩირო იმობილე** („ტორინო“), **ლორენცო ინსინიე** („ნაპოლი“), **ჯუზეპე როსი** („ფიორენტინა“), **ანტონიო კასანო** („პარმა“)

#### საფრანგეთი

**მეკარეები:** **უგო ლორისი** („ტოტენჰემი“, ინგლისი), **სტივ მანდანდა** („მარსელი“), **მიკაელ ლანდრო** („ბასტია“)

**მცველები:** **პატრის ევრა** („მანჩესტერი“, ინგლისი), **ლუკას დინი** (პსჟ), **მატიე დებიუში** („ნიუკასლი“, ინგლისი), **ბაკარი სანია**, **ლორან კოშელნი** (ორივე „არსენალი“, ინგლისი), **რაფაელ ვარანი** („რეალი“, ესპანეთი), **ელიაკიმ მანგალა** („პორტუ“, პორტუგალია), **მამადუ სახო** („ლივერპული“, ინგლისი)

**ნახევარმცველები:** **ბლეზ მატუიდი**, **იოან კაბაი** (ორივე პსჟ), **კლემან გრენიე** („ლიონი“), **რიო მავუბა** („ლილი“), **პოლ პოგბა** („იუვენტუსი“, იტალია), **მატიე ვალბუენა** („მარსელი“), **მუსა სისოკო** („ნიუკასლი“, ინგლისი), **ფრანკ რიბერი** („ბაიერნი“, გერმანია)

**თავდამსხმელები:** **ქარიმ ბენზემა** („რეალი“, ესპანეთი), **ლოიკ რემი** („ნიუკასლი“, ინგლისი), **ანტუან გრიზმანი** („სოსიედადი“, ესპანეთი), **ოლივიე ჟირუ** („არსენალი“, ინგლისი)

**რეზერვი (7):** **რემი კაბელია** („მონპელიე“), **მაქსიმ გონალონი** („ლიონი“), **ალექსანდრ ლაკაზეტი** („ლიონი“), **სტეფან რუფიე** („სენტ ეტიენი“), **ლოიკ პერენი** („სენტ ეტიენი“) და **ბენუა ტრემულინასი** („სენტ ეტიენი“)

#### ბელგია

**მეკარეები:** **ტიბო კურტუა** („ატლეტიკო“, ესპანეთი). **სიმონ მინიოლე** („ლივერპული“, ინგლისი), **კუნ კასტელესი** („ჰოფენჰაიმი“, გერმანია), **სილვიო პროტო** („ანდერლეხტი“)

**მცველები:** **ტობი აილდერველდი** („ატლეტიკო“, ესპანეთი), **დანიელ ვან ბუიტენი** („ბაიერნი“, გერმანია), **ვენსან კომპანი** („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), **იან ვერტონგენი** („ტოტენჰემი“, ინგლისი), **ტომას ვერმალენი** („არსენალი“, ინგლისი), **ნიკოლას ლომბერტსი** („ზენიტი“, რუსეთი), **ლორან სიმანი** („სტანდარდი“), **ანტონი ვანდენ ბორე** („ანდერლეხტი“)

**ნახევარმცველები:** **აქსელ ვიტსელი** („ზენიტი“, რუსეთი), **მარუან ფელაინი** („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი), **სტივენ დეფური** („პორტუ“, პორტუგალია), **მუსა დემბელე**, **ნასერ ჩადლი** (ორივე „ტოტენჰემი“, ინგლისი), **კევინ დე ბრუინი** („ვოლფსბურგი“, გერმანია), **დივოკ ორიგი** („ლილი“, საფრანგეთი)

**თავდამსხმელები:** **რომელუ ლუკაკუ**, **კევინ მირალიაში** (ორივე „ევერტონი“, ინგლისი), **ედენ აზარი** („ჩელსი“, ინგლისი), **დრის მერტენსი** („ნაპოლი“, იტალია), **ადნან იანუზაი** („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი)

**რეზერვი (5):** **სებასტიან პოკონიოლი** („ჰანოვერი“, გერმანია), **იელე ვან დამი**, **მიში ბატშუაი** (ორივე „სტანდარდი“), **გიომ ჟილე** („ანდერლეხტი“), **ტორგან აზარი** („ზიულტე-ვარეგემი“), **რაჯა ნაინგოლანი** („რომა“, იტალია)

#### ესპანეთი

**მეკარეები:** **იკერ კასილიასი** („რეალი“), **პეპე რეინა** („ნაპოლი“, იტალია), **დავიდ დე ხეა** („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი)

**მცველები:** **სესარ ასპილიკუეტა** („ჩელსი“, ინგლისი), **ჟერარდ პიკე** („ბარსელონა“), **სერხიო რამოსი** („რეალი“), **ჟორდი ალბა** („ბარსელონა“), **ალბერტო მორენო** („სევილია“), **ხავი მარტინესი** („ბაიერნი“, გერმანია), **რაულ ალბიოლი** („ნაპოლი“, იტალია), **ხუანფრანი** („ატლეტიკო“), **დანი კარვახალი** („რეალი“)

**ნახევარმცველები:** **სერხიო ბუსკეტსი** („ბარსელონა“), **ჩაბი ალონსო** („რეალი“), **კოკე** („ატლეტიკო“), **ანდერ იტურასპე** („ბილბაო“), **ჩავი** („ბარსელონა“), **ტიაგო ალკანტარა** („ბაიერნი“, გერმანია), **პედრო** („ბარსელონა“), **ხესუს ნავასი** („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), **დავიდ სილვა** („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), **სესკ ფაბრეგასი** („ბარსელონა“), **ხუან მატა** („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი), **სანტი კასორლა** („არსენალი“, ინგლისი), **ანდრეს ინიესტა** („ბარსელონა“)

**თავდამსხმელები:** **დიეგო კოშტა** („ატლეტიკო“), **დავიდ ვილია** („ატლეტიკო“), **ალვარო ნეგრედო** („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), **ფერნანდო ტორესი** („ჩელსი“, ინგლისი), **ფერნანდო ლორენტე** („იუვენტუსი“, იტალია)



დელ ბოსკემ ისკო გაცხრილა, 23 კაცს კი ჩემპიონთა ლიგის ფინალის მერე იტყვის

#### ურუგვაი

**მეკარეები:** **ფერნანდო მუსლერა** („გალათასარაი“, თურქეთი), **მარტინ სილვა** („ვასკო და გამა“, ბრაზილია), **როდრიგო მუნიოსი** („ლიბერტადი“, პარაგვაი)

**მცველები:** **დიეგო ლუგანო** („ვესტ ბრომვიჩი“, ინგლისი), **დიეგო გოდინი**, **ხოსე მარია ხიმენესი** (ორივე „ატლეტიკო“, ესპანეთი), **მარტინ კასერესი** („იუვენტუსი“, იტალია), **მაქსიმილიანო პერეირა** („ბენფიკა“, პორტუგალია), **ხორხე ფუსილე** („პორტუ“, პორტუგალია), **სებასტიან კოატესი** („ნასიონალი“, ურუგვაი), **ალეხანდრო სილვა** („ლანუსი“, არგენტინა)

**ნახევარმცველები:** **არევალო რიოსი** („მორელია“, მექსიკა), **ვალტერ გარგანო** („პარმა“, იტალია), **დიეგო პერესი** („ბოლონია“, იტალია), **სებასტიან ეგურენი** („პალმეირასი“, ბრაზილია), **ალვარო გონსალესი** („ლაციო“, იტალია), **ალვარო პერეირა** („სან პაულუ“, ბრაზილია), **კრისტიან როდრიგესი** („ატლეტიკო“, ესპანეთი), **გასტონ რამირესი** („საუთჰემპტონი“, ინგლისი), **ნიკოლას ლოდეირო** („ბოტაფოგო“, ბრაზილია)

**თავდამსხმელები:** **ედინსონ კავანი** („პარი სენ ჟერმენი“, საფრანგეთი), **ლუის სუარესი** („ლივერპული“, ინგლისი), **დიეგო ფორლანი** („სერესო ოსაკა“, იაპონია), **აბელ ერნანდესი** („პალერმო“, იტალია), **კრისტიან სტუანი** („ესპანიოლი“, ესპანეთი)

**რეზერვი (3):** **ანდრეს სკოტი** („ნასიონალი“, ურუგვაი), **ალვარო ფერნანდესი** („ხიმნასია ლა პლატა“, არგენტინა), **გონსალო კასტრო** („რეალ სოსიედადი“, ესპანეთი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● გერმანიის ნაკრები

# ეს რას ნიშნავს, იოახიმ?

## დისკუსია გერმანიის ნაკრების შემადგენლობის გარშემო

**გერმანიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა ბუნდესგუნდის გაფართოებული შემადგენლობა წინა კვირაში გამოაქვეყნა. 30-კაციანმა სიამ გერმანიაში დიდი დისკუსია გამოიწვია, რადგან იოგის რამდენიმე გადაწყვეტილება მოულოდნელი გამოდგა. გერმანიის ნაკრების ქომაგებს რამდენიმე კითხვა გაუჩნდათ და ჩვენი გერმანელი კოლეგები, კერძოდ კი გაზეთი „ბილდი“ შეეცადა, ამ კითხვებზე ეპასუხა.

### რატომ არ მიჰყავს ლიოვს მესამე მეკარედ ტერ შტეგენი და რატომ მიჰყავს ცილერი?

მარკ-ანდრე ტერ შტეგენი უნიჭიერესი მეკარეა, რასაც თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი მოწმობს, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ „ბარსელონაში“ გადადის. მიუხედავად ამისა, ლიოვმა გადაწყვიტა, რომ ტერ შტეგენი შინ დატოვოს და მსოფლიოს ჩემპიონატზე **მანუელ ნოიერთან** (ბაიერნი) და **რომან ვაიდენფელერთან** (დორტმუნდი) ერთად „ჰანოვერის“ ასევე საკმაოდ ნიჭიერი გოლკიპერი **რონ-რობერტ ცილერი** წაიყვანოს. ცნობისათვის, იოგის ცილერი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზეც ჰყავდა. „ჰანოვერის“ მეკარე გუნდური მოთამაშეა და ჩვენი გერმანელი კოლეგების რწმენით, იცის, როგორ უნდა მოიქცეს დიდ ტურნირზე მესამე მეკარის რანგში. თანაც, ცილერს არ აქვს იმის პრეტენზია, რომ მეორე, ან სულაც პირველ მეკარედ იწოდებოდეს. ტერ შტეგენის წინააღმდეგ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელს გერმანიის ნაკრებში ცუდი ბალანსი აქვს - მან ბუნდესგუნდის ფორმა სამ შეხვედრაში მოირგო და ამ სამ მატჩში 12 (!) გოლი გაუშვა.

### პოდოლსკი ბრაზილიაში ძველი დამსახურებების გამო მიდის?

არც უამისობაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **ლუკას პოდოლსკი** ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 112 მატჩი აქვს ჩატარებული. „არსენალში“ პოლდი დიდხანს იყო ტრავმირებული, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ პროგრესი აშკარაა - ინგლისის ჩემპიონატის მეორე წრეში მან ხუთი გოლის გატანა მოახერხა. როგორც ჩანს, ლიოვს იმედი აქვს, რომ პოდოლსკი მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტს კარგ ფორმაში შეხვდება. ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში პოდოლსკის უმთავრეს კონკურენტად **ანდრე შიურლე** მიიჩნევა, რომელსაც „ჩელსიში“ ასევე ხშირად უწევდა სათადარიგოთა სკამის ხეხვა. ცნობისათვის, შიურლემ ინგლისის ჩემპიონატის მეორე წრეში 4 გოლის გატანა მოახერხა. ასე რომ, ჯერაც საკითხავია, ლიოვის 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში მარცხენა გარემარბად შიურლეს გამწესება სჯობია, თუ ისევ პოდოლსკისა.

### სიაში 6 ისეთი ფეხბურთელია, რომლებსაც გერმანიის ნაკრებში არასდროს უთამაშიათ. რატომ?

გერმანელ ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ ლიოვი ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან **ლეონ გორეტცკა** (შალკე) ან **ანდრე ჰანი** (აუგსბურგი) ბრაზილიაში არ წაიყვანს. სხვა მხრივ, იოგის გაფართოებული შემადგენლობა უმეტესად საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. მაგალითად, **მიროსლავ კლოზესთვის** ეს მუნდიალი მეოთხე იქნება, **ბასტიან შვაინშტაიგერისთვის**, ლუკას პოდოლსკისთვის და **პერ მერტეზაკერისთვის** კი - მესამე.




### სად ათამაშებს ლიოვი ლამს - მარჯვენა მცველად თუ საყრდენ ნახევარმცველად?

ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ ფორმაში იქნება **სამი ხედირა**. „ბაიერნმა“ მადრიდის „რეალთან“ 0:4 რომ წააგო, იოგიმ იმ შეხვედრაში დაინახა, რომ შვაინშტაიგერისა და **კროოსის** ტანდემს საყრდენი ნახევარმცველების რანგში პრობლემები ექმნებათ. თუ ხედირა ფორმაში იქნება, ნახევარდაცვის ცენტრში შვაინშტაიგერს სწორედ ის შეუწყვილდება და ასეთ შემთხვევაში ლიოვი **ლამს** მისთვის ჩვეულ პოზიციაზე, მარჯვენა მცველად ათამაშებს. თუ ხედირა ფორმაში არ იქნა, მაშინ იოგი ლამს საყრდენად გამოიყენებს.

### ვინ იქნება მარცხენა მცველი: შმელცერი თუ დურმი?

გამორიცხული ნამდვილად არ არის ის, რომ ლიოვმა მუნდიალის პირველ მატჩში, პორტუგალიასთან, დაცვის მარცხენა ფლანგზე სწორედ **დურმი** გაამწესოს. ახალგაზრდა დორტმუნდელმა „რეალთან“ ორივე შეხვედრაში ძალიან კარგად ითამაშა და ლიოვმა არაერთხელ თქვა, რომ ის ძალიან მოსწონს. ასე რომ, შესაძლოა დურმს ამ მუნდიალზე ისეთივე ეფექტი ჰქონდეს, როგორიც **თომას მიულერს** ჰქონდა ოთხი წლის წინათ.

### საკმარისია თუ არა მხოლოდ ორი ცენტრფორვარდი?

გერმანიის ნაკრების ქომაგები ლიოვს ყველაზე მეტად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ორი კლასიკური ცენტრფორვარდი (მიროსლავ კლოზე და **კევინ ფოლანდი**) მიჰყავს. როგორც მოსალოდნელი იყო, იოგიმ **შტეფან კისლინგზეც** (ლევერკუზენი) უარი თქვა და **მარიო გომესზეც** (ფიორენტინა). ფაქტია, რომ ბუნდესგუნდის ძირითადი თავდამსხმელი კლოზე იქნება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ფოლანდი შეცვლის. ცნობისათვის, ამ უკანასკნელს ორივე ფლანგზეც შეუძლია თამაში. გარდა ამისა, იოგის ცენტრფორვარდის პოზიციაზე თომას მიულერის, **მარკო როისის** ან **მარიო გიოტცეს** გამწესებაც შეუძლია.

### თუ ხედირა გამოიძახა, რატომ არ გამოიძახა გომესი?

სამი ხედირას და მარიო გომესს ტრავმების გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდათ. მიუხედავად ამისა, ხედირა განაცხადშია, გომესი - არა. საქმე ისაა, რომ სამი ხედირა გერმანიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი, ძირითადი შემადგენლობის წევრია. თანაც, უკვე საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და დიდი შანსია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშოს. რაც შეეხება გომესს: მარიომ სექტემბრის შემდეგ მოედანზე მხოლოდ 280 წუთი გაატარა. შესაძლოა, ლიოვმა გომესზე უარი იმიტომ თქვა, რომ მას ძირითად შემადგენლობაში ვერ ხედავს.

### იოზილს ცუდი სეზონი ჰქონდა - შეუძლია მესუთს ბუნდესგუნდის ლიდერობა?

**მესუთ იოზილს** „არსენალში“ ცუდი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ბოლო დროს გამოსწორდა და შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტს კარგ ფორმაში შეხვდეს. ფაქტია, რომ მესუთი გერმანიის ნაკრების ლიდერი მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება.

### რატომ აღარ ლაპარაკობს ლიოვი ჩემპიონობაზე?

ყველამ იცის, რომ გერმანიის ნაკრები მუნდიალის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. ლიოვი მსოფლიოს ჩემპიონობას აღარ ახსენებს, რადგან უნდა, რომ გუნდი წნეხისგან გაათავისუფლოს.

### რომელი ფეხბურთელები ამოვარდებიან სიიდან?

ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდებიან ისეთი გამოუცდელი მოთამაშეები, როგორებიც არიან **გინტერი**, გორეტცკა, **მაიერი**, **მუსტაფი** და ჰანი. რაც შეეხება დურმს - ლიოვი მას ბრაზილიაში ალბათ წაიყვანს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიიდან ან შმელცერი ამოვარდება, ანაც **იანსენი**. ასე რომ, იოგის ფაქტობრივად ერთი ფეხბურთელიღა რჩება ამოსაგდები და ექსპერტების აზრით, მეშვიდე უილბლო ან **დრაქსლერი** იქნება, ან **ჰიოვედესი**, ანაც **გროსკროიტცი**.

აქვე, თვალი გადაავლეთ გერმანიის ნაკრების გაფართოებულ 30-კაციან შემადგენლობას:

**მეკარეები:** მანუელ ნოიერი (ბაიერნი), რომან ვაიდენფელერი (დორტმუნდი), რონ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი)

**მცველები:** ჟერომ ბოატენგი (ბაიერნი), ერიკ დურმი (დორტმუნდი), კევინ გროსკროიტცი (დორტმუნდი), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), მატს ჰუმელსი (დორტმუნდი), მარსელ იანსენი (ჰამბურგი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (არსენალი), შკოდრან მუსტაფი (სამპდორია), მარსელ შმელცერი (დორტმუნდი).

**ნახევარმცველები:** ლარს ბენდერი (ლევერკუზენი), იულიან დრაქსლერი (შალკე), მატიას გინტერი (ფრაიბურგი), ლეონ გორეტცკა (შალკე), მარიო გიოტცე (ბაიერნი), ანდრე ჰანი (აუგსბურგი), სამი ხედირა (რეალი), ტონი კროოსი (ბაიერნი), მაქს მაიერი (შალკე), თომას მიულერი (ბაიერნი), მესუთ იოზილი (არსენალი), ლუკას პოდოლსკი (არსენალი), მარკო როისი (დორტმუნდი), ანდრე შიურლე (ჩელსი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი).

**თავდამსხმელები:** მიროსლავ კლოზე (ლაციო), კევინ ფოლანდი (ჰოფენჰაიმი).



იოგის მუნდიალზე მხოლოდ ორი კლასიკური ცენტრფორვარდი მიჰყავს - მიროსლავ კლოზე და კევინ ფოლანდი

● შვეიცარიის ნაკრები

# ჰიტცფელდის საბოლოო სია

## ოტმარმა დერდიოკი სახლში დატოვა!



შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი

იმ დროს, როცა სხვა ნაკრების მწვრთნელები გაფართოებულ შემადგენლობებს ასახელებენ, შვეიცარიის ნაკრების დამრიგებელი **ოტმარ ჰიტცფელდი** უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებულია, თუ ვისი წაყვანა უნდა მუნდიალზე. ჰიტცფელდმა გუშინ ზუსტი, 23-კაციანი სია გამოაქვეყნა. ქვემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელების გარდა, ჰიტცფელდს დამატებით სიაში ოთხი მოთამაშე ჰყავს: **პირმინ შვეგლერი** (აინტრახტი), **ერენ დერდიოკი** (ლევერკუზენი), **მარვინ ჰიტცი** (აუგსბურგი) და **ტიმ კლოზე** (ნიურნბერგი). ეს ფეხბურთელები ბრაზილიაში იმ შემთხვევაში გაემგზავრებიან, თუ 23-კაციანი სიიდან ვინმე დაშავდება. რაც შეეხება ამ სიას:

მეკარეები: **დიეგო ბენალიო** (ვოლფსბურგი), **რომან ბიურკი** (გრასჰოპერსი), **იან ზომერი** (ბაზელი).

მცველები: **იოჰან ჯურუ** (ჰამბურგი), **მიხაელ ლანგი** (გრასჰოპერსი), **სტეფენ ლიხტშტაინერი** (იუვენტუსი), **რიკარდო როდრიგესი** (ვოლფსბურგი), **ფაბიან შერი** (ბაზელი), **ფილიპ სენდეროსი** (ვალენსია), **სტივ ფონ ბერგენი** (იანგ ბოიზი), **რეტო ციგლერი** (სასუოლო).

ნახევარმცველები: **ტრანკვილიო ბარნეტა** (აინტრახტი), **ვალონ ბეჰრამი** (ნაპოლი), **ბლერიმ ჯემაილი** (ნაპოლი), **ჟელსონ ფერნანდესი** (ფრაიბურგი), **გიოქჰან ინლერი** (ნაპოლი), **ჯერდან შაჩირი** (ბაიერნი), **ვალენტინ შტოკერი** (ბაზელი), **გრანიტ ჯაკა** (გლადბახი).

თავდამსხმელები: **იოზიპ დრმიჩი** (ნიურნბერგი), **მარიო გავრანოვიჩი** (ციურიხი), **ადმირ მეჰმედი** (ფრაიბურგი), **ჰარის სეფეროვიჩი** (რეალ სოსიედადი).

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო საქმე

# მილანში ზეეს სპალეტი შეცვლის?

## კონტეს მემკვიდრედ ზიზუს ასახელებენ


დიდი ალბათობით, ლუჩანო სპალეტი „მილანს“ ჩაუდგება სათავეში

**იტალიაში სეზონის დასრულებამდე ტური რჩება, თუმცა უკვე საუბრობენ სამწვრთნელო ცვლილებებზე. ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში „მილანია“, თუმცა მოულოდნელად, „იუვენტუსშიც“ საჭოჭმანო სიტუაცია შეიქმნა...**

„გაძეტა დელო სპორტის“ გუშინდელი ნომრის ყდაზე **ლუჩანო სპალეტი სილვიო ბერლუსკონისთან** ერთად იყო გამოსახული, სტატიაში კი გვარწმუნებენ, რომ პრაქტიკულად გადაწყვეტილია თუ ვინ შეცვლის **კლარენს ზეედორფს...** დიახ, თუ ავტორიტეტულ გამოცემას ვენდობით, მომდევნო სეზონიდან „როსონერის“ მთავარი მწვრთნელი სენიორ სპალეტი იქნება, რომელმაც „უდინეზეში“ მუშაობით გაითქვა სახელი, „რომაში“ კიდევ უფრო მეტი ავტორიტეტი მოიხვეჭა და შემდეგ, მოულოდნელად რუსეთში გადაბარგდა.

ორიოდე დღის წინ, „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი მასმედიის წარმომადგენლებს ესაუბრა და განაცხადა, რომ მხოლოდ მან და კიდევ რამდენიმე ადამიანმა იციან თუ ვინ იქნება მომდევნო სეზონში „როსონერის“ მთავარი მწვრთნელი. ამან პრაქტიკულად დაადასტურა ხმები კლარენს ზეედორფის მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. სპალეტი ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ „გაძეტა“ სანდო წყაროზე დაყრდნობით ამ ამბავს უკვე დაჟინებით ამტკიცებს... სენიორ ლუჩანო უკვე რამდენიმე თვეა იტალიაშია და სერია A-ს უკანასკნელი ტურების არაერთ შეხვედრას დაესწრო. ითქვა ისიც, რომ სპალეტიმ რამდენიმე იტალიური გუნდის წინადადება უარყო სასურველი შეთავაზების მოლოდინში; თუ „გაძეტა დელო სპორტის“ პროგნოზი გამართლდა, გამოდის, რომ ეს სასურველი წინადადება ლუჩანომ დონ სილვიოსგან მიიღო. ამ თემაზე ფრთხილი კომენტარი თავად მწვრთნელმა გააკეთა:

*„მაქვს თუ არა „მილანთან“ შეთანხმება? - სეზონის დასრულებამდე კიდევ ერთი ტურია დარჩენილი და მოდით, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით. ვადასტურებ, რომ რამდენიმე კლუბთან მქონდა მოლაპარაკება, მათ შორის „მილანთან“. უმჯობესია დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ყველაფერს მოეფინება ნათელი“.*

### მონტელას დარჩენა სურს

„მილანის“ მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად **ვინჩენცო მონტელა** განიხილებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა. თავად მწვრთნელი „ფიორენტინაში“ ლამობს დარჩენას და ამას არც მალავს:

*„რთული სეზონი იყო, რომელიც მთლიანობაში დადებითად უნდა შევაფასოთ. მართალია, უტიტულოდ დავრჩით და ვერც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, მაგრამ ეს ჩვენი გუნდის კარგ თამაშს ვერ დააკნინებს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტრავმებმა გვარიანად შეგვიშალა ხელი - თითქმის მთელი სეზონი გაუცდათ იმ ფორვარდებს, რომლებზეც ყველაზე დიდ იმედებს ვამყარებდით. ჯუზეპე როსისთან და მარიო გომესთან ერთად, გაცილებით მეტის მიღწევა შეგვეძლო. მეც დავუშვი შეცდომები და ვიცი, რომ გუნდთან ერთად, მეც უნდა გავიზარდო. ჩემი სურვილი „ფიორენტინაში“ დარჩენაა და თუ კლუბის მესვეურები ამის წინააღმდეგნი არ იქნებიან, სიამოვნებით დავრჩები. „მილანი“? - ჩემივე მომავლისთვის აჯობებს, რომ ფლორენციაში დავრჩე და მეტი ვისწავლო“.*

### კონტე მიდის?

იტალიურ სპორტულ პრესაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ, რომ **ანტონიო კონტეს** „იუვენტუსის“ მესვეურებთან უთანხმოება აქვს, რის გამოც შესაძლოა, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვოს. ერთი ხანობა, იმასაც კი ამბობდნენ, რომ კონტეს კანდიდატურა „მილანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე განიხილება, მაგრამ მას შემდეგ, რაც „როსონერიში“ ლუჩანო სპალეტის ვარიანტი გამოიკვეთა, კონტე სხვა მიმართულებით გაუშვეს... „კორიერე დელო სპორტის“ მტკიცებით, ანტონიოს „მონაკოს“ მესვეურები ზღაპრულ წინადადებას უმზადებენ და არის შანსი, ახალგაზრდა სპეციალისტი თავისთან წაიყვანონ. ამ თემაზე თავად მწვრთნელს ჰკითხეს, მაგრამ კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. თავად ის ფაქტი, რომ კონტემ კლუბის მესვეურებთან არსებული უთანხმოება არ უარყო, ბევრ რამეზე მეტყველებს.

საინტერესოა ისიც, რომ უკვე თამამად საუბრობენ კონტეს სავარაუდო შემცვლელსა და შესაბამისად, „იუვეს“ მომავალ დამრიგებელზე. ყველაზე საინტერესოდ **ზინედინ ზიდანის** კანდიდატურა მოჩანს, რომელსაც მწვრთნელობა სურს. შეგახსენებთ, რომ ზიზუ „იუვეში“ შემთხვევითი კაცი არაა და ამ გუნდში მთელი ხუთი წელი აქვს გატარებული. ჯერჯერობით, კონტეს „ვეკია სენიორადან“ აბარგებაზე გადაჭრით ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ესეც ფაქტია.

ინტერი



„ინტერის“ მესვეურებმა 4 ნომერი ხავიერ ძანეტის უსახსოვრეს

# 4 ნომერი ძანეტის

სერია A-ს გასული ტურის უმთავრესი მოვლენა **ხავიერ ძანეტის** გაცილება გახლდათ. 40 წლის არგენტინელი ფეხბურთელი „ინტერის“ ქომაგებმა მხურვალე ოვაციებით გააცილეს და როგორც ირკვევა, მას პატივს არც კლუბის მესვეურები დააკლებენ. მომდევნო სეზონიდან, ძანეტი „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტი იქნება, მის 4-ნომრიან მაისურს კი უკვე ველარავინ მოირგებს კლუბში. დიახ, „ნერაძურის“ დირექტორთა საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ 4-ნომრიანი მაისურა ხავიერის მუდმივ მფლობელობაში გადავიდეს.

შეგახსენებთ, რომ ხავიერ ძანეტიმ „ინტერის“ ამუნიცია 1995 წელს მოირგო და მას შემდეგ, ამ გუნდში ასპარეზობს. „ლაციოსთან“ შეხვედრა 857-ე იყო არგენტინელის 19-წლიან მილანურ კარიერაში. აქვე ვთქვათ, რომ აქამდე „ინტერის“ ფეხბურთელთაგან მხოლოდ **ჯაჩინტო ფაკეტის** უსახსოვრეს ნომერი და მას შემდეგ, „ნერაძურის“ 3-ნომრიანი მაისურა ალარავის ჩაუცვამს.

ლაციო



„ლაციოს“ პრეზიდენტს დომენიკო ბერარდის გადაბირება სურს

# კლაუდიო ლოტიტოს საზაფხულო გეგმები

„ლაციოს“ გულშემატკივრები **კლაუდიო ლოტიტოს** კლუბის გაყიდვას სთხოვენ, მაგრამ ეს უკანასკნელი ყურს არავის უგდებს და ზაფხულის სატრანსფერო გეგმებზე საუბრობს. „ბიანკოჩელესტეს“ პრეზიდენტმა არ დამალა, რომ ყველაზე მეტად შეტევის გაძლიერება სურს და უკვე მონიშნული ჰყავს ის ფეხბურთელები, რომელთა გადაბირებასაც შეეცდება. მართალია, თავად ლოტიტომ გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა, მაგრამ იტალიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა ყველაფერი გაარკვიეს - რომაელთა სამიზნეში ორი შემტევია: **დომენიკო ბერარდი** და **იბრაჰიმ აფელაი...**

ბერარდი მიმდინარე სეზონში „სასუოლოს“ ღირსებას იცავს, 16 გოლი აქვს გატანილი და პერსპექტიულ ფორვარდად ითვლება. 19 წლის ტალანტის სატრანსფერო უფლებების ნახევარს „იუვენტუსი“ ფლობს და ამ ზაფხულს, მის მთლიანად გამოსყიდვას აპირებს. თუმცა, ლოტიტოს ეს არ აფერხებს და მოლაპარაკების წარმოებას სწორედ „ვეკია სენიორასთან“ საიჯარო შეთანხმებაზე აპირებს. რაც შეეხება აფელაის, „ბარსელონაში“ ირიცხება, მაგრამ მიმდინარე სეზონში თამაში პრაქტიკულად არ უწევს. 28 წლის ჰოლანდიელ შემტევს კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი ამ ზაფხულს ეწურება და შეუძლია, ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდეს.

„ლაციოსთან“ დაკავშირებით, სამწვრთნელო სიახლეებიც ვრცელდება - დიდი ალბათობით, **ედუარდო რეია** დატოვებს გუნდს, მის შესაძლო შემცვლელად კი **სინიშა მიხაილოვიჩი** სახელდება. სერბი სპეციალისტი ამჟამად „სამპდორიას“ უდგას სათავეში, თუმცა არაერთხელ განაცხადა, რომ უფრო ამბიციურ გუნდში მუშაობის დიდი სურვილი აქვს.

დისკვალიფიკაცია

# ჯორჯო კიელინის 3 მატჩი მიუსაჯეს

„რომა“-„იუვენტუსის“ შეხვედრა დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა, მაგრამ მიუხედავად სატურნირო უმოტივაციობისა, დაძაბულობა არც ერთი წუთით არ განელებულა. ფეხბურთელები ხისტად მოქმედებდნენ, ერთ ეპიზოდში კი **ჯორჯო კიელინი** ზღვარს გადავიდა. „იუვენტუსის“ მცველმა **მირალემ პიანიჩს** იდაყვი უთავაზა და ძირს დაანარცხა. არბიტრ **კარმინე რუსოს** ეპიზოდი არ გამორჩენია, მაგრამ რადგან ჯორჯოს ერთი ყვითელი ბარათი უკვე ჰქონდა, მისი გაძევებისგან თავი შეიკავა.

აღნიშნული ინციდენტი ნამატჩევს, „ლეგა კალჩოს“ სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა და კიელინის 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. როგორც კომიტეტის ხელმძღვანელმა განაცხადა, გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ჯორჯოს ნერვებმა უმტყუნა და ხელი განზრახ მოიქნია. შედეგად, „იუვეს“ უკანახაზელი დასაჯეს... ჯორჯო სერია A-ს მიმდინარე გათამაშების ბოლო ტურის მატჩს და მომდევნო სეზონის საწყის ორ ტურს გამოტოვებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ამ დარტყმისთვის ჯორჯო კიელინის 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ იუნაიტედი

# რიომ ახალგაზრდებს გზა დაუთმო




რიო ფერდინანდი გულშემატკივარს ემშვიდობება

„მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებული 12 წლის შემდეგ **რიო ფერდინანდმა** კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი მიიღო. 35 წლის ფეხბურთელი აქტიური კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს. მას შემოთავაზებები აქვს როგორც ინგლისური, ისე კონტინენტური ევროპისა და ამერიკული კლუბებისგანაც. გადაწყვეტილებას ვეტერანი მოგვიანებით მიიღებს. BBC-ის ცნობით, მანჩესტერელები მას საპატიო ელჩის პოსტს სთავაზობდნენ, თუმცა ფეხბურთელმა ამაზე უარი თქვა. შესაძლოა, რიო შეთავაზებას ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ დათანხმდეს. ფერდინანდმა „ეშმაკების" გულშემატკივარს კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმართა გამოსათხოვარი წერილით, სადაც ვკითხულობთ:

*„დიდხანს ვფიქრობდი, თუ როგორ მოვქცეულიყავი. საბოლოოდ „იუნაიტედიდან" წასვლა გადავწყვიტე. ჩემი აზრით, ის მსოფლიოს საუკეთესო კლუბია, თუმცა იმასაც ვხვდები, რომ მოვიდა დრო, გზა ახალგაზრდებს დავუთმო. ამაში განსაკუთრებული არაფერია. როცა აქ მოვდიოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რამდენად წარმატებული კარიერა მექნებოდა. პრემიერლიგის პირველი ოქროს მედალი, წარმატება ჩემპიონთა ლიგაში - ამ ყველაფერს ვერასოდეს დავივიწყებ. გამოთხოვება სხვაგვარად წარმომედგინა, თუმცა ამაში კონკრეტულმა გარემოებებმა შემიშალა ხელი. მინდა, გულშემატკივარს, ჩემს თანაგუნდელებს, სამწვრთნელო შტაბის წევრებს, ხელმძღვანელებს მადლობა ვუთხრა. ის ტიტულები, რაზეც ბავშვობაში ვოცნებობდი, სწორედ აქ, ამ უდიდეს კლუბში მოვიპოვე. მეორე მხრივ, არაფერი მაწუხებს და მზად ვარ, კარიერაში მომდევნო გამოწვევებისთვის".*

რიო ფერდინანდი „იუნაიტედში" 2002 წლიდან თამაშობდა. „ლიდსიდან" მისი ტრანსფერი 20 მილიონი ფუნტი დაჯდა, რაც 12 წლის წინ ბრიტანული ფეხბურთის უმსხვილესი ტრანსფერი იყო. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელმა „ეშმაკების" ღირსება 455 შეხვედრაში დაიცვა, 6-ჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, 4-ჯერ მოიგო ინგლისის სუპერთასი, ორჯერ იმარჯვა ინგლისის ლიგის თასზე, თითოჯერ კი ასოციაციის თასი, ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

## დირექტორმა ფეხბურთელები აღაშფოთა

გუშინდელი „დეილი მეილის" ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორის **ედ ვუდვორდის** საქციელით ფეხბურთელები აღშფოთებულები დარჩნენ. ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მან რიო ფერდინანდსა და **ფილ ნევილს** კლუბის გადაწყვეტილების შესახებ, რომ მათთან კონტრაქტები აღარ გაგრძელდებოდა, „საუთჰემპტონთან" მატჩის დასრულების შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალ გზაზე, თანაც სხვების თანდასწრებით გამოუცხადა. გამოცემის ცნობით, „იუნაიტედი" უახლოეს ხანებში შესთავაზებს კლუბში დაბრუნებას სერ **ალექს ფერგიუსონის** ყოფილ ასისტენტ **რენე მალენსტენს**, ვინც გასულ სეზონში „ფულჰემის" მთავარ მწვრთნელად სულ რამდენიმე თვე გაძლო. ის **ლუი ვან გაალის** შტაბში დასაქმდება.

● ტოტენჰემი

# შერვუდს შანსი აღარ მისცეს

## სახალისო ექსპერიმენტი ბოლო ტურში

„ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელი **ტიმ შერვუდი** მიიჩნევს, რომ ის შეძლებდა ჩრდილოლონდონელთა ჩემპიონთა ლიგაში გაყვანას, გუნდთან სამუშაოდ მთელი სეზონი რომ ჰქონოდა. 45 წლის სპეციალისტმა ამ თემაზე BBC-სთან ინტერვიუში ილაპარაკა. თუკი სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ შერვუდის ხელმძღვანელობით „ტოტენჰემმა" თამაშების 59% მოიგო. მსგავსი შედეგი „დეზების" პრემიერლიგურ ისტორიაში ჯერ არც ერთ მწვრთნელს არ ჰქონია. შერვუდი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **დენიელ ლევის** გუშინ პირისპირ შეხვდა, სადაც საბოლოოდ გაირკვა, რომ ხელმძღვანელობა მას გუნდს მომდევნო სეზონისთვის აღარ ანდობდა. ექსპერტთა დიდი ნაწილი სწორედ ამას წინასწარმეტყველებდა. კლუბმა მწვრთნელს საკუთარ სისტემაში სხვა სამსახური შესთავაზა. შერვუდმა ბოლო ინტერვიუში „ასტონ ვილასთან" მატჩის მიმდინარეობისას მომხდარ სახალისო ეპიზოდზეც გააკეთა კომენტარი, როცა მან მწვრთნელის სავარძელი „ტოტენჰემის" ერთგულ ქომაგ **დენი გრისდეილს** დაუთმო და საშუალება მისცა, საკუთარ ტყავზე ეგრძნო, რას ნიშნავს, იყო ამბიციური გუნდის დამრიგებელი. გეტყვით იმასაც, რომ „ტოტენჰემის" ყოფილ დამრიგებელს „ბრაიტონმა" **ოსკარ გარსიას** გადადგომის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტი უკვე შესთავაზა.

*„სეზონი მე რომ დამეწყო, ჩემპიონთა ლიგაში აუცილებლად მოვხვდებოდით. თუკი წინასწარ მეცოდინებოდა, რომ გუნდს მხოლოდ ხუთი თვით ჩამაბარებდნენ, გულწრფელად რომ გითხრათ, საქმეს ხელს არ მოვკიდებდი. გამოდის, რომ გადაწყვეტილება შედეგებზე დამოკიდებული არ ყოფილა, რადგან ჩემ მიერ გაწეული სამუშაოს ობიექტური შეფასება ნახევარი სეზონის მიხედვით შეუძლებელია. ვამაყობ, რომ თამაშების 59% მოვიგე. ამით ბედნიერი ვარ. ჩემი საქმის კეთება ძალიან მიყვარს და მომავალშიც მხოლოდ ამით მინდა ვიყო დაკავებული. გრიმსდეილი ყოველ თამაშზე მკარნახობდა, თუ რა უნდა გამეკეთებინა, „ტიმ, ის შეცვალე, ტიმ, ეს შემოიყვანე". ის კარგი მენეჯერია და თავის გამოჩენის შანსი მივეცი. ფეხბურთი ხომ გულშემატკივრებისთვის არის".*

ექსპერიმენტით აღფრთოვანებული დარჩა იღბლიანი გულშემატკივარიც, ვინც „მირორს" შემდეგი განუცხადა: *„ეს იმდენად მაგარი რამე იყო, რასაც ცხოვრების ბოლომდე ვერ დავივიწყებ. თამაშის განმავლობაში შერვუდს რამდენიმე შეცვლა ვურჩიე და ისე მოხდა, რომ დამიჯერა. მერე ის მომიბრუნდა და მითხრა, რომ შემეძლო მის სავარძელში ჩავმჯდარიყავი. ეს არარეალური შემოთავაზება იყო. მთელი ცხოვრებაა „ტოტენჰემს" ვგულშემატკივრობ და არავის ვიცნობ ისეთს, ვინც პრემიერლიგის შეხვედრაში „დეზების" თავკაცის სავარძელში მჯდარა".*



ტიმ შერვუდი და დენი გრისდეილი

● პრემიერლიგის რჩეულნი




ლუის სუარესი სეზონის უმთავრესი ინდივიდუალური პრიზებით ხელში

# სუარესის ჰეთთრიკი

**ლუის სუარესი** სეზონის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ აღიარეს. 27 წლის ურუგვაელი რამდენიმე დღის ინტერვალით ჯერ ფეხბურთზე მწერალმა ჟურნალისტებმა ცნეს საუკეთესოდ, მერე კოლეგა ფეხბურთელებმა, ახლა კი პრემიერლიგამაც სათანადოდ დააფასა მისი ნიჭი და საუკეთესოდ აღიარა. ურუგვაელმა 33 თამაშში 31 გოლით გამოიჩინა თავი და 12 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. გაითვალისწინეთ, რომ მან პირველი ხუთი ტური დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, რაც ფეხბურთელის მიღწევას უფრო მეტ ფასს სძენს.

გუშინ პრემიერლიგამ წლის სხვა ნომინანტებიც დაასახელა. საუკეთესო მეკარის პრიზი ორ გოლკიპერს გადაეცა - **ვოიცეხ შჩესნის** „არსენალიდან" და **პეტრ ჩეხს** „ჩელსიდან". აღსანიშნავია, რომ სეზონის განმავლობაში ორივემ 16-16-ჯერ მოახერხა კარის მშრალად შენახვა. 24 წლის პოლონელისთვის მსგავსი აღიარება კარიერაში პირველია, 31 წლის ჩეხი კი პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ უკვე მესამედ ცნო საუკეთესოდ თანაამპლუელთა შორის.

სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი კი „კრისტალ პალასის" დამრიგებელ **ტონი პულისს** გადაეცა, ვინც უიმედო აუტსაიდერად მონათლული დედაქალაქური კლუბი გასული წლის ნოემბერში ჩაიბარა და სეზონი მე-11 ადგილზე, ბოლო 8 ტურში 5 მოგებითა და 2 ფრით დაასრულა.

აქვე გეტყვით, რომ საფეხბურთო ლიგისგან განსხვავებით, 2013/14 წლების საუკეთესო სპეციალისტად მწვრთნელთა ასოციაციამ „ლივერპულის" დამრიგებელი **ბრენდან როჯერსი** დაასახელა.

● ამბები

## 300 მილიონი მელიებისთვის

„ლესტერ სიტი" პრემიერლიგის არა მარტო 2014/15 წლების სეზონისთვის იწყებს მზადებას, არამედ სერიოზულად გეგმავს ელიტურ ლიგაში ადგილის დამკვიდრებას და ევროსაგზურებისთვის ბრძოლას, იუწყება „გარდიანი". „მელიების" ტაილანდელი მესაკუთრე, მილიარდერი **ვიშაი შრივადჰანაპრაბჰა** ამ მიზნით უახლოესი 5 წლის განმავლობაში გუნდში 180 მილიონი ფუნტის (300 მილიონი აშშ დოლარი) დაბანდებას გეგმავს. *„რასაკვირველია, პირველ ეტაპზე პრემიერლიგის გრანდებთან თანაბრად ბრძოლას ვერ მოვახერხებთ, თუმცა ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს მივაღწევთ. რაც უნდა დაგვიჯდეს ამის გაკეთება, უკან დახევას არ ვაპირებთ,"* - აცხადებს შრივადჰანაპრაბჰა. „ფორბსის" მონაცემებით, 56 წლის ტაილანდელი ბიზნესმენის ქონება მილიარდ ევროს აღემატება.

## სან პაულუ მზად არ არის

სან პაულუს სტადიონი „არენა კორინთიანსი", რომელზეც მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩი უნდა გაიმართოს, მზად ჯერ კიდევ არ არის, თუმცა ორგანიზატორები იმედს არ კარგავენ, რომ შეძლებენ პრობლემის დროულად გადაჭრას. „ფრანს პრესის" ცნობით, სტადიონის რეკონსტრუქცია უბრალოდ ვადების დარღვევით კი არა, კატასტროფულად ნელ ტემპში მიდის. „არენა კორინთიანსზე" მიმდინარე სამუშაოებზე ბოლო ექვს თვეში ტრაგედია ორჯერ დატრიალდა. ნოემბერში ამწის მეტალის კონსტრუქციების ჩამოქცევას ორი ადამიანი ემსხვერპლა, მარტში კი უსაფრთხოების ზომების დაუცველობის გამო კიდევ ერთი მუშა დაიღუპა, რის შემდეგაც სამუშაოები მთელი 11 დღით შეჩერდა. სტადიონზე 18 მაისს „კორინთიანსისა" და „ფიგერენშეს" სატესტო მატჩი უნდა გაიმართოს, რომლისთვისაც დროებითი 10-ათასიანი ტრიბუნა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია. საერთო ჯამში ამ სტადიონზე მუნდიალის ექვსი შეხვედრა უნდა გაიმართოს, აქედან ერთი 1/2-ფინალური მატჩი.

## პარდიუ რჩება

„ნიუკასლის" პოზიცია უკვე ცნობილია: მიუხედავად გულშემატკივართა აშკარა უკმაყოფილებისა, გუნდს 2014/15 წლების სეზონშიც **ალან პარდიუ** გაწვრთნის. ინგლისურ პრესაში ცოტა ხნის წინ გაჩნდა ცნობები, რომ „კაჭკაჭები" მთავარ მწვრთნელს პოსტიდან დაითხოვდნენ და მის ნაცვლად გუნდს **დევიდ მოიესს** ჩააბარებდნენ, მაგრამ ხმები არ დადასტურდა. უფრო მეტიც, პრეზიდენტი **მაიკ ეშლი** პარდიუს შემადგენლობის გასაძლიერებლად ამ ზაფხულს 40 მილიონ ფუნტს გამოუყოფს.

## მილნერმა ჯერ არ იცის

გასულ სეზონში „მანჩესტერ სიტიში" რეგულარულად მხოლოდ ორი ინგლისელი ფეხბურთელი თამაშობდა - **ჯო ჰარტი** და **ჯეიმს მილნერი**. მართალია, უკანასკნელი სასტარტოში მხოლოდ 12-ჯერ მოხვდა, თუმცა შეცვლების ჩათვლით ფეხბურთელს 31 მატჩი დაუგროვდა. მან 1 გოლი გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა მიითვალა. მილნერს „ქალაქელებთან" კონტრაქტში ერთი წელი რჩება და მან ჯერაც არ იცის, დარჩება თუ არა „ეტიჰადზე" სათამაშოდ და თუ დარჩება, რა ხნით. „სიტის" მისთვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება ჯერ არ შეუთავაზებია.

## კოლო ტურე არ ჩქარობს

„ლივერპულმა" **კოლო ტურეს** თანამშრომლობის გახანგრძლივება შესთავაზა, თუმცა 33 წლის ცენტრალური მცველისგან უარი მიიღო. აფრიკელი **ბრენდან როჯერსისგან** მეტ სათამაშო დროს ითხოვს. ტურეს თებერვლის შუა რიცხვებში „ფულჰემთან" XXVI ტურის მატჩის შემდეგ პრემიერლიგაში ძირითადში აღარ უთამაშია. ივუარელის კონტრაქტს ვადა მომავალ წლის ზაფხულზე გასდის.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ევროპალიგა. ფინალის წინ

# გატეხს ნავსს დაწყევლილი ბენფიკა?

## გუტმანის მერე ბენფიკამ შვიდჯერ ისროლა და შვიდჯერვე ააცილა

**უეფას ევროპალიგის ფინალს ტურინის „იუვენტუსის“ ახალი და ლამაზი სტადიონი უმასპინძლებს. ადგილობრივები ფინალში „ბებერ ქალბატონს“ ელოდნენ, მაგრამ „ბენფიკამ“ იმდენი მოახერხა, რომ „ბიანკონერი“ ნახევარფინალიდან გააგდო. ფინალში კი მისი მეტოქე „სევილია“ იქნება.**



ანდალუსიელებს „არწივებზე“ არანაკლებად რთული გზა ჰქონდათ - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ თანაქალაქელი „ბეტისი“ დიდი წვალების შემდეგ, პენალტების სერიაში დაამარცხეს, ხოლო შემდეგ ასევე ესპანური „ვალენსიას“ ბარიერი ბოლო წამებზე „ქუინზ პარკ რეინჯერსიდან“ ნათხოვარი **სტეფან მბიას** გოლით გადალახეს. **უნაი ემერიმ** თავის ყოფილ გუნდს მოუგო და ახლა ფინალშიც გამარჯვებას ეცდება - სევილიელები სულ ორჯერ იყვნენ უეფას თასის ფინალში და ორივეჯერ მოიგეს - 2006 და 2007 წლებში. სამაგიეროდ, „ბენფიკაა“ ფინალების წაგებების დიდოსტატი, სულ „არწივებს“ ფინალი 7-ჯერ აქვთ წაგებული - 1983 წელს „ანდერლეხტთან“ უეფას თასი დათმეს, ხოლო 2013 წელს „ჩელსისთან“ ევროპალიგა. ზოგადად „ბენფიკას“, მას მერე, რაც გუნდი 1962 წლის ჩემპიონთა თასს დაეუფლა უეფას ტურნირების 7 ფინალი აქვს ნათამაშები და შვიდივე წაგებული, აქედან 5 ჩემპიონთა ლიგის/თასის... 1962 წელს, როდესაც „ბენფიკამ“ ჩემპიონთა თასი მოიგო, მალევე გუნდი ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო, ლეგენდარულმა მწვრთნელმა














უნაი ემერიმ „სევილია" „იუვენტუს არენაზე" ავარჯიშა

**ბელა გუტმანმა** დატოვა და წასვლისას ერთგვარი წყევლა დატოვა - ჩემ გარეშე „ბენფიკა" ასი წელი ვერ მოიგებს ევროპის ჩემპიონთა თასსო... როგორც ჩანს, ეს წყევლა ევროპის ყველა ტურნირის ფინალზე გავრცელდა. **ჟორჟე ჟესუსს** ამ სერიის შეწყვეტა ძალიან უნდა და ფანებიც გამარჯვებისა და ნანატრი ევროტიტულის მოლოდინში არიან. „ბენფიკა" შესანიშნავ ფორმაშია და „სევილიასგან" განსხვავებით ფინალამდე მხოლოდ ერთხელ გაუჭირდა, უკვე ნახსენებ „იუვესთან", რომელსაც ორი მატჩის ჯამში სულ სამჯერ დაურტყა ზუსტად კარში, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია. ბევრის აზრით, ლისაბონელები ფავორიტები არიან, მაგრამ უფრო გამოკვეთილი ფავორიტები იქნებოდნენ, რომ არა შემადგენლობასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები. ლისაბონელებმა ტურინში ორთაბრძოლისას ზედმეტად ბევრი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი დაკარგეს - ახალგაზრდა სერბი ფანტაზისტა **ლაზარ მარკოვიჩი**, გუნდის არგენტინელი ლიდერი **ენცო პერესი** და „მისტერ ევროპალიგა" **ედუარდო სალვიო** - სამივე დისკვალიფიკაციის გამო და ამას **ლუბომირ ფეისასა** და **სილვიოს** ტრავმები ემატება. მოკლედ, პორტუგალიელების პრობლემები და ფავორიტობა გვერდზე გადავდოთ და თავისი გეგმები აქვს „სევილიას", რომელმაც ამ სეზონში უკვე არაერთხელ დაამტკიცა, რომ ურთულესი მდგომარეობებიდან შეუძლია გამოსვლა. ვნახოთ, ისევ დაეხმარება თუ არა იღბალი „სევილიას" და გატეხს თუ არა ნავსს „ბენფიკა".

### მატჩის წინ

*„ჩემი აზრით, ფინალში ფავორიტი არავინაა. შანსები 50/50-ზეა. აქამდე მოსასვლელად ძალიან დიდი შრომა გჭირდება, ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ და იგივე გააკეთა „სევილიამაც", რომელსაც პატივი უნდა ვცეთ" - განაცხადა ჟესუსმა.*

*უნაი ემერი: „ლისაბონელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ და მათი თამაშის ხილვა სასიამოვნოა. გარდა იმისა, რომ შემადგენლობა ინდივიდუალურადაა ძლიერი, ისინი გუნდურადაც დიდებულად გამოიყურებიან, თავს კარგად იცავენ და ბრწყინვალედ უტევენ. მეტოქე ძლიერია, მაგრამ ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ და ცხადია, მოგებისთვის ვიბრძოლებთ".*

### ბოლო მატჩი

**ბენფიკა:** „არწივები" პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „პორტუსთან" დამარცხდნენ, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ მატჩს სატურნირო დატვირთვა აღარ ჰქონდა. „ბენფიკამ" ჩემპიონობა დიდი ხანია, იზეიმა და თავიც „სევილიასთვის" შემოინახა. საერთოდ, უკანასკნელი 41 მატჩიდან ლისაბონელებს მხოლოდ 2 აქვთ წაგებული, ორივე გასვლაზე „პორტუსთან", მაგრამ ერთი ეს ხსენებული, უმოტივაციო შეხვედრა იყო, ხოლო მეორე თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი და საპასუხო შეხვედრა „ბენფიკამ" იმ ანგარიშით მოიგო, რომელიც ფინალის საგზურს იძლეოდა. ანუ გუნდის ბოლო მნიშვნელოვანი მარცხი 41 შეხვედრის წინ იწვნია, როდესაც „ოლიმპიაკოსთან" დამარცხდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა და ევროპალიგაზე გადაინაცვლა... რადგან თასი ვახსენეთ - 7 მაისს „ბენფიკამ" პორტუგალიის ლიგის თასზე **როდრიგოსა** და **ლუიზაოს** გოლებით მოუგო „რიუ ავეს", ხოლო 18 მაისს იმავე კლუბს პორტუგალიის თასისთვის შეებმება.

**სევილია:** ემერის გუნდი გასვლაზე დამარცხდა „ხეტაფესთან", მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან სევილიელებიც ფინალისთვის ემზადებოდნენ. მას მერე, რაც გუნდმა „ბილბაოსთან" გასვლაზე წააგო და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი დაკარგა ლა ლიგაში თავი აღარ მოუკლავს, უბრალოდ „ვილიარეალთან" უგოლო ფრე ითამაშა და ევროპალიგის საგზური გაინაღდა, ხოლო მე-5 ადგილზე გავა თუ მეექვსეზე, დიდად გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს.

### სტატისტიკა

ეს კლუბები აქამდე ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ გადაეყარნენ - 1957/58 წლების სეზონის ჩემპიონთა თასზე და ეს ორივესთვის ისტორიაში პირველი ევროთავგადასავალი იყო. მაშინ, „ბენფიკამ" სევილიაში 1:3 წააგო, ხოლო ლისაბონური მატჩი უგოლოდ დასრულდა.

„ბენფიკას" ესპანურ გუნდებთან უეფას ეგიდით გამართული მატჩებიდან მხოლოდ 5 აქვს მოგებული, 7 ფრედ დასრულებული და 10 წაგებული. „არწივებს" ესპანური კლუბი 14 შეხვედრაა არ დაუმარცხებიათ (6 ფრე, 8 წაგება).

„სევილიასა" და პორტუგალიური გუნდების გზები 16-ჯერ გადაიკვეთა და ესპანელებს დადებითი ნალანსი აქვთ - 8 მოგება, 3 ფრე, 5 წაგება. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში „სევილია" ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე „ეშტორილს" შეხვდა (გასვლაზე 2:1, შინ 1:1), ხოლო მეოთხედფინალიდან „პორტუ" დაითხოვა (გასვლაზე 0:1, შინ 4:1).

ლისაბონი სევილიისგან მხოლოდ 310 კილომეტრითაა დაშორებული, ხოლო ტურინისაგან 1400-ით.

„ბენფიკა" გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ევროპალიგის ფინალში წაუგებლად გააღწია - 6 მოგება და 2 ფრე.

„სევილიამ" თავისი მსვლელობა მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და ფინალს უწია, რომელიც ტურნირზე ესპანელების მე-19 მატჩი იქნება. ასეთი რამ აქამდე 2009/2010 წლების სეზონში ფინალში დამარცხებულმა „ფულემმა" და 2011/2012 წლების სეზონის ტრიუმფატორმა „ატლეტიკომ" გააკეთეს.

„სევილია" გამარჯვების შემთხვევაში „იუვენტუსთან", „ინტერთან" და „ლივერპულთან" ერთად მეოთხე გუნდი გახდება, ვისაც უეფას თასი/ევროპალიგა 3-ჯერ ექნება მოპოვებული. ამაზე მეტჯერ ეს ტიტული ჯერ არავის მოუგია.

მხოლოდ ლუიზაოსა და დისკვალიფიცირებულ ლაზარ მარკოვიჩს აქვთ ევროპალიგაზე „ბენფიკას" მაისურით რვავე შეხვედრა ჩატარებული. „არწივების" ბრაზილიელი კაპიტანი ლუიზაო უეფას ტურნირებზე ჩატარებული 107 მატჩით შემორჩენილ ფეხბურთელებს შორის ყველაზე გამოცდილია, ხოლო ლისაბონელთა ფორვარდი **ოსკარ კარდოსო**, 75 შეხვედრაში 33 გოლით - საუკეთესო ბომბარდირი. უშუალოდ მიმდინარე სეზონში სევილიელთა ბომბარდირი ტურნირზე **კევინ გამეირო** 5 გოლით, ხოლო „ბენფიკასი" - **ლიმა** 4 ბურთით.

მიმდინარე ევროპალიგაზე „სევილიას" რიგებში ყველაზე მეტი (13) მატჩი **ივან რაკიტიჩმა** ჩაატარა. მას ერთი მატჩით ჩამორჩებიან **კარლოს ბაკა** და **ვიტოლო**, რომლის ფინალში თამაშიც საეჭვოა.

არგენტინელი **ნიკოლას გაიტანისთვის** ფინალი 50-ე ევროპული მატჩი იქნება.

ჟორჟე ჟესუსი უეფას თასზე/ევროპალიგაზე თავის 50-ე მატჩს გამართავს მწვრთნელის რანგში. იგი ბელა გუტმანის შემდეგ, „არწივების" მეორე მწვრთნელია, რომელმაც გუნდი ზედიზედ ორჯერ გაიყვანა ევროტურნირის ფინალში.

**გიორგი პაპაბაძე**

14.05. ტურინი
იუვენტუს არენა
22:45

## სევილია

| ბოლო 5 მატჩი | |
|---|---|
| +2=1-2 | +3=1-1 |
| არბიტრი | |
| ფელიქს ბრიხი (გერ) | |

## ბენფიკა

### სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** - მარკოვიჩი, პერესი, სალვიო

**ტრავმა:** კრისტოფორო, ვიტოლო (?) - ფეისა, სილვიო





**შემადგენლობა:**
1 ტაბლეტი შეიცავს:
ვიტამინ $B_6$-ს (პირიდოქსინი) - 5 მგ, მაგნიუმის კარბონატს - 60 მგ
1 შუშხუნა ტაბლეტი შეიცავს:
ვიტამინ $B_6$-ს (პირიდოქსინი) - 5 მგ, მაგნიუმის კარბონატს - 150 მგ

**მოქმედება:**
მაგნიუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტია, ის მონაწილეობს იმუნურ მექანიზმებში, ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას, ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობას ალერგიული და ანთებითი პროცესების მიმართ, ააქტივებს ფერმენტულ პროცესებს, ხელს უწყობს მაღალენერგიული ნაერთების - ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების სინთეზსა და მეტაბოლიზმს.
მაგნიუმს გააჩნია დამამშვიდებელი და სტრესის საწინააღმდეგო მოქმედება, იგი ამცირებს ნერვ-კუნთოვან გადაცემას, გლუვი და განივზოლიანი ბოჭკოების აგზნებადობას, დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, ხელს უშლის იშემიის განვითარებას, იცავს სისხლძარღვის კედელს, ეწინააღმდეგება შემაერთებელ ქსოვილში ცვლილებების განვითარებას და არტერიოსკლეროზის ჩამოყალიბებას.
მაგნიუმი მონაწილეობას ღებულობს კალიუმისა და კალციუმის იონების ტრანსმემბრანულ ტრანსპორტირებაში, იგი აუცილებელია ინსულინისა და ზოგიერთი სხვა ჰორმონის სინთეზისათვის. ვიტამინი $B_6$ აადვილებს მაგნიუმის შეწოვას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან.

**ჩვენება:**
- ქრონიკული გონებრივი და ფიზიკური დაღლილობა;
- სტრესი;
- აგზნებადობა.

**მიღების წესი და დოზირება:**
ტაბლეტები: მიიღება დღეში 1-2 ტაბლეტის ოდენობით მცირე რაოდენობის წყალთან ერთად.
შუშხუნა ტაბლეტები: მიიღება დღეში 1 ტაბლეტი ჭამის შემდეგ. ტაბლეტი იხსნება ერთ ჭიქა წყალში.
მაგიტრონი არ შეიცავს შაქარს, ამის გამო მისი გამოყენება შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას! გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს!

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს! www.aversi.ge 2-967-227
AVERSI

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A IV ტური



20 წლის დანიელი არა მხოლოდ მატჩის, არამედ ტურის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა

# სამი დიდი დერბი

**ბრაზილიის ჩემპიონატის მე-4 ტურში რამდენიმე საინტერესო, ისტორიული დაპირისპირება გაიმართა. პირველ რიგში, ყურადღებას „ფლამენგოსა“ და „ფლუმინენსეს“ ჯახი იქცევდა. არანაკლებ საინტერესო იყო „სან პაულო“-“კორინთიანსი“ და „ატლეტიკო მინეირო“-“კრუზეიროს“ დერბი...**

## მამლები VS მელიები

სამხრეთ ამერიკის და ბრაზილიის მოქმედმა ჩემპიონებმა დიდი დანაკლისით ითამაშეს - „ატლეტიკო მინეიროს“ ტრავმების გამო რამდენიმე ლიდერი, მათ შორის **რონალდინიო** და **ჟო**, აკლდა; „კრუზეიროს“ კი რამდენიმე დღეში ლიბერტადორესის თასზე უმნიშვნელოვანესი თამაში („სან ლორენსოსთან“) ელის, რის გამოც, **მარსელო ოლივეირას** ბრაზილიის ჩემპიონატისთვის არ ეცალა.

შემადგენლობაში რამდენიმე რეზერვისტის გამოჩენის მიუხედავად, ბელუ ორიზონტეს 484-ე დერბი სტუმრების უპირატესობით დაიწყო და „კრუზეირო“ **მარსელო მორენოს** გოლით დაწინაურდა. ბოლოველმა ჩემპიონატში მესამედ გაიტანა, პირველი ტაიმი „მელიების“ გამარჯვებით დასრულდა, თუმცა მეორე ნახევარში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. შეხვედრის გმირი 22 წლის **მარიონია**, რომელმაც ცვლილებაზე გამოსვლის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა, 71-ე წუთზე კი გამარჯვების გოლი **ანდრემ** პენალტით გაიტანა. „მამლებმა“ მოსისხლე მტერი 195-ედ დაამარცხეს (128 ფრე, 161 მარცხი), ბრაზილიის ჩემპიონატში კი ეს გუნდები ერთმანეთს 59-ედ შეხვდნენ და უპირატესობა „ატლეტიკოს“ მხარეს გადავიდა, რომელმაც თანაქალაქელს 21-ე მატჩი მოუგო (18 ფრე, 20 მარცხი).

## ფლა VS ფლუ

„ფლამენგო“ და „ფლუმინენსე“ ერთმანეთს 396-ედ დაუპირისპირდნენ და 127-ედ გამარჯვებული „ფლუ“ გამოვიდა (128 ფრე, 141 მატჩი „ფლამენგომ“ მოიგო). მხოლოდ ბრაზილიის ჩემპიონატში კი ეს ამ გუნდების 52-ე შეხვედრა იყო.

ლეგენდარულ „მარაკანაზე“ გამართული ამ მატჩის გმირი ბრაზილიაში დაბრუნებული **დარიო კონკა** გახდა, რომელმაც თავი ორი საგოლე გადაცემით გამოიჩინა. 31 წლის არგენტინელმა ჯერ **ფრედს** გაატანინა, შეხვედრის ბოლოს კი საგოლე პასი **ჩიკინიოს** გაუკეთა.

სან პაულოს დერბი კი ფრედ, 1:1 დასრულდა. ამ შეხვედრაში მაყურებლებმა ორი შესანიშნავი საგოლე გადაცემა იხილეს. ჯერ, 49-ე წუთზე, მასპინძელთა დაცვის ხაზი **პაოლო გერერომ** გაჭრა და მისი პასით **ფაგნერმა** იხეირა, შეხვედრის ბოლოსკენ კი **განსოს** შესანიშნავ გადაცემას **ლუიშ ფაბიანო** გამოეხმაურა და წონასწორობა აღდგა.

საოცარი მატჩი ჩაატარა „ბოტაფოგომ“, რომელმაც ჩემპიონატში თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა. „ფოგომ“ „კრისიუმას“ ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა, აქედან ორჯერ თავი ვეტერანმა **ემერსონ შეიკმა** გამოიჩინა, 20 წლის **დანიელმა** კი ჰეთთრიქი შეასრულა და გარდა ამისა, აქტივში ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

სეზონში თავისი პირველი ბურთები გაიტანა **ერნან ბარკოსმა**, რომლის დუბლის წყალობითაც „გრემიომ“ დებიუტანტ „შაპეკოენსეს“ 2:1 მოუგო. ეს გუნდი ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა, ბოლო პოზიციას კი „ფიგეირენსე“ იკავებს, რომელსაც ჯერ ქულაც არ აუღია და გოლიც კი არ გაუტანია. აუტსაიდერის დამარცხება „სანტოსმა“ შეძლო, ვის რიგებშიც მორიგი გოლი გაიტანა 17 წლის **გაბრიელ ბარბოსამ**, იმავე „გაბიგოლმა“.

„პალმეირასის“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა 36 წლის **ლუსიომ**. „ბაიერის“, „ბაიერნის“, „ინტერის“ და „სან პაულოს“ ყოფილმა მცველმა ახალი გუნდის რიგებში თავისი პირველი გოლი შეაგდო.

ცხრილის სათავეში კი „ინტერნასიონალი“ მოექცა, რომელმაც „ატლეტიკო პარანაენსეს“ 2:1 მოუგო. მასპინძელთა რიგებში გამორჩეული იყო **ალან პატრიკი** - „შახტარის“ საკუთრებაში მყოფმა ფეხბურთელმა ჯერ **ანდრეს დალესანდროს** გაატანინა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი **რაფაელ მოურას** პასი მიიღო და შეხვედრის საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

### IV ტურის სიმბოლური ნაკრები

**მეკარე:** *ვევერტონი (ატლ. პარანაენსე)*

**მცველები:** *ედილსონი (ბოტაფოგო), ლუსიო (პალმეირასი), ოტამენდი (ატლ. მინეირო), მატეუსი (პალმეირასი)*

**ნახევარმცველები:** *დანიელი (ბოტაფოგო), აროუკა (სანტოსი), კონკა (ფლუმინენსე), ალექსი (ინტერნასიონალი)*

**თავდამსხმელები:** *ბარკოსი (გრემიო), ემერსონი (ბოტაფოგო)*

ტატო ბაციკაძე

### პალმეირასი-გოიასი 2:0

**გოლები:** 1:0 ლუსიო (16), 2:0 ენრიკე (32)

### ინტერნასიონ.-ატლ. პარანაენსე 2:1

**გოლები:** 0:1 მარკოს გილერმე (52), 1:1 დალესანდრო (54), 2:1 ალან პატრიკი (67)

### ბოტაფოგო-კრისიუმა 6:0

**გოლები:** 1:0 ემერსონ შეიკი (23), 2:0 ემერსონ შეიკი (52), 3:0 დანიელი (55), 4:0 დანიელი (57), 5:0 დანიელი (73), 6:0 ვალისონი (81)

### ფლუმინენსე-ფლამენგო 2:0

**გოლები:** 1:0 ფრედი (11), 2:0 ჩიკინიო (87)

### სან პაულო-კორინთიანსი 1:1

**გოლები:** 0:1 ფაგნერი (49), 1:1 ლუიშ ფაბიანო (81)

### ატლ. მინეირო-კრუზეირო 2:1

**გოლები:** 0:1 მ. მორენო (37), 1:1 მარიონი (55), 2:1 ანდრე (71-პენ)

**გაძევება:** ლუანი (75. კრუზეირო), მ. მორენო (90. კრუზეირო)

### შაპეკოენსე-გრემიო 1:2

**გოლები:** 0:1 ბარკოსი (30), 0:2 ბარკოსი (65), 1:2 ტიაგო ლუიში (90)

### ბაია-ვიტორია 1:1

**გოლი:** 0:1 სოუზა (39), 1:1 ნეგაო (90)

**გაძევება:** სოუზა (75. ვიტორია), უელიტონი (75. ბაია)

### ფიგეირენსე-სანტოსი 0:2

**გოლები:** 0:1 გაბრიელ ბარბოსა (44), 0:2 აროუკა (62)

**გაძევება:** რაული (67. ფიგეირენსე), სისინიო (89. სანტოსი)

### კორიტიბა-სპორტ რესიფე 0:1

**გოლი:** 0:1 რიტიელი (86)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერნასიონ. | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 10 |
| 2. ფლუმინენსე | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 3. კორინთიანსი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-1 | 8 |
| 4. ბაია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 5. კრუზეირო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 6. სპორტ რესიფე | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 7. გრემიო | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 8. გოიასი | 4 | 2 | 1 | 1 | 2-2 | 7 |
| 9. პალმეირასი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 10. სან პაულო | 4 | 1 | 3 | 0 | 7-4 | 6 |
| 11. სანტოსი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-1 | 6 |
| 12. ვიტორია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 13. ბოტაფოგო | 4 | 1 | 1 | 2 | 8-6 | 4 |
| 14. ატლ. პარანაენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 15. ატლ. მინეირო | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 16. ფლამენგო | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 17. კრისიუმა | 4 | 1 | 0 | 3 | 2-9 | 3 |
| 18. კორიტიბა | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 19. შაპეკოენსე | 4 | 0 | 1 | 3 | 2-5 | 1 |
| 20. ფიგეირენსე | 4 | 0 | 0 | 4 | 0-8 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - დანიელი (ბოტაფოგო), ემერსონ შეიკი (ბოტაფოგო), მ. მორენო (კრუზეირო)

მშვილდოსნობა

# მშვილდოსნები ლიცენზიებს უმიზნებენ

**19-24 მაისს სლოვენიის დედაქალაქი ლიუბლიანა ევროპის პირველობას უმასპინძლებს ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა შორის, რომელიც აგვისტოში ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირიცაა. ამიტომ ჩვენებს აქცენტი ძირითადად ამ შეჯიბრებაზე გადააქვთ და დელეგაციაც უმეტესად ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული.**

ახალგაზრდებში მხოლოდ ბიჭებში გვეყოლება მონაწილე და ისიც ერთადერთი - **ლაშა ფხაკაძე**, 17-წლამდელებში კი ბიჭებში **ვლადიმერ დოლიძე** და **დავით მიხელიძე** იასპარეზებენ, ხოლო გოგოებში **ანა დუმბაძე** გამოვა. თუმცა გუნდების დაკომპლექტებაზე დიდი და თანაც უარყოფითი გავლენა საჯარო სკოლებში მოახლოებულმა გამოცდებმაც მოახდინა - ისიც სწორედ 19 მაისს იწყება და ნაკრების ბევრმა კანდიდატმა იუარა შეჯიბრებაზე წასვლა, რადგან ამით სკოლაში პრობლემები შეექმნებოდათ. ესეც საკანონმდებლო ლაფსუსის მორიგი მაგალითი, როცა ვერ ხერხდება სწავლის სპორტთან შეთავსება, რადგან კანონი მოსამზადებელ პროცესში ჩართულ სპორტსმენებს არავითარ შეღავათს არ აძლევს. შედეგად ათლეტები არჩევანის წინაშე დგებიან და ორი აუცილებელი სფეროდან ერთ-ერთი აუცილებლად იწირება. არადა, მსოფლიომ უკვე შეიმუშავა ამ პრობლემის მოგვარების გზა (თუნდაც - ექსტერნის წესით ჩაბარება) და კარგი იქნება, ჩვენც თუ გავითვალისწინებთ.

სლოვენიაში მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიისთვის ჩვენგან ჭაბუკთა ნაკრების წევრები იბრძოლებენ. საგზურის მისაღებად ისინი საუკეთესო ოთხეულში უნდა მოხვდნენ ანუ, მინიმუმ, ნახევარფინალში უნდა გავიდნენ. ეს არ ჩანს შეუძლებელი ამოცანა, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ აქ ამ ასაკის უძლიერესები არ გამოვლენ. საქმე ლიცენზიების განაწილების პრინციპშია. საგზურების უმეტესობა შარშან ჩინეთშივე გათამაშდა, მის მფლობელებს კი სალიცენზიო ტურნირში, რომელიც პირადი პირველობის შემდეგ ჩატარდება, გამოსვლის უფლება არ აქვთ. იქ ასევე ვერ იასპარეზებენ უკვე ლიცენზირებული ქვეყნების წარმომადგენლებიც, რადგან ქვეყნების მიხედვით კვოტებიც შეზღუდულია - მხოლოდ 2 საგზური და იქაც გენდერული ბალანსის თანაფარდობა მკაცრად უნდა იყოს დაცული ანუ თითო ბიჭი და გოგო. ამდენად, ვთქვათ, ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორიცაა უკრაინა, რუსეთი, საფრანგეთი, პოლონეთი და სხვები, რომლებმაც შარშანვე მოიპოვეს საგზურები, ამ შეჯიბრებაში აღარ გამოვლენ. ამდენად, სალიცენზიო ტურნირი შედარებით სუსტების ასპარეზად დარჩება და იქ ოთხეულში მოხვედრა არაა დაუძლეველი რეალობა.

ჩვენი ასაკობრივი გუნდები ამჟამად თბილისში გადიან ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებას. სლოვენიაში ნაკრებს მწვრთნელები **გია მაკიევი** და **გურამ ბასილაძე** გაჰყვებიან.

ამასობაში გაირკვა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაც, რომელიც ივნისში ზედიზედ ორ ტურნირში გამოვა - 10-15 ივნისს ჩვენები ანტალიაში იასპარეზებენ მსოფლიოს თასის მესამე ეტაპზე, იქიდან კი ბულგარეთში გადაინაცვლებენ და 16-21-ში სოფიაში ისვრიან ევროპის „დიდ პრიზზე“. ამ შეჯიბრებებზე ჩვენგან ქალებშიც და ვაჟებშიც ერთი და იგივე კვარტეტი გამოვა. ვაჟებში ფხაკაძე, **ჯაბა მოსეშვილი, მამუკა შუშაძე** და **ტარიელ ქადიძე** გამოვლენ, ქალებში - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, იულია ლობჟანიძე** და **ასმათ დიასამიძე**. ამათგან ბათუმელ ქადიძეს აჭარა აფინანსებს, დანარჩენებს კი - საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაცია.

ჩვენს გუნდებს აქამდე მსოფლიოს თასებზე არ უასპარეზიათ - ორივე მათგანი ჩვენგან ბევრად დაშორებულ ქვეყნებში, ჩინეთსა და კოლუმბიაში ჩატარდა (კოლუმბიურ მედელინში გუშინ დაიწყო), ამხელა გზაზე წასასვლელი ფული კი არ იყო. ანტალია ჩვენი ნაკრებებისთვის ამ რანგის პირველი შეჯიბრება იქნება წლეულს. თუმცა ისიც და სოფიის ტურნირიც შესარჩევია სომხეთში, ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი გუნდის დასაკომპლექტებლად. ის შეჯიბრება 21-26 ივლისს ტარდება ქალაქ ეჩმიაძინში და გაისად ბაქოში გასამართი ევროპის პირველი თამაშების სალიცენზიოა. ანტალიისა და სოფიისგან განსხვავებით, სომხეთში გუნდში მხოლოდ სამი მონაწილის დაყენებაა შესაძლებელი და ზემოაღნიშნულ ტურნირებში სწორედ ეს სამეული უნდა გამოიკვეთოს. თუმცა სხვანაირადაც შეიძლება ითქვას - ამ შეჯიბრებებმა მეოთხე ზედმეტი უნდა გამოცხრილოს.

ეჩმიაძინში საკვალიფიკაციო ტურნირიც ზუსტად იმავე პრინციპით გაიმართება, როგორც - ოლიმპიადისა: საგზურები გუნდურში გათამაშდება და მას მოწინავე რვა ნაკრები მიიღებს. მოგეხსენებათ, გუნდურში მხოლოდ 16 ქვეყანა მონაწილეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ წრეს ვინც გაივლის, ყველა მიიღებს ბაქოში გამოსვლის უფლებას. იქ მათ მასპინძლის სტატუსით უბრძოლველად დაემატება აზერბაიჯანის ნაკრები, რომელსაც, კიდევ კარგი, საკვალიფიკაციო ტურნირში გამოსვლა არ სჭირდება, თორემ სომხეთში ჩასვლა ფრიად გაუჭირდებოდათ. თუმცა ინტრიგა ამით არ კვდება და ახლა ისაა საკითხავი, ვაიდა, ქალებში ან ვაჟებში სომხეთიც მოხვდეს იმ საუკეთესო რვა გუნდში, ესენი თუ გარისკავენ ბაქოში წასვლას? ვფიქრობთ, ჩვენს ქალებს ნამდვილად შეუძლიათ ამ საგზურის მოპოვება, ოლონდ გააჩნია, რამდენად კარგად მოემზადებიან იმ შეჯიბრებისთვის.

ირაკლი თავაძე


ლაშა ფხაკაძე

ძიუდო

# ნიკლაური ვარჯიშს შეუდგა

ევროპის ბრინჯაოსმედალოსანი **ლევან ნიკლაური** (81) ჯერაც სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. მოგეხსენებათ, შარშან მან ფეხზე ოპერაციები გაიკეთა, რამაც ხანგრძლივად ჩამოაშორა ტატამს. ტრავმა ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატზე მიიღო, თუმცა გარკვეული პერიოდი იმის გარკვევას დასჭირდა, შეძლებდა თუ ვერა მდგომარეობიდან გამოსვლას ქირურგიული ჩარევის გარეშე. სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და საბოლოოდ მანაც დასტაქრებს მიაშურა.

მას მერე დაახლოებით ხუთი თვე გავიდა, ექიმთა თავდაპირველი ვარაუდით კი ვარჯიში ექვს თვეში უნდა განეახლებინა. ეს ვადა უკვე მოდის და ნიკლაურიც ნელ-ნელა შეუდგა ვარჯიშს, თუმცა - მსუბუქად: ჯერ ვერც ლეიბზე შედის და ვერც „ფიზიკაში“ იტვირთება ბოლომდე, მხოლოდ ძუნძულით და შტანგა-ტრენაჟორებზე ვარჯიშით შემოიფარგლება. სავარაუდოდ, ის სრული დატვირთვით ვარჯიშს ზაფხულში შეძლებს, თუმცა ასევე სავარაუდოდ, აგვისტოში ჩელიაბინსკში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ფორმის აღდგენას ვერ მოასწრებს. მოგეხსენებათ, ნიკლაური გერმანული კლუბის წევრია, რომელმაც შეკრებაზე გამოიძახა, ოლონდ წავიდა თუ არა, დაზუსტებით ვერავინ გვითხრა. მასთან დაკავშირება ვერც ჩვენ შევძელით, რადგან ტელეფონი გამორთული აქვს. სავარაუდოდ, წასულია გერმანიაში.


ლევან ნიკლაური

ამასობაში ეროვნული ნაკრები აგრძელებს მზადებას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის - ამ დილით ნაკრები ანტალიაში გაემგზავრა, სადაც უკვე მიმდინარეობს საერთაშორისო კემპი, რომელშიც ჩვენებიც ჩაერთვებიან. ოლონდ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იქ მხოლოდ ევროპაზე ნაჭიდავები ხალხი წაიყვანა და იმათგანაც მარტო ექვსი კაცი: **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი** (სამივე - 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური** (ორივე - 90). მიზეზთა გამო, სხვები ამჯერად ვერ მიდიან. ეს იქნება შერეული ტიპის შეკრება - ბიჭები ტატამზეც ივარჯიშებენ, ერთობლივ ვარჯიშებშიც მიიღებენ მონაწილეობას, თუმცა მათთვის ძირითადად მაინც გამაჯანსაღებელი ტიპისაა. ანტალიიდან ისინი 22 მაისს დაბრუნდებიან და უნგრეთის „დიდი პრიზისთვის“ გააგრძელებენ მზადებას.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კარატე

# თეთრი ფერის სიჭარბე ქუთაისში

11 მაისს ქუთაისის სპორტის სასახლის დარბაზი თითქმის მთლიანად გადათეთრებული იყო. თეთრის სიჭარბეს კიმონოებში შემოსილი 500-მდე კარატისტი იწვევდა, რომლებიც საერთაშორისო ტურნირ „OPEN KUTAISI" -ში მონაწილეობდნენ. კარატეში ასეთი მასშტაბის შეჯიბრება ქუთაისში ადრე არასდროს გამართულა - საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა თუ რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, ტურნირზე ერევნის გუნდიც ჩამოვიდა. ასპარეზობა ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების, მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციისა და იმერეთის კარატეს ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული. შეჯიბრება 6 დან 18 წლის ჩათვლით ასაკობრივ კატეგორიებში, გოგონათა და ვაჟთა შორის „კუმიტესა" და „კატაში" გაიმართა. ტურნირს ესწრებოდა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **კახა ბასილია,** რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მომავალ წელს „OPEN KUTAISI" კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი გახდება და მინიმუმ ოთხი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. მან ასევე ხაზი გაუსვა იმერეთის კარატეს ფედერაციის ხელმძღვანელის **ვაჟა უნგიაძის** ნაყოფიერ საქმიანობას. ბასილიას თქმით, ამ ტურნირის ჩატარებაც მეტწილად მისი დამსახურებაა...



ვაჟა უნგიაძე: *„საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაცია დაგვეხმარა ტურნირის ორგანიზებაში, გვინდა, რომ „OPEN KUTAISI" ტრადიციულად მაისში ჩავატაროთ და ქვეყნის საუკეთესო კარატისტებმა იასპარეზონ. ჩემი მოსწავლეები არიან ამერიკაში, ესპანეთში, პორტუგალიასა და ისრაელში, ზოგადად უცხოეთში ბევრი კარატისტია წასული და სამომავლოდ მათ მოწვევასაც ვაპირებთ... აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კახა ბასილიას მივულოცო მსოფლიოს შოტოკან კარატეს კავშირის პრეზიდენტად არჩევა".*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ჭადრაკი



ნინო ხომერიკი



გიორგი სიბაშვილი

# ჩემპიონობა უდანაკარგოდ

ცხრა შესაძლებლიდან 9 ქულა - ასეთი შედეგით დაასრულა მარნეულში 16-წლამდელ გოგონათა საქართველოს პირველობა **ნინო ხომერიკმა,** რომელიც თანატოლებში საქართველოს ათგზის ჩემპიონია, 2012 წელს 14-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. იგი სამჯერ მონაწილეობდა 16-წლის ვაჟთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებში. წლეულს კი პირველად ითამაშა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში. 16-წლამდელებში ჩემპიონობით ნინო ხომერიკმა მსოფლიოს პირველობის საგზური მოიპოვა. გამარჯვებულს 2,5-2,5 ქულით ჩამორჩნენ **თეა ჭოლაძე** და **ანა თედოშვილი,** რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. უკეთესი კოეფიციენტით ვერცხლის მედალი და ევროპის პირველობის საგზური ჭოლაძეს ერგო.

ამ ასაკის ბიჭებში **გიორგი სიბაშვილმა** იყოჩაღა. ცხრა შეხვედრიდან იგი მხოლოდ ორ მეტოქეს დაუზავდა: მეექვსეში **ნიკა ლვამბერიას** და ბოლო ტურში, როცა პირველობა განაღდებული ჰქონდა, **ირაკლი ახვლედიანს** შეუთანხმდა ყაიმზე. საბოლოოდ სიბაშვილმა, რომელიც 2012 წლის ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია, 9 შესაძლებლიდან 8 ქულას მოუყარა თავი და საქართველოს ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. შვიდი ქულით მეორე ადგილზე გავიდა ნიკა ლვამბერია. 6 ქულით მესამე იყო **ნოე თუთისანი.** ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მე-4 ადგილი **ვახტანგ კარელიძეს** ხვდა. სიბაშვილს მსოფლიოს, ლვამბერიას კი ევროპის პირველობის საგზური ერგო.

ასპარეზობა დაასრულეს საქართველოს პირველობაში მონაწილე 8 წლის მოჭადრაკეებმა. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები.** 1. ნია დანელია (8), 2. ეკატერინე ცივაძე (7,5), 3. მარიამ ხურციძე (7 ქულა). **ბიჭები.** 1. თეიმურაზ კვიკვინია (8,5), 2. დემეტრე მიქელაძე (7), 3. ნიკოლოზ გაბრიაძე (6 ქულა).

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტოები

● რეგიონი. ცურვა

# საჩხერე ევროპის ახალგაზრდული ფესტივალისათვის

რამდენიმე წლის წინათ საჩხერეში სპორტის საწყლოსნო სახეობები ჩანასახშიც კი არ არსებობდა.

მას შემდეგ, რაც ქველმოქმედის სურვილით ევროსტანდარტების დონის საცურაო აუზი აიგო, საჩხერელი მოცურავეები, საქართველოს გარდა, წარმატებებით მონაწილეობენ აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელარუსში თუ უკრაინაში ჩატარებულ ტურნირებში.

ამ დღეებში საჩხერის საცურაო კომპლექსმა ევროპის ახალგაზრდული ფესტივალისათვის მზადების ეგიდით ცურვაში იმერეთის ღია პირველობას უმასპინძლა. პირადგუნდურ ასპარეზობაში წარმატებისთვის იბრძოდა 78 მოცურავე საჩხერიდან, ჭიათურიდან, ბათუმიდან, რუსთავიდან, გორიდან თბილისიდან (დედაქალაქი ექვსი გუნდით იყო წარმოდგენილი).

ბრასის სტილით 100 და 200 მეტრზე ცურვაში ოქროს 2 მედალი მოიპოვა საჩხერელმა **ლევან ბახტურიძემ.** მან პირადი შედეგიც გაიუმჯობესა და სარეიტინგო მონაცემებიც აიმაღლა.

ამ დისტანციებზე გოგონებს შორისაც საჩხერელმა **ქეთევან გაგნიძემ** იმარჯვა. საერთოდ, მასპინძელ გოგონათა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა 4X50 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში, ხოლო 40X50 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში მეორე იყო. თანაგუნდელი ვაჟები ორივეგან მეორე პრიზიორები გახდნენ. სულ საჩხერელთა ანგარიშზეა ოქროს 8, ვერცხლის 16 და ბრინჯაოს 6 მედალი. ამაგი კიდევ ერთხელ დაუფასდათ მწვრთნელებს **თემურ კვესაძეს და ლელა კაპანაძეს.**

**კვარცხლბეკი**

**თავისუფალი სტილი**

**50 მ. გოგონები:** 1. ელენე ბერაია, 2. თიკო გიგაური (ორივე - გლდანი), 3. მარი ხუტუნიშვილი (ჭიათურა). **ვაჟები:** 1. გიგა ზედელაშვილი, 2. სანდრო ლომიძე (ორივე - ვაკე), 3. ნიკა ეპიტაშვილი (გლდანი). **100 მ. გოგონები:** 1. ელენე ბერაია, 2. თიკო გიგაური (ორივე - გლდანი), 3. ლიკა ჭიხორია (რუსთავი). **ვაჟები:** 1. გივი დუდაშვილი (გორი), 2. სანდრო ლომიძე (ვაკე), 3. ვახტანგ ბლუაშვილი (ტონუსი).

**ბატერფლაი**

**100 მ. გოგონები:** 1. ნინო ხუტუნიშვილი (ჭიათურა), 2. თეონა ომიაძე (რუსთავი), 3. მარი დემეტრაშვილი (საჩხერე). **ვაჟები:** 1. გივი დუდაშვილი (გორი), 2. ვახტანგ ბლუაშვილი (ტონუსი), 3. გაგა ჩიტიძე (საჩხერე).

**გულაღმა ცურვა**

**100 მ. გოგონები:** 1. ლიკა ჭიხორია (რუსთავი), 2. ნათია მაჭავარიანი (საჩხერე), 3. ნინო ხუტუნიშვილი (ჭიათურა). **ვაჟები:** 1. ოთარ ივანაშვილი, 2. გაგა ჩიტიძე (ორივე -საჩხერე), 3. სანდრო მამულაშვილი (ვაკე). **200 მ.** 1. ლიკა ჭიხორია (რუსთავი), 2. ნათია მაჭავარიანი (საჩხერე), 3. ნინო ოჩხიკიძე (ჭიათურა). **ვაჟები:** 1. ირაკლი კვარაცხელია (ტონუსი), 2. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე), 3. ჩიტიძე გაგა (ორივე - საჩხერე).

**ბრასი**

**100 მ. გოგონები:** 1. ქეთი გაგნიძე (საჩხერე), 2. თეონა ომიაძე (რუსთავი), 3. ნინი კესარელი (გლდანი). **200 მ.** 1. ქეთი გაგნიძე (საჩხერე), 2. თეონა ომიაძე (რუსთავი), 3. ნინი კესარელი (გლდანი). **ვაჟები:** 1. ლევან ბახტურიძე (საჩხერე), 2. ილია პაპიძე (ლაგუნა), 3. ნიკა კაციტაძე (საჩხერე).

**კომპლექსური ცურვა**

**200 მ. გოგონები:** 1. ლიკა ჭიხორია (რუსთავი), 2. ელენე ბერაია (გლდანი), 3. ქეთი გაგნიძე (საჩხერე). **ვაჟები:** 1. ირაკლი კვარაცხელია (ტონუსი), 2. ვლადიმერ ტერლეცკი (გორი), 3. ნიკა კაციტაძე (საჩხერე).

**თამაზ ლაშხი**
საჩხერე

● წყალბურთი

# ფინალური ექვსეული გამოვლინდა

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" 2000 წელს და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის ორი ტურის შეხვედრები გაიმართა: „ტონუსი"-„აკადემია 2" 1:19, „საჩხერე"-„ბათუმი" 7:8, „აკადემია"-„რუსთავი" 7:10, „ქუთაისი"-„ივერია" 2:6.

ამ ასაკში 10 გუნდი ჩაება შეჯიბრებაში. ორგანიზატორებმა ისინი ორ ჯგუფში განთესეს. პირველი წრის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა:

**A ჯგუფი.** „ბათუმი"-12, „საჩხერე"-9, „არენა"-6, „რუსთავი"-3, „აკადემია 1"-0 ქულა.

**B ჯგუფი.** „ივერია"-12, „ქუთაისი"-9, „აკადემია 2"-6, „თბილისი"-3, „ტონუსი"-0 ქულა.

მე-2 წრის შეხვედრები შემოდგომით განახლდება. მედლებისთვის თითოეული ჯგუფიდან 3-3 უძლიერესი იბრძოლებს.

**ვაჟა დანელია**



● პარლამენტი

# კოლეჯი გვიბრუნდება

საქართველოში სპორტის სპეციალისტთა მომზადება დაიწყო 1933 წელს თბილისის ახალდაარსებულ ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში, რომელმაც კოლეჯის სახელწოდებით 2009 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება. ახლა კვლავ დადგა დღის წესრიგში ამ სასწავლებლის აღდგენის აუცილებლობა და ეს საკითხი საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის (თავმჯდომარე **ლერი ხაბელოვი**) მსჯელობის საგანიც გახდა.

სხდომაზე დაწვრილებით გაანალიზდა კოლეჯის აღდგენის შემაფერხებელი მიზეზები და დაისახა მისი გამოსწორების გზები. განახლებული სასწავლებელი მოამზადებს სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელებს, საწყლოსნო და სამთო მაშველებს, სპორტული სამკურნალო მასაჟისა და ადაპტიური სპორტის სპეციალისტებს, სპორტის თემაზე მომუშავე ფოტორეპორტიორებს.

საპარლამენტო კომიტეტმა წერილით მიმართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს **ლევან ყიფიანს.** წერილში ვკითხულობთ: „გეძლევათ რეკომენდაცია დროულად განახორციელოთ კოლეჯის დაფუძნების პროცესი და ხელისშემშლელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში ოპერატიულად ჩაატაროთ სამუშაო თათბირი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი კომიტეტის წევრი დეპუტატებიც".

მისასალმებელი პოზიციაა!

**„ლელოს" ქართული სპორტის რედაქცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სუპერლიგა 2013-14. 1/2 ფინალი

# პირველი ფინალისტი დინამოა

## ვინ იქნება მეორე?



**სუპერლიგის ნახევარფინალურ სერიებში ორი სხვადასხვა ხასიათის დაპირისპირება იხილეთ. ერთში თბილისის „დინამომ" „ბათუმს" 3:0 სძლია, ხოლო მეორეში „ქუთაისსა" და „არმიას" შორის დიდი გაწევ-გამოწევა ჯერაც არ დასრულებულა, გამარჯვებულის ვინაობას ან ბოლო წამები არკვევს, ან ოვერტაიმი.**

**13 მაისი. ბათუმი**

**ბათუმი–დინამო 59:70**

**15:16, 15:21, 15:20, 14:13**

**ბათუმი:** რამიშვილი (13ქ), ელიაშვილი (3ქ, 2დ), მაქკევრი (8ქ), კეშელავა, ბოლქვაძე (5მ), მიშკოვიჩი (14ქ, 16მ), ქედუგანი (7ქ, 6პ, 3ჩ), სეფოლდი (14ქ).

**დინამო:** გამყრელიძე (1ქ, 12პ), კარტერი (14ქ, 9მ, 3დ), ბ. ლეჟავა (15ქ, 5პ), ლილუაშვილი, მილოშევიჩი (6ქ, 13მ, 3ჩ, 2დ), პეშიჩი (17ქ, 6მ), ჭოჭუა (10ქ), ანთაძე, ორმოცაძე, სტოიაკოვიჩი (7ქ, 3პ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი, გ. მიქელაძე.

**სერია მოიგო „დინამომ" - 3:0**

სუპერლიგის წლევანდელი გათამაშების რეგულარულ ეტაპზე „დინამო" პირველ ადგილზე გავიდა, „ბათუმი" - მეხუთეზე. აჭარლებმა მეოთხედფინალში მეოთხეადგილოსან „მსს აკადემიას" აჯობეს და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს იყო ბათუმური გუნდის მაქსიმუმი.

საინტერესო ამერიკელებით დაკომპლექტებულ გუნდს არ ეყო ძალა ბოლომდე გამკლავებოდა „დინამოს", რომელმაც სეზონის დასაწყისშივე მისაბაძი მაგალითი მოგვცა გუნდის აწყობა-დაკომპლექტებისა: მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი ხოშტარიამ** შემოდგომით შეკრიბა ყველა ის ქართველი კალათბურთელი, რომლებიც ლეგიონერებს სათანადოდ უნდა შეწყობოდნენ და ყველა რგოლში თანაბარი ძალის გუნდი შეკრულიყო.

დინამოელებს სხვებთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობაც ჰქონდათ - მათ ისეთი უცხოელი კალათბურთელები დაიმატეს, რომლებსაც მანამდე სხვადასხვა ქართულ კლუბებში ჰქონდათ ნათამაშები, ქართულ რეალობასაც კარგად იცნობდნენ და ჩვენს კალათბურთსაც.

ასე და ამგვარად, ნახევარფინალში „დინამოს" მიერ „ბათუმის" ძლევა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, თუმცა ზღვისპირელთაგან მეტს ველოდით. შესაძლოა, გუნდზე უარყოფითად იმოქმედა სერიის პირველ მატჩში მომხდარმა ეპიზოდმა, რომლის შემდეგაც **ჯეიმი ჯექსონი** ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მას არც მესამე ადგილისთვის მატჩში მოუწევს თამაში.

დინამოელები ფინალში „ქუთაისისა" და „არმიას" წყვილში გამარჯვებულს დაელოდებიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**13 მაისი. ქუთაისი**

**ქუთაისი–არმია 80:84 დ.დ.**

**11:16, 18:16, 16:21, 22:14, 13:17**

**ქუთაისი:** გრძელიძე (6ქ, 5მ), დიდია (8ქ), ცეკვავა (17ქ, 9პ), დ. ბარბაქაძე (10ქ), ა. დვალიშვილი (24ქ, 19მ), დ. დვალიშვილი (4ქ), ცირეკიძე, ლომინაშვილი (8ქ), გ. ბარბაქაძე (3ქ)

**არმია:** ბაბუნაშვილი (7ქ), ბოისა (12ქ), ნივნივაძე (10ქ, 6პ), შარაბიძე (19ქ, 10მ), ფარლალავა (15ქ), ბაბიაშვილი, ბერიშვილი (7ქ, 10მ), კვიმსაძე (2), ჯგერენაია (4ქ).

საოცრად დაძაბულად და სანახაობრივად წარიმართა „ქუთაისისა" და „არმიას" მესამე ნახევარფინალური დაპირისპირება, რომელიც ქუთაისის გადაჭედილ სპორტის სასახლეში გაიმართა. არმიელებმა უშეღავათო ბრძოლაში, ოვერტაიმში მოახერხეს მასპინძლების დამარცხება და სერიაში 2:1 დაწინაურდნენ. სანამ მატჩზე ვისაუბრებთ, უნდა ვთქვათ, რომ დარბაზში შესანიშნავი საკალათბურთო გარემო იყო შექმნილი, გულშემატკივრები ორგანიზებულად ქომაგობდნენ საყვარელ გუნდს და დამატებითი მოთამაშის როლს ასრულებდნენ.

„ქუთაისს", რომელიც წამყვანი გამთამაშებლის **ზაურ ფაშაევის** გარეშე თამაშობდა დებიუტში ძალიან გაუჭირდა. შეხვედრა თბილისელების უპირატესობით დაიწყო, ანგარიში **ბექა ნივნივაძემ** გახსნა, რომელიც საკუთარი გუნდის რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მას **გიორგი შარაბიძემ** და **თემურ ბაბუნაშვილმაც** აუბეს მხარი და „არმიამ" მეტოქე 11 ქულით ჩამოიტოვა 13:2.

ქუთათურებს მათ თამაში არ მისდიოდათ, უამრავ შეცდომას უშვებდნენ, რაც ტაბლოზეც გამოჩნდა: 7 წუთში მხოლოდ 2 ქულა ჰქონდათ ჩაგდებული. **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდებმა პირველი პერიოდის ბოლოს გამოასწორეს თამაში და **ლევან ცეკვავას** დიდებული გარჯის წყალობით, ანგარიში 5 ქულამდე შეამცირეს - 11:16.

მეორე პერიოდის დაწყებისთანავე ცეკვავამ ზუსტად ისროლა საშუალო დისტანციიდან და სხვაობა 3 ქულამდე დავიდა 13:16, რის შემდეგაც თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა. ამას მოჰყვა **დავით ბარბაქაძის** მიერ ზედიზედ ჩაგდებული 5 ქულა და „ქუთაისი" შეხვედრაში პირველად გავიდა წინ - 23:22. აქედან მოყოლებული, ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა, ხან მეორე, ქუთაისელთაგან **დავით ბარბაქაძე** და **აკაკი დვალიშვილი** გამოირჩეოდნენ, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დაცვაში ირჯებოდა ნაყოფიერად და საკუთარი ფარიდან რამდენიმე რთული ბურთიც მოხსნა. არმიელთაგან კი **ნივნივაძე, ბოისა** და **შარაბიძე** აქტიურობდნენ. საბოლოოდ, პირველი ტაიმი 29:32 მორჩა.

მესამე მეოთხედში **დიდიამ, ლომინაშვილმა** და ცეკვავამ ქუთათურები კვლავ დააწინაურეს 36:32, მაგრამ ნივნივაძის, **ფარლალავასა** და **ბერიშვილის** კარგი თამაშის წყალობით, „არმია" კვლავ წინ გავიდა 36:38. სულ მალე დვალიშვილმა კი სამქულიანი სროლით წინ გაიყვანა მასპინძელთა გუნდი - 45:44. თუმცა, მეოთხედის ბოლო ქუთაისელებმა ისევ ჩააგდეს და გადამწყვეტ პერიოდს „არმია" 8-ქულიანი უპირატესობით შეხვდა.

ბოლო მეოთხედის დასაწყისში დავით ბარბაქაძის, ავთო ლომინაშვილისა და აკაკი დვალიშვილის კარგი თამაშის წყალობით „ქუთაისმა" ჩამორჩენა კვლავ აღმოფხვრა და წინაც გავიდა: 58:57. მოკლედ, ყველაფერი ბოლო წამებს უნდა გადაეწყვიტა. ძირითადი დროის დასრულებამდე 34 წამით ადრე **რევაზ დიდიამ** ორი საჯარიმოდან ერთი გამოიყენა და „ქუთაისი" მოგებას მიუახლოვდა - 67:65. მასპინძლებმა სტუმართა საპასუხო შეტევა ჩაჭრეს და გამარჯვებამდე ერთი ზუსტი სროლა აშორებდათ, მაგრამ თავადაც ვერ იხეირეს. არმიელებს თამაშის გადასარჩენად 8 წამი რჩებოდათ და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შანსი კარგად გამოიყენეს: **ლაშა ფარლალავამ** საშუალო დისტანციიდან ზუსტად ისროლა (67:67) და მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.



დამატებით დროში არმიელებმა ფარლალავას, ნივნივაძისა და ბერიშვილის აქტიურობის შემდეგ კვლავ მოიპოვეს უპირატესობა 76:71. სწორედ ამ დროს ქუთაისელებს დაღლა დაეტყოთ და სწრაფი შეტევების განვითარება უჭირდათ, თუმცა ძალების მობილიზება შეძლეს და - 77:76. წესით, ფსიქოლოგიური უპირატესობაც მასპინძლების მხარეს უნდა გადასულიყო, მაგრამ მასპინძლებმა რამდენჯერმე უწყინარ სიტუაციაში ჩააბარეს მეტოქეს ბურთი, შეტევები ვერ გამოიყენეს და დაცვაშიც დაუშვეს შეცდომები. არმიელებმა ამით კარგად ისარგებლეს და უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში 84:80 გაიმარჯვეს.

გამარჯვებულთაგან ორმაგი დუბლი შეასრულა გიორგი შარაბიძემ, რომელმაც 19 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. ნაყოფიერად გაისარჯნენ ფარლალავა, რომელიც საკუთარ გუნდს 15 ქულით შეეწია, ბოისა (12 ქულა) და ნივნივაძე (10 ქულა). მასპინძელთაგან კი საუკეთესო აკაკი დვალიშვილი გახლდათ, რომელმაც 24 ქულასთან ერთად 19 მოხსნაც მოაგროვა. კარგად ითამაშა ლევან ცეკვავამაც. მას ორმაგ დუბლამდე ერთი შედეგიანი გადაცემა დააკლდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ქართველი თურქეთში



## მოულოდნელი სტარტი

თურქეთის ჩემპიონატში არასახარბიელოდ დაიწყო პლეი ოფი **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ". სტამბოლელებმა თანაქალაქელ „ბეშიქთაშთან" მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში შინ 70:72 დათმეს.

ამით ყველაფერი არ დამთავრებულა, „გალას" სერიაში გამარჯვების შანსი კიდევ შერჩა, თუმცა „ბეშიქთაშის" დაწინაურებას ბევრი არ ელოდა.

მანუჩარ მარკოიშვილმა „გალათასარაის" მაისურით 31 წუთი ითამაშა, 5 ქულა, 3 მოხსნა და ამდენივე პასი მოაგროვა. მან 2 ორქულიანი და 4 სამიანი სტყორცნა და თითო ჩააგდო.

სერიის მომდევნო მატჩი 16 მაისს „ბეშიქთაშის" არენაზე გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ხელბურთი

## 16 მაისიდან გლდანში

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გუშინ პრესკონფერენცია გამართა. შეჯამდა უკრაინასა და ბელარუსში 16-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა და ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის შედეგები, საუბარი შეეხო თბილისის საერთაშორისო ტურნირს - ჯემალ ცერცვაძის თასის გათამაშებას, რომელიც 16 მაისს დაიწყება. სპორტის მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძემ** ბიჭების ნაკრებს (დათო მამულაშვილი („რუსთავი"), სანდრო ხანდოლიშვილი („ქარიშხალა"), ერეკლე არსენაშვილი, გიგი ფერაძე, ლუკა ბულბულაშვილი, ირაკლი კბილაშვილი („ქარიშხალა"), გიორგი ბიბილეიშვილი, გიორგი მიქაძე („ფოთი"),გიორგი მერკვილაძე („ქუთაისი"),ზაალ ზაალიშვილი („შევარდენი") ლუკა გაწერელია, ზურაბ გოგავა („პეგასი"), ხაზეინ რუსტამოვი, ზეზვა იობაშვილი („იმედი"), მწვრთნელები: გიორგი ქობელაშვილი, გიორგი გვაზავა) უკრაინაში მიღწეული გამარჯვება მიულოცა, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზურაბ კაკაბაძემ** კი დამსწრეთ აუწყა, რომ 16 მაისს 16-წლამდელებისთვის გლდანში დაიწყება საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ჯემალ ცერცვაძის 75 წლისთავს ეძღვნება. გოგონებში ითამაშებენ პოლონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველოს 2 ნაკრები. ბიჭებში კი მთავარი პრიზისთვის აზერბაიჯანი, სომხეთი და ჩვენი ქვეყნის ორი გუნდი იბრძოლებს.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს ორივე ნაკრების მოთამაშეები, რომლებმაც ბელარუსისა და უკრაინის ტურნირებზე საუკეთესო მოთამაშეების სპეციალური პრიზები დაიმსახურეს - ნინო გაბისონია, თამარ ჩოგოვაძე, ირაკლი კბილაშვილი, ხაზეინ რუსტამოვი და ერეკლე არსენაშვილი.

## ახალგაზრდული ნაკრები უკრაინაში გაემგზავრა

საქართველოს 20-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო თასისთვის ემზადება. ეს ზონალური შეჯიბრება 21 მაისიდან ანდორაში დაიწყება. ტურნირის გამარჯვებული გაისად ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოსინჯავს ძალებს.

ჩვენმა ახალგაზრდებმა (ჯონი ცერცვაძე (1994, სტუ), ზურაბ ცინცაძე (1996, „პეგასი")

ზურაბ აბრამიშვილი (1994, სტუ), ირაკლი გოგოლაძე (1996, სტუ), ომარ ალანია (1995, „იმედი"), გიორგი დიხამინჯია (1997, „პეგასი"), გიგა კოხრეიძე (1996, „პეგასი"), ლაშა არსენაშვილი (1997, სტუ), ზურაბ სიმონია (1995, სტუ), შალვა სტურუა (1994, სტუ), თემურ ორჯონიკიძე (1996, სტუ), ალექსანდრე ცხვარაშვილი (1996, „პეგასი"), გივი გიორგაძე (1996, „იმედი"), ამირან აბუანდაძე (1996, „პეგასი")

მწვრთნელები: ბექა ორჯონიკიძე, ლევან გელაშვილი, ჯორჯე რაშიჩი) უკრაინის ქალაქ ბროვარის მიაშურეს, სადაც სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 20 მაისს ანდორაში გაემგზავრებიან.

**ვაჟა დანელია**

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ



სოფო შაფათავა

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ჩოგბურთელმა **ეკატერინე გორგოძემ** ფრანგული სენტ გოდენის 50.000-იანი საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციოში ზედიზედ სამი მოგების შემდეგ ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა, თუმცა იქ ლიხტენშტეინელ შტეფანი ფოგტთან ვერაფერს გახდა - 5:7, 3:6 წააგო. გორგოძემ ვერც წყვილებში იყოჩაღა - ჩილელ სესილია კოსტა მელგართან ერთად მე-4 ნომრად განთესილ **სოფო შაფათავას** და უკრაინელ ანასტასია ვასილიევას დუეტთან სამ სეტში დამარცხდა - 0:6, 7:5, 4:10. შაფათავა და მისი მეწყვილე მეოთხედფინალში დენიზ ხაზანიუკისა (ისრაელი) და ჯეი სუვრის (საფრანგეთი) მძლეველ (6:4, 6:2) კაროლინა ვლოდარჩაკისა (ავსტრალია) და ნიკოლა სლატერის (დიდი ბრიტანეთი) დუეტს გაუწევენ მეტოქეობას.

■ ■ ■

**ანა ახალკაცმა** ანტალიის 10-ათასიანი ტურნირის კვალიფიკაციაში რუს ანა კლებლეევას 6:4, 6:1 აჯობა, მაგრამ ძირითად ბადეში ტურნირის მე-8 ნომერ ფრანგთან - ოსეან დოდინთან 1:6, 1:6 წააგო. სამაგიეროდ, წყვილებში ანამ და რუსმა ვასილისა აპონასენკომ თურქებს – ტულინ დაგილმისგულსა და ესენ კოკჩეს სძლიეს - 6:1, 6:2. ქართულ-რუსული დუეტი მეოთხედფინალში ასპარეზობის მე-2 ნომრებს - ბარბარა ბონიჩსა (სერბეთი) და ხიმენა კოჩეს (მექსიკა) დაუპირისპირდება.

■ ■ ■

ეგვიპტეში შარმ ელ შეიხის 10-ათასიან ტურნირზე **თამარ ქალაგანიძე** ჩერნოგორიელ ტამარა ბოიანიჩთან დამარცხდა - 1:6, 2:6. წყვილებში ყაზახ ეკატერინა გუბანოვასთან შეამხანაგებულმა ჩვენებურმა პირველ წრეში არგენტინელი კამილა აგუირისა და რუსი ანგელინა გორდიენკოს ტანდემი ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:4 და მეოთხედფინალში ლიზა საბინო (შვეიცარია) - ნინა სტოიანოვიჩისა (სერბეთი) და მესამე ნომერ ეკატერინა კლიუევა (ყაზახეთი) - სოფია სმაგინას (რუსეთი) დუეტებს შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას.

■ ■ ■

სამარყანდში (უზბეკეთი) ჩოგბურთელ ვაჟთა ტურნირზე (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) ასპარეზობა დაასრულა თბილისელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა.** როგორც გაუწყეთ, ერთეულებში იგი გერალდ მელზერთან (ავსტრია) დამარცხდა, წყვილებში კი მიხალ კონეჩნისთან შეამხანაგებულმა ჩვენებურმა გუშინ მეორე ნომრად განთესილ ბელარუსებთან - სერგეი ბეტოვსა და ალექსანდრ ბარისთან წააგო - 2:6, 6:7.

ვაჟა ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲠᲐᲒᲑᲘ. ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

# ᲒᲝᲠᲒᲝᲫᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ

**7 ᲘᲕᲜᲘᲡს სამხრეთ აფრკის ნაკრები კეიპთაუნში მსოფლიოს ნაკრებს უმასპინძლებს. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელის მთავარი მწვრთნელი სამხრეთაფრიკელი ნიკ მალეტია, რომელმაც პლანეტის საუკეთესო მორაგბეების სია გამოაქვეყნა.**

მალეტის რჩეულთა შორისაა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე,** რომელიც წლეულს, ისევე როგორც აქამდე შესანიშნავ სეზონს ატარებს. მსოფლიოს ნაკრებში ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის, სამოას, ტონგას, საფრანგეთისა და ირლანდიის კიდევ 22 მოთამაშე მოხვდა.

*„ის მოთამაშეები, რომლებიც ამ მატჩისთვის შევარჩიე არა მარტო გამოცდილები არიან, არამედ ამჟამადაც შესანიშნავ ფორმაში იმყოფებიან. მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვაქვს, მოუთმენლად ველი, როცა ყველა ამ ნიჭიერ მორაგბეს თავს მოვუყრი. ვფიქრობ, მათთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება.*

*წინ ძალიან საინტერესო მატჩი გველის. დარწმუნებული ვარ ჩემი გუნდი „ბოკეს“ სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს.“* - თქვა ნიკ მალეტმა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ნაკრებში ყველაზე გამოცდილი ახალზელანდიელი **ენდრიუ ჰორია,** რომელმაც ეროვნულ გუნდში 83 კეპი მოიხვეჭა. მას კვალში უდგას ფრანგი უკანახაზელი **ორელიან რუჟერი,** რომელმაც „ლე ბლოს“ შემადგენლობაში 71 მატჩი გამართა. გუნდში ორი ისეთი მორაგბეც მოხვდა, რომლებსაც ეროვნულ ნაკრებში არასდროს უთამაშიათ. ორივე სამხრეთაფრიკელია: **რორი კოკოთი** და **სხალკ ფერეირა.** მსოფლიოს ნაკრებში მოხვედრილი სამხრეთაფრიკელებიდან ყველაზე მეტი, 25 კეპი **ბი ჯეი ბოთას** აქვს მოხვეჭილი.

შეგახსენებთ, რომ მამუკა გორგოძემ საქართველოს ნაკრებში 51 მატჩი გამართა.



ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

**შერკინება:** სტეფონ არმითიჯი (ლონდონ აირიში, ავსტრალია), ალექსანდრ ლაპანდრი (კლერმონი, საფრანგეთი), როჯერ ვილოსნი (ალსტერი, ირლანდია), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საქართველო), ალისტერ ჰარგრეივსი (სარასენზი, სამხრეთ აფრიკა), ჯო ტეკორი (ტულუზი, სამოა), ივანდერ კრუხერი (მეტრო რასინგი, სამხრეთ აფრიკა), სხალკ ბრაიტსი (სარასენზი, სამხრეთ აფრიკა), ენდრიუ ჰორი (ახალი ზელანდია), სხალკ ფერეირა (ტულუზი, სამხრეთ აფრიკა), სონა ტაუმოლოლო (პერპინიანი, ტონგა), ბი ჯეი ბოთა (მანსტერი, სამხრეთ აფრიკა), კარლ ჰეიმანი (ტულონი, ახალი ზელანდია)

ᲣᲙᲐᲜᲐ ᲮᲐᲖᲘ

ჯეიმზ ოკონორი (ლონდონ აირიში, ავსტრალია), დრიუ მიტჩელი (ტულონი, ავსტრალია), ჰოსე გეარი (ტულუზი, ახალი ზელანდია), სიტივენი სივივიატუ (კლერმონი, ახალი ზელანდია), ორელიან რუჟერი (კლერმონი, საფრანგეთი), რენე რენჯერი (მონპელიე, ახალი ზელანდია), მეთ გიტო (ტულონი, ავსტრალია), ფრანსუა ტრინ-დუკი (მონპელიე), რორი კოკოთი (კასტრი, სამხრეთ აფრიკა), ჯიმი ქოუანი (გლოსტერი, ახალი ზელანდია).

ბესიკ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲠᲐᲒᲑᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲘᲦᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ



**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჩემპიონატის ჭაბუკთა B ლიგაში მეორე ეტაპის პირველი წრე დასრულდა. შეგახსენებთ, რომ აქ 16 გუნდი ოთხ ჯგუფშია განაწილებული. დაუმარცხებელი კი პირველი წრის შემდეგ მხოლოდ ორი დარჩა. ესენი არიან თბილისის „ლელო“ და ქუთაისის პირველი გუნდი.**

A ჯგუფში პირველი მარცხი იწვნია რუსთავის „ხარებმა“, რომელმაც სტუმრად წააგო „თსუსთან“ - 12:20. შედეგად ორივე გუნდს 9-9 ქულა დაუგროვდა და პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. ჯგუფის გამარჯვებული წესით ამ ორ გუნდს შორის მეორე წრის დაპირისპირებაში უნდა გაირკვეს, მაგრამ მათგან ძალიან შორს არ არის „არმია“, რომელმაც თბილისის „ხულიგანას“ მოუგო დამაჯერებლად - 57:12.

ᲥᲐᲑᲣᲙᲗᲐ B ᲚᲘᲒᲐ

A ᲯᲒᲣᲤᲘ

III ᲢᲣᲠᲘ

ხულიგანა-არმია 12:57, თსუ-ხარები 20:12

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

1. თსუ - 9 ქულა, 2. ხარები - 9, 3. არმია - 6, 4.ხულიგანა - 4.

IV ᲢᲣᲠᲘ

არმია-ხარები, ხულიგანა-თსუ

B ჯგუფში თბილისის „ლელო“ დაწინაურდა, რომელმაც სამი თამაშიდან სამივე მოიგო. ლელოელებმა პირველი წრის ბოლო მატჩში პირველი მარცხი აგემეს თბილისის „ჯვაროსნებს“ - 34:19. „ლელო“ გამოკვეთილი ფავორიტია და, წესით, პირველობას ვერავინ უნდა შეეცილოს.

მეორე ადგილისთვის ბრძოლაში „ჯვაროსნებს“ კონკურენციას თბილისის „არმაზი“ გაუწევს, რომელმაც თბილისის „ნიქარას“ 29:0 მოუგო.

B ᲯᲒᲣᲤᲘ

III ᲢᲣᲠᲘ

ნიქარა-არმაზი 0:29, ლელო-ჯვაროსნები 34:19

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

1. ლელო - 15 ქულა, 2. ჯვაროსნები - 9, 3. არმაზი - 5, 4. ნიქარა - 0.

IV ᲢᲣᲠᲘ

ჯვაროსნები-არმაზი, ლელო-ნიქარა

C ჯგუფში დაძაბული ბრძოლაა ქუთაისის პირველ და მეორე გუნდებს შორის. ორივე აქამდე დაუმარცხებლად ასპარეზობდა და პირველი წრის ბოლო ტურში სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გამარჯვება მინიმალური სხვაობით ქუთათურთა პირველ გუნდს დარჩა - 6:5. ახლა პირველი გუნდი მეორეს მხოლოდ ორი ქულით უსწრებს და მათ შორის ბრძოლა ჯერაც წინაა.

ძნელი სავარაუდოა ქუთაისის გუნდმა პირველ ორს პრობლემები შეუქმნას. თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე ორივესთან წააგო და პირველი გამარჯვება სტუმრად ახალციხის „ტაოსთან“ მოიპოვა - 33:12.

C ᲯᲒᲣᲤᲘ

III ᲢᲣᲠᲘ

ტაო-აია 3 12:33, აია1-აია2 6:5

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

1. აია 1 - 13 ქულა, 2. აია 2 - 11, 3. აია 3 - 6, 4. ტაო - 0.

IV ᲢᲣᲠᲘ

აია2-აია3, აია1-ტაო

D ჯგუფში პირველად წააგო ქობულეთის „პონტომ“, რომელმაც სტუმრად ვერაფერი გააწყო „ადიგენთან“ - 7:18. ამით შესანიშნავად ისარგებლა ხაშურის „ლეგიონმა“, რომელმაც სტუმრად დაამარცხა ქუთაისის მეოთხე გუნდი 27:3 და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

D ᲯᲒᲣᲤᲘ

III ᲢᲣᲠᲘ

ადიგენი-პონტო 18:7, აია 4-ლეგიონი 3:27

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

1. ლეგიონი - 10 ქულა, 2. პონტო - 8, 3. აია 4 - 5, 4.ადიგენი - 0.

IV ᲢᲣᲠᲘ

ლეგიონი-პონტო, აია4-სადიგენი

ბესიკ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲠᲐᲒᲑᲘ. ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ

# ᲢᲠᲘᲜ-ᲓᲣᲙᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲞᲔ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ნაკრები ივნისის ტესტებზე ტურნეს გამართავს ავსტრალიაში. „ლე ბლოს“ მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ სენტ-ანდრემ ეროვნულ გუნდში არ შეიყვანა „მონპელიეს“ მგეზავი **ფრანსუა ტრინ-დუკი** და სტად ფრანსეს მეორეხაზელი **პასკალ პაპე.**

ეს უკანასკნელი **ტიერი დუსოტუარის** არყოფნაში გუნდის კაპიტანი იყო. თუმცა, ტიერი გამოჯანმრთელდა და ფრანგებს ისევ წინ წარუძღვება. სენტ-ანდრემ ნაკრებში იხმო მგეზავი **ფრედერიკ მიშალაკი,** რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩებში შესანიშნავად გაიწაფა.

„ლე ბლოს“ შემადგენლობაში რამდენიმე დებიუტანტია. ესენი არიან: **ალექსანდრ მენინი, ფელიქს ლე ბურისი და რემი ლამერა.**

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

**შერკინება:** ტომა დომინგო, ალექსანდრ მენინი, გილემ ჟირადო. ბენიამინ კაიზერი, კრისტოფ ტოლოფუა, ვინსსენტ დებატი, ნიკოლა მასი, რაბა სლიმანი, იოან მაესტრი, ალექსანდრ ფლანკარტი, სებასტიან ვაჰამაჰინა, ბერნარდ ლე რუ, ანტონი ბარბანი, დამიენ შული, ტიერი დუსოტუარი, იანიკ ნიანგა, ფლუჟანს უოდრაოგო, ლუი პიკამოლი.

**უკანა ხაზი:** მორგან პარა, მაქსიმ მაშენო, ფრედერიკ მიშალაკი, რემი ტალესი, მატიე ბასტარო, რემი ლამერა, ვესლი ფოფანა, გელ ფიკუ, იოან უგე, ფელიქს ლე ბურისი, მაქსიმ მედარი, ბრაის დულინი, უგო ბონევალი.

ბესიკ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ



პასკალ პაპე



ფრანსუა ტრინ-დუკი

კალათბურთი. NBA პლეი ოფი

# ლებრონის მოგება და რეკორდი



ლებრონს (მარცნივ) პირსმა ვერაფერი მოუხერხა

„მაიამი ჰიტმა" თავისი ლიდერის, **ლებრონ ჯეიმსის** 49 ქულის წყალობით არ მისცა „ბრუკლინს" ზედიზედ მეორე საშინაო მატჩის მოგებისა და სერიაში ანგარიშის გათანაბრების საშუალება.

ფორვარდმა 24-დან 16 ტყორცნა მოათავსა კალათში და ფლორიდული კლუბის რეკორდი დაამყარა პლეი ოფის მატჩში დაგროვილი ქულების რაოდენობით. ლებრონი ძალიან ახლოს იყო 50 ქულასთან, მაგრამ სირენამდე ერთი წამით ადრე საჯარიმო ააცილა!

„მაიამის" საბოლოო გამარჯვებაში ლებრონის წვლილის შეფასება რთული იქნება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მთელი მატჩის განმავლობაში არც ერთ გუნდს არ ჰქონია ორნიშნა უპირატესობა, **კრის ბოშმა** და **დუეინ უეიდმა** კი თავიანთი შესაძლებლობები ვერ გვიჩვენეს. თუმცა ბოშის ზუსტი სამქულიანი თანაბარი ანგარიშისას სირენამდე 57 წამით ადრე მატჩის ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი იყო. უეიდის შეცდომები კი ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რისი წყალობითაც „ბრუკლინი" ბოლომდე ინარჩუნებდა მატჩში ინტრიგას. არადა, მასპინძლებს სამქულიანების საშინელი რეალიზაცია ჰქონდათ - 22-დან ხუთი შორეული ტყორცნა მოათავსეს კალათში.

■ ■ ■

ბევრი დარწმუნებული იყო იმაში, რომ „სან ანტონიო" მეოთხე მატჩსაც მოუგებდა „პორტლენდს" და სერიას „მშრალი" ანგარიშით მოიგებდა. ამგვარი ვარაუდის საშუალებას იძლეოდა თუნდაც ის ფაქტი, რომ წინა სამ მატჩში „ბლეიზერსი" ჯამში 66 წამის (!) განმავლობაში იყო დაწინაურებული.

მაგრამ უფსკრულის პირას მდგარმა „პორტლენდმა" მოინდომა და მინიმუმ ერთი მატჩით გაახანგრძლივა სერია. ეს შესაძლებელი გახდა სამწამიანში აგრესიული თამაშით - 103 ქულიდან 62 მასპინძლებმა სწორედ ამ ზონიდან აიღეს, ასევე „ბლეიზერსს" უპირატესობა ჰქონდა მოხსნებში, აგრეთვე კარგად ითამაშა პერიმეტრზე დაცვაში - „სან ანტონიომ" 18 შორეული ტყორცნიდან მხოლოდ სამი მოათავსა კალათში.

გადამწყვეტი მონაკვეთი იყო მესამე მეოთხედი, კერძოდ კი მისი მეორე ნაწილი, როცა „პორტლენდმა" 14:3 გაქცევა შეასრულა და სხვაობა 17 ქულამდე გაიზარდა. და ამ მომენტში **გრეგ პოპოვიჩმა** სათადარიგოთა სკამზე დასვა თავისი ლიდერები, რითაც ფაქტობრივად კაპიტულაცია გამოაცხადა.

**აღმოსავლეთი**

**ბრუკლინი–მაიამი 96:102**

**22:27, 27:29, 27:23, 20:23**

**ბ:** ჯონსონი (18), პირსი (16+7 მოხსნა), უილიამსი (13+7 პასი+6 მოხსნა), ლივინგსტონი (13+4 პასი), ანდერსონი (10), ბლეტჩი (8+8 მოხსნა), გარნეტი (8+7 მოხსნა), კირილენკო (6), ტელეტოვიჩი (4).

**მ:** ჯეიმსი (49+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), უეიდი (15), ბოში (12+5 მოხსნა+3 დაფარება), ალენი (11+7 მოხსნა), ჩელმერსი (8+7 პასი), ანდერსენი (5+6 მოხსნა), ბატიე (2).

**სერია:** 1-3

**დასავლეთი**

**პორტლენდი–სან ანტონიო 103:92**

**29:24, 21:24, 35:20, 18:24**

**პ:** ლილარდი (25+5 პასი), ოლდრიჯი (19), ბარტონი (17+6 მოხსნა), ბატუმი (14+14 მოხსნა+8 პასი), მეტიუზი (10+8 მოხსნა), ლოპესი (9+12 მოხსნა), რობინსონი (9+5 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (14), დანკანი (12+9 მოხსნა), დიაო (12), ლეონარდი (11+7 მოხსნა), მილზი (10), გრინი (9), ბელინელი(8+7 მოხსნა), სპლიტერი (6), ჯოზეფი (5), ბეინსი (3+7 მოხსნა), ჯინობილი (2).

**სერია:** 1-3

ჰოკეი. NHL პლეი ოფი


ბოსტონის კართან ბევრი მომენტი იყო

# ყველაფერი ბოსტონში გადაწყდება

„მონრეალმა" ძალიან იოლად მოუგო მეექვსე მატჩი „ბოსტონს", რომელიც დაწინაურებული იყო სერიაში 3:2 და ჰქონდა პლეი ოფის მესამე რაუნდის საგზურის გაფორმების შანსი.

უკვე მესამე წუთზე „ბოსტონის" დებიუტანტი მცველის **მილერის** შეცდომამ ის გამოიწვია, რომ დანიელმა **ლარს ელერმა** აილო **ტუუკა რასკის** კარი. „ბრუინზს" ჰქონდა პერიოდული აქტიურობები, მაგრამ ბევრი ვერაფერი დაუპირისპირეს „მონრეალს". „კანადიენსის" მეკარემ **კორი პრაისმა** 26 დარტყმა მოიგერია და მიმდინარე პლეი ოფში პირველი შათაუტი შეასრულა, ხოლო მასპინძლების ფორვარდმა **მაქს პასიორეტიმ** შეწყვიტა ხუთმატჩიანი უგოლო სერია.

■ ■ ■

„ანაჰაიმის" დებიუტანმა მეკარემ **ჯონ გიბსონმა** კვლავ დამაჯერებლად ითამაშა „ლოს ანჯელესის" წინააღმდეგ და ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. მართალია, ამჯერად მან ვერ შეძლო საკუთარი კარის „მშრალად" შენახვა, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი სტატისტიკა ჰქონდა - 39 დარტყმა მოიგერია, რამაც „იხვებს" პირველად მისცა ამ სერიაში დაწინაურების საშუალება.

მატჩის გადამწყვეტი მომენტი იყო მეორე პერიოდის დასაწყისი, როცა „ანაჰაიმის" ჰოკეისტებმა 90 წამის ინტერვალით ორჯერ აილეს მეტოქის კარი.

ამ ორიდან ერთ-ერთი გოლი **ტეემუ სელიანემ** შექმნა, რომელმაც მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ჯერ არ ფიქრობს კარიერის დასრულებაზე.

*„მართლაც ვფიქრობ, რომ ჯერ ადრეა ჰოკეიდან წასვლა, - განაცხადა ფინელმა ვეტერანმა. - ჩემი გული საჭირო რიტმში მუშაობს. არ მჭირდება დამატებითი მოტივაციის ძებნა იმისთვის, რომ მოედანზე გავიდე. ვფიქრობ მხოლოდ იმაზე, რომ სარგებლობა მოვუტანო „ანაჰაიმს" და მოვიგო სერია „ლოს ანჯელესთან".*

**აღმოსავლეთი**

**მონრეალი–ბოსტონი 4:0**

**1:0, 2:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ელერი-4, 2:0 პასიორეტი-2 (ბოლიო-1, ვიველი-3), 3:0 ვანეკი-4 (პასიორეტი-4, მარკოვი-5), 4:0 ვანეკი-5 (დეშარნე-3).

**სერია:** 3-3

**დასავლეთი**

**ანაჰაიმი–ლოს ანჯელესი 4:3**

**1:1, 3:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ბონინო-4 (ვინიკი-1), 1:1 ლუისი-3 (ჯასტინ უილიამსი-4), 2:1 სმიტ-პელი-4 (მ. პერო-3, სელიანე-4), 3:1 სმიტ-პელი-5 (გეტცლავი-10), 4:1 სილფვერბერგი-2 (კოლიანო-5), 4:2 გაბორიკი-7 (მუზინი-4, ჯ. კარტერი-6), 4:3 გაბორიკი-8 (დ. ბრაუნი-4, კოპიტარი-12).

**სერია:** 3-2

# NBA პოზიციას არ შეცვლის


ადამ სილვერი

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კვლავაც აქტუალურია „ლოს ანჯელეს კლიპერსის" მფლობელის **დონალდ სტერლინგის** თემა. NBA-ის კომისარმა **ადამ სილვერმა** კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი: ლიგა არ აპირებს თავისი პოზიციის შეცვლას სტერლინგთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით, ასოციაცია ბოლომდე მიიყვანს „კლიპერსის" გასხვისების პროცესს და სამუდამოდ ჩამოაშორებსს NBA-ს დონალდ სტერლინგს.

*„დიახ, წავიკითხე სტერლინგის ინტერვიუ, რომელშიც ის ბოდიშს იხდის, -* მოჰყავს NBA-ის ოფიციალურ ვებგვერდს სილვერის სიტყვები. - *შემიძლია ვთქვა, რომ არაფერი შეცვლილა და ჩვენი დისკვალიფიკაცია ძალაში რჩება. მმართველი საბჭო აგრძელებს მუშაობას სტერლინგის „კლიპერსის" ხელმძღვანელი პოსტიდან ჩამოსაშორებლად. ვეცდებით არ გავაჭიანუროთ ეს პროცესი".*

ასევე არ სჯერა სტერლინგის ბოდიშის „კლიპერსის" მთავარ მწვრთნელს **დოკ რივერსს**. მისი სიტყვებით, კლუბის მფლობელი უბრალოდ შეეცდება ყველანაირი ხერხის გამოყენებით შეინარჩუნოს კლუბი.

*„სტერლინგის მიერ ნათქვამი ნაკლებად ჰგავს ბოდიშს,* - ამბობს რივერსი ESPN-თან კომენტარში. - *თუ სიმართლე გაინტერესებთ, მე ამის არ მჯერა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ის უბრალოდ თავის გადარჩენას ცდილობს და ამისთვის ყველა ხერხს იყენებს".*

# კლივლენდმა მწვრთნელი უნდა ეძებოს

„კლივლენდ კავალიერსის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **მაიკ ბრაუნი**. ამ სპეციალისტმა გუნდი 2013 წლის აპრილში ჩაიბარა და ის აღმოსავლეთ კონფერენციაში მეათე ადგილზე გაიყვანა. რეგულარულ სეზონში „კავალერებმა" 33 გამარჯვება მოიპოვეს და 49 მატჩში დამარცხდნენ.

*„ეს ძალიან მკაცრი ბიზნესია. ყველა ჩვენგანისთვის სამწუხაროა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამ მოგვიწია. ის ბევრს მუშაობდა იმისთვის, რომ გუნდი სწორი მიმართულებით წაეყვანა. მართალია, წინა სეზონებისგან განსხვავებით გარკვეული პროგრესიც გვქონდა, მაინც გვჯერა, რომ გუნდს სხვა გეზი სჭირდება",* - განაცხადა „კლივლენდის" მფლობელმა დენ გილბერტმა. სხვათა შორის ეს უკანასკნელი ამ დღეებში კლუბის გენერალური მენეჯერი გახდა.

ჯერჯერობით უცნობია, ვის განიხილავს კლუბის ხელმძღვანელობა ბრაუნის შემცვლელად. პრესამ გამოთქვა ვარაუდი „ლოს ანჯელეს ლეიკერსიდან" განთავისუფლებული **მაიკ დ'ენტონის** შესახებ, რაც ეფუძნებოდა თავის დროზე გრიფინისა და დ'ენტონის თანამშრომლობას „ფინიქს სანზში". თუმცა „კლივლენდის" შეფობამ მაშინვე გამოაცხადა, რომ დ'ენტონი არ შედის სავარაუდო კანდიდატთა სიაში.

# საბონისი მსოფლიოზე მიდის

ლიტვის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. სიაში 24 კალათბურთელი მოხვდა. მთავარმა მწვრთნელმა **იონას კაზლაუსკასმა** აღნიშნა: *„გაურკვეველია, რამდენიმე მოთამაშე იქნება ჯანმრთელი მას შემდეგ, რაც საკლუბო სეზონი დასრულდება, ასე რომ, 15-17-კაციან სიას ივნისში დავასახელებთ".*

საინტერესოა, რომ ეროვნულ გუნდში პირველად გამოიძახეს ლეგენდარული **არვიდას საბონისის** ვაჟი - დონატას საბონისი.

ლიტვის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მცველები:** მარტინას პოჩიუსი, ტომას დიმშა (ორივე - ჟალგირისი), რანელდას სეიბუტისი, მარტინას გეჩევიჩუსი (ორივე - ლეტუვოს რიტასი), ჟიგიმანტას იანავიჩუსი (პრენაი), რაულიუს დამბრაუსკასი (ჯუკია), მანტას კალნიეტისი (ლოკომოტივი, რუსეთი), ადას იუშკევიჩუსი (ბრემერჰავენი, გერმანია), შარუნას ვასილიაუსკასი (სოპოტი, პოლონეთი), მარიუშ გრიგონისი (უესკა, ესპანეთი);

**ფორვარდები:** დონატას მოტეიუნასი (ჰიუსტონი, NBA), პაულიუს იანკუნასი (ჟალგირისი), ვალდას კარინაუსკასი (ლიეტკაბელისი), სიმას იასაიტისი (ლოკომოტივი, რუსეთი), დეივიდას გაილუსი (ოლიმპია, სლოვენია), მინდაუგას კუზმინსკასი (უნიკახა, ესპანეთი), მონას მაჩიულისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ლინას კლეიზა (ფენერბაჰჩე, თურქეთი);

**ცენტრები:** იონას ვალანჩიუნასი (ტორონტო, NBA), რობერტას იავტოკასი (ჟალგირისი), ანტანას კავალიაუსკასი (ლეტუვოს რიტასი), დარიუშ ლავრინოვიჩი (ბუდიველნიკი, უკრაინა), კშიშტოფ ლავრინოვიჩი (ვალენსია, ესპანეთი), დომანტას საბონისი (უნიკახა, ესპანეთი).

■ ■ ■

„მემფის გრიზლისის" ცენტრმა **მარკ გასოლმა** ესპანური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრებისთვის დახმარების გაწევას აპირებს.

NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში მარკმა 59 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14.6 ქულა, 7.2 მოხსნა და 3.6 პასი დააგროვა. მან 23 მატჩი სეზონის სტარტზე მიღებული მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში დაადასტურა **მარკ** გასოლის **უფროსმა ძმამ** - პაუმ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**A ჯგუფი**

**სლოვაკეთი–საფრანგეთი 3:5**

**1:0, 2:1, 0:4**

**გოლები:** 1:0 ნადი-1 (სლობოდა-1), 2:0 ნადი-2 (შატანი-1), 2:1 ამარი-1 (დეროზიე-2, და კოსტა-1), 3:1 შატანი-1 (ვალაპი-1, მიკლიკი-3), 3:2 ამარი-2 (გუტიგი-1), 3:3 რუსელი-1 (ბეში-1), 3:4 ფლერი-1 (და კოსტა-2, გუტიგი-2), 3:5 რუსელი-2.

**ჩეხეთი–კანადა 3:4**

**1:1, 0:3, 2:0**

**გოლები:** 1:0 ჩერვენკა-1 (სობოტკა-1, კლეპიში-1), 1:1 უორდი-3 (მონაჰენი-1, იუბერდო-1), 1:2 ტარისი-1 (რიდი-1, ჩიმერა-1), 1:3 მაკინონი-1 (უორდი-1, ელისი-1), 1:4 რილი-1 (ბიეკსა-1), 2:4 ნოვოტნი-1 (ჰუდლერი-2), 3:4 პერტლი-2 (იაგრი-1).

| | თ | მ | ო-მო-წ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 10:7 | 7 |
| 2. ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| 3. შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 7:3 | 5 |
| 4. საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 9:7 | 5 |
| 5. იტალია | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| 6. ჩეხეთი | 3 | 0 | 1 | 1 | 1 | 9:10 | 3 |
| 7. სლოვაკეთი | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 6:12 | 1 |
| 8. დანია | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

**B ჯგუფი**

**შვეიცარია–ბელარუსი 3:4**

**2:1, 0:1, 1:2**

**გოლები:** 0:1 ს. კოსტიცინი-2, 1:1 უებერი-1 (ბრუნერი-1, იოსი-1), 2:1 შეპი-1, 2:2 სტასი-1 (კორობოვი-1, პლეტი-1), 3:2 ფროიდევო-1 (ზეგერი-1), 3:3 ს. კოსტიცინი-3 (კალუჟნი-2, გრაბოვსკი-3), 3:4 გრაბოვსკი-1.

**რუსეთი–აშშ 6:1**

**2:0, 4:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 კულემინი-2 (მედვედევი-1, ანისიმოვი-1), 2:0 ოვეჩკინი-3 (ბულიტი), 3:0 ტიხონოვი-2 (ოვეჩკინი-2, პლოტნიკოვი-1), 3:1 აბდელკადერი-1 (პეტრი-3), 4:1 კუზნეცოვი-1 (დადონოვი-1), 5:1 პლოტნიკოვი-2 (ტიხონოვი-2), 6:1 ტიხონოვი-3 (ოვეჩკინი-3).

| | თ | მ | ო-მო-წ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 15:3 | 9 |
| 2. აშშ | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 10:9 | 6 |
| 3. ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 9:10 | 6 |
| 4. გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 5 |
| 5. ლატვია | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| 6. ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| 7. ფინეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 4:7 | 0 |
| 8. შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 5:12 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# დიდი სასჯელი რუს ჩემპიონს



იულია ეფიმოვა

სერიოზული სასჯელი მიიღო ცნობილმა რუსმა მოცურავემ, მსოფლიოს ჩემპიონმა **იულია ეფიმოვამ** დოპინგის გამოყენების გამო. სპორტსმენს 16-თვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და ის 2015 წლის 28 თებერვლამდე ვერ შეძლებს ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას.

გარდა ამისა, გაუქმდა ეფიმოვას ყველა შედეგი, რაც 2013 წლის 31 ოქტომბრიდან დღემდე იყო დაფიქსირებული. შესაბამისად, მსოფლიოს რეკორდი, რომელიც ეფიმოვამ 2013 წელს, დანიის ქალაქ ჰიორნინგში ევროპის ჩემპიონატზე 200 მეტრზე ბრასით ცურვისას დააფიქსირა (2 წუთი და 14.39 წამი), რატიფიცირებული არ იქნება.

იანვარში ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ დროებით ჩამოაშორა ეფიმოვა ტურნირებს, რადგან სპორტსმენის დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა. 2013 წლის 31 ოქტომბერს, ლოს ანჯელესში აღებულ სინჯში აღმოჩნდა ანაბოლური სტეროიდების კლასის ნივთიერება.

ეფიმოვას 16-თვიანი დისკვალიფიკაცია იმას ნიშნავს, რომ ის მონაწილეობას ვერ მიიღებს მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატში, რომელიც რუსეთის ქალაქ ყაზანში გაიმართება. სპორტსმენს 21 დღის განმავლობაში აქვს აპელაციის შეტანის უფლება, თუმცა ეფიმოვამ უკვე განაცხადა, რომ არ აპირებს ამის გაკეთებას.

იულია ეფიმოვა სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი და 10-ჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი (აქედან შვიდი - მოკლე აუზზე). გარდა ამისა, მან 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ფიგურული ციგურაობა

# დაკარგული 57 მილიონი

ნიუ იორკის ფედერალურმა სასამართლომ არ მიიღო უკრაინელი ოლიმპიური ჩემპიონის **ოქსანა ბაიულის** სარჩელი.

ბაიული ამტკიცებდა, რომ თაღლითობის მიზეზით მან 57 მილიონი დოლარი დაკარგა. უკრაინელის თქმით, მას ატყუებდნენ საკუთარი აგენტები და ტურნირის ორგანიზატორები.

1994 წლის ოლიმპიური თამაშების მოგების შემდეგ, 16 წლის მოციგურავე აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. ბაიულმა ინგლისური ენა არ იცოდა და მისი საქმეები ერთ-ერთ ადგილობრივ კომპანიას ჩააბარეს. 1994-97 წლებში მან სხვადასხვა პროექტში მიიღო მონაწილეობა.

როგორც სპორტსმენი აცხადებს, ერთ-ერთ პროექტში 25 ათასი დოლარი მიიღო, იმ დროს, როცა რეალურმა მოგებამ 350 ათასი დოლარი შეადგინა. იგივე სიტუაცია იყო სხვა შოუებთან დაკავშირებით.

Tom Collins Shows-ის სარეკლამო ტურში მონაწილეობისთვის სპორტსმენს 472 ათასი დოლარი დააკლეს, ხოლო ბიოგრაფიულ ფილმში მონაწილეობის სანაცვლოდ ბაიულს ერთი ცენტიც არ მიუღია.


ოქსანა ბაიული

ნიუ იორკის სასამართლომ უარყო სპორტსმენის სარჩელი. ბაიულის განცხადებას „უსაფუძვლო და უცნაური" უწოდეს, რადგან სააგენტო ფირმასთან კონტრაქტის გაწყვეტიდან დღემდე 11 წელი გავიდა.

მძლეოსნობა

# სემენიას ცოლი მოჰყავს



კასტერ სემენია

სკანდალურად ცნობილი სამხრეთაფრიკელი მორბენალი ქალი **კასტერ სემენია** მძლეოსნობის ნაკრებში თანაგუნდელ **ვაიოლეტ რასებოიაზე** დაინიშნა. ეს უკანასკნელიც ქალი გახლავთ. ტრადიციის თანახმად, ნათესავებმა უნდა განსაზღვრონ საცოლის გამოსასყიდი თანხა, რომელმაც ამჯერად 1750 ევრო შეადგინა.

ორივე ოჯახმა ქორწილისთვის მზადება დაიწყო, რომელიც წელს უნდა გაიმართოს. კასტერისა და ვაიოლეტის ინკოგნიტო მეგობრის თქმით, ეჭვგარეშეა, რომ სპორტსმენებს უყვართ ერთმანეთი. *„ეს თამამი ნაბიჯია მათი მხრიდან. დარწმუნებული ვარ, რომ გულწრფელი სიყვარულის წყალობით, ისინი დიდი ხანი იქნებიან ბედნიერები ერთმანეთის გვერდით დგომით. უფრო მეტიც, ეს ქორწინება დადებითად იმოქმედებს მათ კარიერაზე და ისინი დიდ წარმატებებს მიაღწევენ".*

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კასტერ სემენიამ აღნიშნა, რომ ვაიოლეტი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია მის ცხოვრებაში. *„სპორტიც კი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ვაიოლეტი"*, - განაცხადა სემენიამ.

2009 წელს, 800 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ, სემენია იძულებული გახდა გენდერული ტესტი ჩაეტარებინა, რადგან ბევრი სპორტსმენი და სპეციალისტი ეჭვობდა, რომ კასტერი მამაკაცი იყო. ტესტის შედეგებმა აჩვენეს, რომ სემენია - ქალია.

2010 წლის ზაფხულში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ სამხრეთაფრიკელს ქალთა ტურნირებზე გამოსვლის ნება დართო.

სემენია 2012 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია.

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# ჯირო იტალიაში დაბრუნდა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ იტალიური ველომარათონი ჯირო დ'იტალია აპენინებზე გაგრძელდა. გაიმართა მეოთხე ეტაპი, რომლის სიგრძე იყო 112 კილომეტრი. მთელი დისტანციის განმავლობაში ვერც ერთმა ველომრბოლმა ვერ გარისკა შეტევაზე წასვლა, მაგრამ ეტაპზე სიმშვიდე მაინც დაირღვა, რადგან ბოლო კილომეტრებზე ერთ-ერთი მოსახვევის დროს რამდენიმე ველომრბოლი ტრასაზე დაეცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპის წინ, გაციების გამო უარი თქვა ჯიროს გაგრძელებაზე გერმანელმა **მარსელ კიტელმა**, ვინც წინა ორი ეტაპი შესანიშნავი სპრინტერული ფინიშით მოიგო. უკვე ნახსენები წაქცევის შემდეგ, კიტელის გუნდის Giant-Shimano-ის ოთხი მრბოლელი მოექცა პელოტონის სათავეში, რითაც ამ ველოსანიჯიბომ ზედიზედ მესამე ეტაპის მოგების შანსი მიიღო. მაგრამ დაწინაურებულთა ჯგუფის წევრებმა არ იაქტიურეს, რითაც კარგად ისარგებლეს სპრინტერებმა. **ნასერ ბუჰანიმ** დროული აჩქარება წამოიწყო და უკან ჩამოიტოვა **ნიცოლო** და **ვივიანი**. საინტერესოა, რომ ფინიშამდე 20 კილომეტრით ადრე ბუჰანი პელოტონს ჩამორჩა, მაგრამ თანაგუნდელების დახმარებით დაბრუნდა ძირითად ჯგუფში.

ლიდერის ვარდისფერი მაისური შეინარჩუნა **მაიკ მეტიუზმა**. მის ლიდერობას საერთო ჩათვლაში კვირას შეექმნება საფრთხე - პელოტონმა 200 კილომეტრი უნდა დაფაროს, თანაც სხვადასხვა კატეგორიის რამდენიმე ამაღლებით.


ნასეი-ბუჰანი

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ლეიტონი-პიტერბრო | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| აველინო-ტრაპანი | 3:3 |
| ბრეშა-მოდენა | 0:1 |
| კარპი-ბარი | 1:2 |
| ჩეზენა-ემპოლი | 1:0 |
| ჩიტადელა-პალერმო | 0:2 |
| კროტონე-ლატინა | 0:1 |
| ნოვარა-იუვე სტაბია | 2:0 |
| პესკარა-ლანჩანო | 2:2 |
| სიენა-რეჯინა | 2:1 |
| სპეცია-ვარეზე | 2:1 |
| ტერნანა-პადოვა | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კაენი-ნიმი | 1:1 |
| **შოტლანდია** | |
| ფალკირკი-ჰამილტონი | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| გერმანია-პოლონეთი | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტია (ლ)-ვენა | 2:1 |
| ლიფერინგი-კაპფენბერგი | 1:0 |
| ჰარტბერგი-სტ. პოლტენი | 0:0 |
| მატერსბურგი-პარნდორფი | 2:4 |
| ჰორნი-ალტახი | 2:4 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ორდუ-მერსინი | 0:1 |
| ანკარა-სამსუნი | 1:1 |
| **ხორვატიის თასი** | |
| **ფინალი. II მატჩი** | |
| რიეკა-დინამო | 2:0 (1:0) |
| **სლოვენია** | |
| ოლიმპია-გორიცა | 0:2 |
| რუდარი-ზავრცი | 2:3 |
| მარიბორი-ტრიგლავი | 2:1 |
| კოპერი-დომჟალე | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| დიოშდიორი-ვიდეოტონი | 2:1 |
| **ლიტვა** | |
| დაინავა-შიაულიაი | 0:6 |
| **ესტონეთი** | |
| სილამაე-პაიდე | 3:1 |
| ლოკომოტივი-ტამეკა | 2:2 |
| ტალინა-ნომე კალიუ | 0:3 |
| ტრანს ნარვა-ფლორა | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| ბნეი შაჰნინი-ჰაპოელი (თ-ა) | 1:3 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| 1/8 ფინალი. II მატჩები | |
| პოჰანგი-ჭეონბუკი | 1:0 (2:1) |
| გუანგჟოუ-სერეზო | 0:1 (5:1) |
| ალ აინი-ალ ჯაზირა | 2:1 (2:1) |
| ალ შაბაბი-ალ იტიჰადი | 1:3 (0:1) |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ლუდვიგსბურგი-ბავარია | 85:83 |
| ტელეკომი-ოლდენბურგი | 72:61 |
| ულმი-ალბა | 89:90 |
| ერტლანდი-ბამბერგი | 72:80 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 78:43 |
| პანათინაიკოსი-პაოკ | 89:83 |
| **თურქეთი** | |
| ბანვითი-თოფასი | 82:78 |
| გალათასარაი-ბეშიქთაში | 70:72 |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-დიჟონი | 75:80 |
| ნანსი-პარიზი | 70:61 |
| **ჰოკეი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| გერმანია-ფინეთი | 0:4 |
| იტალია-დანია | 1:4 |
| ყაზახეთი-ლატვია | 4:5 |
| ნორვეგია-შვედეთი | 1:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. რომი** | |
| ჩილიჩი-ხირალდო | 6:4, 2:0 უარი |
| ანდერსონი-პოსპიშილი | 7:5, 7:6 |
| ვერდასკო-გოლუბევი | 4:6, 5:7 |
| ჰაასი-სეპი | 6:1, 4:6, 6:3 |
| ბაუტისტა აგუტი-ტურსუნოვი | 0:6, 6:7 |
| გულბისი-ფალია | 6:1 უარი |
| ჯოკოვიჩი-შტეპანეკი | 6:3, 7:5 |
| სისლინგი-ჩეკინატო | 7:6, 7:5 |
| ვავრინკა-რიბა | 6:0, 6:3 |
| რობრედო-კოლშრაიბერი | 2:6, 4:6 |
| ფერერი-კუკუშკინი | 6:1, 6:2 |
| რაონიჩი-ბოლელი | 6:3, 7:6 |
| **WTA. რომი** | |
| ციბულკოვა-ჯორჯი | 4:6, 6:7 |
| მაკჰეილი-კირსტეა | 6:3, 4:6, 6:1 |
| მუგურუსა-ბურნეტი | 6:1, 6:3 |
| ბენჩიჩი-პავლიუჩენკოვა | 6:3, 3:6, 6:3 |
| სხეპერსი-ერანი | 5:7, 3:6 |
| ბარტელი-სუარეს ნავარო | 2:6, 2:6 |
| პუიგი-ჰანტუხოვა | 6:0, 4:6, 6:0 |
| კერბერი-ჩეტკოვსკა | 6:4, 3:6, 4:6 |
| მაკაროვა-ვინჩი | 6:2, 7:6 |
| ჟანგი-კვიტოვა | 7:6, 5:7, 6:3 |
| დელაკუა-ნა ლი | 1:6, 4:6 |

კრივი

# კლიჩკომ ახალი ათვლა დაიწყო

სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმირ კლიჩკომ** თავისი მორიგი ბრძოლის თარიღი გაამხილა. როგორც ირკვევა, უკრაინელმა მოკრივემ 2014 წლის 6 სექტემბრისთვის გერმანიის ქალაქ ჰამბურგში დაჯავშნა 02 World-ის არენა.

დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ უმცროსი კლიჩკოს მეტოქე იქნება პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი ბულგარელი მოკრივე **კუბრატ პულევი**, რომელიც 9 მაისს გამოაცხადეს აუცილებელ პრეტენდენტად IBF-ის ტიტულისთვის ბრძოლაში.

33 წლის პულევმა პროფესიულ რინგზე 20 ბრძოლა ჩაატარა და ოცივე მოიგო (11 - ნოკაუტით). ბულგარელი IBF-ის აუცილებელი პრეტენდენტი 2013 წლის აგვისტოში ამერიკელი **ტონი ტომპსონის** დამარცხების შემდეგ გახდა. ვლადიმირ კლიჩკოს ანგარიშზეა 65 ბრძოლა, 62 მოგება და მხოლოდ სამი მარცხი.

■ ■ ■

ამასობაში, მსოფლიოს საკრივო საბჭოს ხელმძღვანელმა **მაურისიო სულეიმანიმ** სურვილი გამოთქვა წელსვე გაიმართოს ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლა ვლადიმირ კლიჩკოსა და კანადელ **ბერმეინ სტივერნს** შორის. კლიჩკო IBF-ის, WBA-სა და WBO-ის ტიტულებს ფლობს, სტივერნმა კი გასულ


ვლადიმირ კლიჩკო

კვირას მოიპოვა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვაკანტური ტიტული.

*„ჩვენ მზად ვართ და გვინდა, რაც შეიძლება მალე მოვაწყოთ ასეთი ორთაბრძოლა"*, - განაცხადა სულეიმანიმ. WBC-ის პრეზიდენტმა ისიც დაამატა, რომ ბრძოლა, შესაძლოა, ამ წლის ბოლომდე გაიმართოს, თუმცა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას არჩევანის გაკეთება უწევს კლიჩკოსა და აუცილებელ პრეტენდენტს **დეონტეი უაილდერს** შორის.

სავარაუდოდ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ კლიჩკო და სტივერნი მომავალ წელს შეხვდებიან ერთმანეთს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# აზარენკას უტევენ

მადრიდში ჩატარებული სუპერტურნირების შემდეგ, მამაკაცთა და ქალთა რეიტინგებში საინტერესო პროცესებს ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** ტრავმის გადამკიდე პოზიციებს კარგავს, **რაფაელ ნადალი** ლიდერობას ინარჩუნებს, **კეი ნიშიკორი** კი პირველად ხვდება ტოპ-ათეულში.

დავიწყოთ ქალთა რეიტინგით. რუმინელმა **სიმონა ჰალეპმა** მადრიდში ფინალში გასვლით თითქმის გაინაღდა თავისთვის სარეკორდო - მეოთხე პოზიცია WTA-ის რეიტინგში. ამ მომენტისთვის ჰალეპი ვიქტორია აზარენკას მხოლოდ 21 ქულით ჩამორჩება, მაგრამ რუმინელმა როგორი შედეგიც უნდა აჩვენოს ამ კვირას რომის ტურნირზე, ის მომავალ ორშაბათს მაინც გაუსწრებს ბელარუს ჩოგბურთელს. თეორიულად მეოთხე ადგილის დაკავება **პეტრა კვიტოვასაც** შეუძლია, მაგრამ ამისთვის ჩეხმა იტალიის დედაქალაქში უნდა გაიმარჯვოს, ამასთან, ჰალეპმა ფინალამდე უნდა წააგოს.

ჰალეპის მეოთხე ადგილი არა მხოლოდ პირადი, არამედ ნაციონალური რეკორდია. აქამდე რუმინეთის საუკეთესო ჩოგბურთელი იყო **ირინა სპირლეა**, ვისაც 1997 წელს მეშვიდე ადგილი ეკავა WTA-ის კლასიფიკაციაში.

■ ■ ■

როლან გაროსამდე მშვიდად შეუძლია იყოს **მარია შარაპოვას**. რუსს შტუტგარტსა და მადრიდში პირველ რაუნდში წაფორხილების უფლება არ ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რომელიმე კონკურენტისთვის უნდა დაეთმო ადგილი ტოპ-ათეულში.

მადრიდში გამარჯვების წყალობით, მარიამ ორ ჩოგბურთელს - **ანჟელიკ კერბერსა** და **ელენა იანკოვიჩს** გაუსწრო. შარშან, რომის ტურნირზე რუსმა მეოთხედფინალიდან მიატოვა ბრძოლა, ამიტომაც წელს იტალიის დედაქალაქში ნაადრევ ეტაპზე წაგება სერიოზულ უსიამოვნებებს არ მოუტანს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შარაპოვა გააგრძელებს გრუნტზე გამარჯვებათა სერიას, მას აზარენკას გასწრების შანსი ექნება. ზედიზედ მესამე ტიტული გრუნტზე მარიას ტოპ-ხუთეულში მოუტანს ადგილს.

## ნადალი მშვიდად არის

გადავიდეთ მამაკაცთა რეიტინგზე. მადრიდში რაფაელ ნადალმა მნიშვნელოვანი ქულები დაიცვა და როლან გაროსამდე გაინაღდა პირველი პოზიცია. საინტერესოა, რომ რაფამ ზედიზედ მეათე სეზონში მოახერხა თუნდაც ერთი მასტერსის მოგება. ასეთ სტაბილურობა ისეთ ვარსკვლავებსაც კი შეშურდებოდათ, როგორებიც არიან **სამპრასი, აგასი, ფედერერი, ჯოკოვიჩი** და **მარეი**, რომელთა ანალოგიური სერია მაქსიმუმ ოთხი სეზონი გრძელდებოდა.



ვიქტორია აზარენკა

ჯოკოვიჩი მზად არის უკვე იტალიაში აჩვენოს თავისი საუკეთესო ჩოგბურთი, მაგრამ სერბისთვის რომში გამარჯვებაც არ იქნება საკმარისი რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე დასაბრუნებლად. სამაგიეროდ, როლან გაროსზე პირველი ადგილის ბედი შეიძლება სწორედ ჯოკოვიჩისა და ნადალის პირადი დუელის დროს გადაწყდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, რომში ნოვაკს აქვს შანსი მაქსიმალურად მიუახლოვდეს ესპანელს, რადგან სერბს იტალიაში მხოლოდ შარშანდელი მეოთხედფინალი აქვს დასაცავი.

■ ■ ■

ათი წელი აზიელი ჩოგბურთელები ვერ ახერხებდნენ ATP-ის რეიტინგის ტოპ-ათეულში შეღწევას. ბოლო მოთამაშე, ვინც მსოფლიო ჩოგბურთის ელიტაში იმყოფებოდა, ტაილანდელი **პარადორნ შრიჩაფანი** იყო, ვინც TOP10 2004 წელს დაიპყრო. ახლა ახალი გმირის დრო მოვიდა. **კეი ნიშიკორი** თავისუფლად შეიძლება შევადაროთ ნამდვილ სამურაის - ის ყურადღებას არ აქცევს მეტოქის დონეს და უშიშრად მიდის შეტევებში. თავდაპირველად, იაპონელმა ჩოგბურთელმა ბარსელონას ტურნირი დაიპყრო, შემდეგ კი მადრიდში მასტერსზე დაამტკიცა, რომ კატალონიური წარმატება შემთხვევითობა არ ყოფილა. მადრიდში ფინალი პირველი წარმატება იყო ნიშიკორისთვის ასეთ დონეზე. სამწუხაროდ, გადამწყვეტი მატჩი მისი ტრავმით აღინიშნა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ნიშიკორისთვის TOP10-ში დაეკავებინა ადგილი. იაპონელმა ტოპ-ათეულიდან ამერიკელი **ჯონ ისნერი** გამოდევნა. ამასთან, აზიელს ყოველ მომდევნო ტურნირზე ქულების მარაგის შევსების შანსი აქვს. თუ ის ჯანმრთელობას გაიუმჯობესებს, სავსებით შეუძლია პირველ ხუთეულში მოსახვედრად ებრძოლოს ენდი მარეის, **ტომაშ ბერდიხსა** და **დავიდ ფერერს**.

## ამ კვირის ინტრიგები

ამ კვირას მამაკაცთა და ქალთა ორი სუპერტურნირი ბევრ გადაადგილებას გვპირდება რეიტინგების ზედა საფეხურებზე. ATP-ის კლასიფიკაციაში გარღვევის კარგი შანსი აქვს ენდი მარეის. ბრიტანელს შეუძლია არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროს** გასწრება, აგრეთვე ტომაშ ბერდიხის პოზიციებზე იერიშების მიტანა.

კიდევ უფრო დიდია ინტრიგა ქალთა შორის. ათეულში მოხვედრაზე პრეტენზია აქვთ **ფლავია პენეტასა** და **ანა ივანოვიჩს**, თუმცა ისინი ბევრით ჩამორჩებიან **დომინიკა ციბულკოვას**, ამიტომაც სერბსა და იტალიელს მინიმუმ ნახევარფინალამდე გასვლა სჭირდებათ, რათა ათეულზე გამოაცხადონ პრეტენზია. დიდი პრობლემები აქვს **სარა ერანის**. იტალიელის ვარდნა გრძელდება. რომში მას ნახევარფინალი აქვს დასაცავი და დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ სარა ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტს.

ბოლო რამდენიმე კვირაა ყველაზე სერიოზული ვარდნა რუს **მარია კირილენკოს** აქვს. ტოპ-ათეულის ყოფილმა წევრმა უკვე წააგო პირველი წრე რომში და მომავალ კვირას, სავარაუდოდ, TOP50-ის მიღმა აღმოჩნდება.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 12 900 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 030 |
| 3(3). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 5 785 |
| 4(4). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 5 715 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 5 030 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 600 |
| 7(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 215 |
| 8(8). ენდი მარეი (ბრიტ) | 3 950 |
| 9(12). კეი ნიშიკორი (იაპ) | 2 860 |
| 10(9). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 625 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 11 590 |
| 2(2). ნა ლი (ჩინ) | 7 475 |
| 3(3). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 6 290 |
| 4(4). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 5 361 |
| 5(5). სიმონა ჰალეპი (რუმ) | 5 340 |
| 6(6). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 605 |
| 7(9). მარია შარაპოვა (რუს) | 4 261 |
| 8(7). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4 130 |
| 9(8). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 3 770 |
| 10(10). დ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 3 760 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



სერენა უილიამსი

# სერენამ ჯერ არ იცის

ჯერაც გაურკვეველია, შეძლებს თუ არა რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე თამაშს მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი**. იტალიაში გამოსვლის შანსზე საუბრისას ამერიკელმა აღნიშნა, რომ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას სერენა დღეს - გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან** შეხვედრის წინ მიიღებს. შეგახსენებთ, რომ მარცხენა ბარძაყის ტრავმის გამო უმცროსი უილიამსი გასულ კვირას მადრიდის ტურნირიდან გამოვიდა.

*„ვნახოთ, როგორ ვიგრძნობ თავს ამ კვირას* - მოჰყავს ESPN-ს უილიამსის სიტყვები. - *ჯერ კიდევ დამრჩა ერთი გამოსასვლელი დღე, ამიტომაც გადაწყვეტილებას ხვალ მივიღებ. დღეს მცირე ვარჯიში ჩავატარე და ახლა ველოდები, როგორ იმოქმედებს ეს დატვირთვა ჩემს ფიზიკურ მდგომარეობაზე".*

# ჰაასს მშობლები დაუჭირეს

მსოფლიოს მე-19 ჩოგანის, გერმანელი **ტომი ჰაასის** მშობლები გადასახადების დამალვაში დაადანაშაულეს, - წერს ამერიკული ვებგვერდი Tennis World.

გამოცემის ინფორმაციით, **პეტერ** და **ბრიტიგა ჰაასებმა** სახელმწიფოს დაახლოებით 46 126 ევრო დაუმალეს. ამ ციფრში შედიოდა თანხა მათი საპენსიო ფონდიდან.

უკვე გაიმართა სასამართლო, რომელმაც ჩოგბურთელის მშობლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო - ტომის დედ-მამას ცხრათვიანი პატიმრობა მიესაჯა.



ტომი ჰაასი მშობლებთან ერთად




დამფუძნებელი
და გამომცემელი
შპს
გამომცემლობა
ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა
ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით ან ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608